# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 8 დეკემბერი, 2006 წელი.

№ 241 (5582)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## რუსეთის განცხადება ომის გამოცხადების მანიშნებელი იქნება ②



დრო ④

## საქართველო პოლიტიკოსების ნაცვლად ქურდებმა გაამთლიანეს

მცირე მეწარმეობა ⑥

## თხის ჰაცურონს თხის კუდიც აქა?

## ასეთი გადაწყვეტილება ჩინეთსაც კი გააღიზიანებს ②

## 50 ათასი აფხაზი ჩრდილოეთისკენ მიილტვის ⑩



## მოსკოვი 1921 წლის გამეორებისთვის ემზადება ⑨





## ⑤ სახელმწიფო ნარკომანიით დაავადებულ ადამიანებს ბიუჯეტის შესავსებად იყენებს!

● „რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს განცხადება ვერ შეფასდება სხვაგვარად თუ არა უკიდურესად არამეგობრული პოლიტიკური ჟესტი საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მიზნად ისახავს ქართული მხარის პროვოცირებას, ვითარების ესკალაციას და ერთიანი საერთაშორისო ძალისხმევით კონფლიქტების მოგვარების პროცესის ხელშეშლას. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მეგობარს, დაინტერესებულ ორგანიზაციასა და სახელმწიფოს დაგვიდგნენ გვერდით საერთო დემოკრატიული და სამართლიანი ღირებულებებისათვის ბრძოლის რთულ, მაგრამ ღირსეულ გზაზე“



№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ რუსული გამბიტი

# საქართველოსთვის ომის გამოცხადების მანიშნებელი იქნება

## სათათბიროს პირდაპირი მითითება ჰქონდა

**რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ კოკოითის ხელისუფლების მიერ გამართული რეფერენდუმის, პრეზიდენტის არჩევნების კანონიერება ცნო და რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის ასოცირებულ წევრად შესვლას დაუჭირა მხარი. დუმის ქვედა პალატის დეპუტატებმა განცხადება მისი მიღების თხოვნით, პრეზიდენტ პუტინს გაუგზავნეს. საერთაშორისო ორგანიზაციებს კი – რეკომენდაციად. საქართველოს პარლამენტში აცხადებენ, რომ ამ განცხადებას არავითარი სამართლებრივი ძალა არა აქვს და მისი საერთაშორისო დონეზე აღიარება გამორიცხულია.**

საკანონმდებლო ორგანოში მიიჩნევენ, რომ დუმის გადაწყვეტილება არ არის მხოლოდ რუსულ-ქართული პრობლემა და ის მთელ მსოფლიოს მოიცავს.

– ჩვენ არ ვაპირებთ შევეჯიბროთ დუმის დეპუტატებს უპასუხისმგებლო და არაკომპეტენტური განცხადებების მიღებაში, არ ავყვებით ამ პროვოკაციას. გუშინწინ სათათბიროში მიღებული განცხადება არ არის მხოლოდ რუსულ-ქართული პრობლემა. რუსეთი, რომელიც ტერიტორიების მიტაცებას რომ კვლავ ცდილობს, მსოფლიო პრობლემაა, – თქვა დავით ბაქრაძემ.

ეს აშკარად უაზრო განცხადება ცხადყოფს, რომ რუსეთს უნდა ცალმხრივად აღიაროს აფხაზეთისა და შიდა ქართლის დამოუკიდებლობა. რუსეთისგან ასეთ პროვოკაციას საპარლამენტო ოპოზიციაც ელოდა, მაგრამ მიიჩნევდა, რომ დრამატიზება საჭირო არ იყო. მსჯელობენ იმაზეც, რომ ხელისუფლებას მოსალოდნელი პროვოკაციის შემხვედრი ნაბიჯები გზად უნდა გაეთვალა და მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვით არ უნდა შემოფარგლულიყო.

– საქართველო-რუსეთის დავამ უკვე ეუთოში გადაინაცვლა. ჩვენი ქვეყანა მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა. თუმცა, სჯობდა რუსეთთან თავიდანვე გაწონასწორებული, თანამიმდევრული პოლიტიკა განგვეხორციელებინა, რათა დათმობაზე წასვლა არ დაგვჭირვებოდა. – თქვა მანანა ნაჭყებიამ.

თუ დუმის მიღებულ ამ დოკუმენტს იურიდიული ძალა არა აქვს, იგი სულ სხვა მნიშვნელობას შეიძენს პუტინის გადაწყვეტილების შემდეგ. სათათბირომ ქვეყნის პირველ პირს დოკუმენტი ხელმოსაწერად უკვე გადაუგზავნა. ძნელი მისახვედრი, ალბათ არ არის, თუ როგორი იქნება პუტინის პოზიცია და ქართველი პარლამენტარებიც ამის შესატყვისად მსჯელობენ:



– ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს მხოლოდ დუმის გადაწყვეტილებაა და პუტინი საქმის კურსში არ იყო, ისინი მიზნის მისაღწევად ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ წინ. შესაძლოა ამ ეტაპზე პუტინმა არ ცნოს სათათბიროს მიერ მიღებული განცხადება, რათა საერთაშორისო თანამეგობრობა არ მოიმდუროს, მაგრამ საბოლოოდ ამას მაინც გააკეთებს. – თქვა ნაჭყებიამ.

დუმამ განცხადება რომ ყოველგვარი განხილვის გარეშე მიიღო, გივი თარგამაძეს აფიქრებინებს, რომ სათათბიროს პირდაპირი მითითება ჰქონდა კრემლიდან და პუტინი იგივე გადაწყვეტილებას მისთვის ხელსაყრელ მომენტში მიიღებს.

გუშინვე საქართველოს პარლამენტმა რუსეთის სათათბიროს ქვედა პალატის გადაწყვეტილების გამო, საგანგებო მიმართვა მიიღო, მასში ნათქვამია:

„რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს განცხადება ვერ შეფასდება სხვაგვარად თუ არა უკიდურესად არამეგობრული პოლიტიკური ჟესტი საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მიზნად ისახავს ქართული მხარის პროვოცირებას, ვითარების ესკალაციას და ერთიანი საერთაშორისო ძალისხმევით კონფლიქტების მოგვარების პროცესის ხელშეშლას. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მეგობარს, დაინტერესებულ ორგანიზაციასა და სახელმწიფოს დაგვიდგნენ გვერდით საერთო დემოკრატიული და სამართლიანი ღირებულებებისათვის ბრძოლის რთულ, მაგრამ ღირსეულ გზაზე“.

მიმართვას შესაფასებლად საერთაშორისო ორგანიზაციებს, ევროპის საპარლამენტო ასამბლეას და მეგობარი სახელმწიფოების პარლამენტებს გაუგზავნიან.

**სათათბიროს გადაწყვეტილებას თუ პუტინიც მწვანე შუქს აუნთებს, თარგამაძის თქმით, ეს საქართველოსთვის ომის გამოცხადების მანიშნებელი იქნება, მაგრამ საქართველო ვითარების განმუხტვას ეცდება. პარლამენტში იმედოვნებენ, რომ ომი არ დაიწყება.**

**ლელა ხვადაგიანი**

◎ კომპეტენტური აზრი

# ა. დუგინის დოქტრინა: ევროპაში – დომინანტური, აზიაში – პარტნიორული

**რუსეთის დუმამ კანონიერად ცნო თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში გამართული რეფერენდუმი, საპრეზიდენტო არჩევნები, ხოლო აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკას ასოცირებულ ურთიერთობაზე დათანხმდა.**

პოლიტოლოგი **მამუკა არეშიძე** ამას სერიოზულ მოვლენად აფასებს, რაც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ცივილიზებული მსოფლიოს გამოწვევაა: „რუსეთი მოქმედებს ფორმულით: მულო, შენ გეუბნები, რძალო, შენ გაიგონეო. მას უნდა საქართველოს ხელისუფლება დასაჯოს, უპირველესად კი – მიხეილ სააკაშვილი. მაგრამ ასეთი პოლიტიკა, შესაძლოა, რუსეთს ბუმერანგივით შემოუბრუნდეს“.

ექსპერტს არ სჯერა, რომ რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლება ამ ნაბიჯს გადადგამს – სეპარატისტული რეგიონების სტუტუსს შეცვლის და კოკოითისა და ბაღაფშის რეჟიმებს განსაკუთრებულ მდგომარეობას მიანიჭებს. „ამით იგი მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდება და პრობლემები შეექმნება გაეროშიც, ევროსტრუქტურებშიც და, რაც მთავარია, თავისსავე ტერიტორიაზე“.

არეშიძის თქმით, რუსეთისათვის ჩრდილოეთ კავკასიის 7 ავტონომიური რესპუბლიკა დიდი თავის ტკივილია, ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთივით მათგან რომელი გამოაცხადებს დამოუკიდებლობას, კაცმა არ უწყის. სავარაუდოა, ეს დაღესტანი იყოს. უფრო იქით კი – თათარისტანი, რომელიც ეკონომიურად წელში არის გამართული და რუსეთი არ სჭირდება. იგივეს მოითხოვს ყარაბაღიც, რაც რუსეთთან აზერბაიჯანის ურთიერთობის გაწყვეტას გულისხმობს.

„მინდა საზოგადოებრიობისთვის ძალზე საგულისხმო უცნობ ფაქტორზეც გავამახვილო ყურადღება: გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის ეკონომიკურ პარტნიორ ჩინეთს, საკითხის ასეთი გადაწყვეტა აშკარად არ გაახარებს, რადგანაც მას თავად აქვს ასეთივე სერიოზული პრობლემა – უიღურთა ავტონომიური ოლქი, სადაც 10 მილიონი მაჰმადიანი ცხოვრობს და დამოუკიდებლობას მოითხოვს. ჩინეთს სხვა სეპარა-

## რუსეთის ასეთი გადაწყვეტილება ჩინეთსაც კი გაალიზიანებს



ტისტული რეგიონების პრობლემებიც აწუხებს. უიღურები მეომარი ტომია და ბენ ლადენის დაცვის 60 პროცენტს სწორედ ისინი შეადგენენ. ჩეჩნეთში, პაკისტანის ბანაკებში იწვრთნებოდნენ, ანუ სერიოზული მრავალრიცხოვანი ძალაა, რომელსაც შეუძლია ჩინეთის ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები შეუქმნას...

მამუკა არეშიძე ფიქრობს, რომ, მართალია, რუსეთმა აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ მას არავინ უკრძალავს ამ საკითხის გადახედვას: „კულუარული ინფორმაციიდან ვიცი, რომ დუმამ ეს გადაწყვეტილება კრემლის სერიოზული ზეწოლის გამო მიიღო, რადგან სათათბიროში ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ. მაგალითად, ფრაქცია „კომუნისტები“ არ ეთანხმებოდნენ ამას, მაგრამ, სერიოზული ზეწოლის გამო, დაყაბულდნენ. არ არის გამორიცხული, დუმამ მეორე ნაბიჯიც გადადგას – არ ცნოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

მთავარია, რას იტყვის რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლება, მინდა გითხრათ, რომ, კონსტიტუციურად, დუმას საქართველოს პარლამენტის მსგავსი უფლებები არ აქვს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მეორე პირია საქართველოში, რუსეთში კი დუმის თავმჯდომარე მეოთხეა.

ბატონი მამუკა განმარტავს, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ნიკოლას ბერნსის მკაცრი განცხადება რუსეთისადმი, რომ იგი არღვევს ნაკისრ ვალდებულებებს და პოლიტიკურ ზეწოლას ახდენს მოლდოვასა და საქართველოზე, მხოლოდ დეკლარაციულია. რუსეთის ენერგეტიკული, და, ასევე, ზოგიერთი სხვა მუქარის გამო, ევროპა ძალზე ფრთხილობს; იგი ორ ცეცხლს შუაა ჩავარდნილი. მას ენერგეტიკული რესურსების, გაზის გარეშე დარჩენის ეშინია. ამიტომ, ევროპისა და, ზოგადად, დასავლეთის რუსეთზე ზეწოლა აგრესიული ვერ იქნება. ისინიც თამაშობენ. არც ამერიკის შეერთებული შტატები, საკუთარი პრობლემების გამო, რუსეთთან ბოლომდე ურთიერთობას არ გაამწვავებს. აშშ-ს ადმინისტრაციასა და ევროპას არ მოსწონს საქართველოს ხელისუფლების უკომპრომისო პოზიცია, მაგრამ იძულებულნი არიან, საკუთარი ნათქვამის გამო საქართველოს მოკავშირეობა ბოლომდე იტვირთონ.

1999 წელს სტამბოლში გაფორმებული ხელშეკრულებით, რაც ნიკოლას ბერნსმა კიდევ ერთხელ შეახსენა რუსეთს, იურიდიულად გადაწყდა საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანა. იქვე მეორე ხელშეკრულებაც გაფორმდა ჯარების გაყვანის თაობაზე, რაც მხოლოდ შეიარაღების შეზღუდვას გულისხმობდა. კონფლიქტის რეგიონებში. ანუ, ეს იყო კაზუისტიკა – ფორმალობა, მართლაც, პოლიტიკური გადაწყვეტილება: დოკუმენტს ხელი მოეწერა და ამით ყველაფერი დასრულდა.

არეშიძის თქმით, სტამბოლის გადაწყვეტილება მაინც უნდა შესრულებულიყო. მაგრამ რუსეთი ამას შეასრულებს, ზეწოლა კი საქმეს ვერ უშველის; უშველის მხოლოდ ძალის დემონსტრირება, ოღონდ, არა პატარა საქართველოს მიერ: „როდესაც ბალტიისპირეთმა ძალის დემონსტრირება მოახდინა, მაშინ სხვა ვითარება იყო, ელცინის უხერხემლო ხელისუფლების რუსეთი სუსტი გახლდათ. ჩვენ კი მოგვიგო, მაგრამ ბალტიისპირეთს იმდენი ვერ გაუბედა. რადგან მას დასავლეთ ევროპა და სკანდინავიის ქვეყნები ეხმარებოდნენ. ამიტომ მეტი მოქნილობა და სიფრთხილე გვმართებდა. საქართველოს ხელისუფლებამ ეს ვერ გათვალა. რუსეთი შეტევაზე გადმოვიდა და ასეა დღემდე. პუტინს და რუსეთს თითს უქნევენ, კიცხავენ, ის კი მაინც თავისას განაგრძობს და ბოლომდე ასე იქნება, რადგან ისეთი ძლიერი ბერკეტი უმაგრებს ზურგს, როგორიც ენერგეტიკაა“.

ექსპერტის თქმით, ნონსენსია, როცა ზოგიერთი ქართველი პოლიტოლოგი სერიოზულად არ აღიქვამს ამ გადაწყვეტილებას: „რუსეთის დუმას მიმართეს და მას უნდა ეპასუხა – ასეთი არგუმენტი ჩემთვის მიუღებელია. იმხანად რუსეთის დუმას ჩერქეზ ხალხთა კონგრესმაც მიმართა, რაც ყაბარდოს, ადიღეს და ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის მოსახლეობას აერთიანებს. კონგრესმა მოითხოვა რუსეთს 1870-იან წლებში ჩერქეზი ხალხის გენოციდი ანუ მოჰაჯირობა ეღიარებინა, მაგრამ დუმას ყურიც არ შეუბერტყავს. სად მცირერიცხოვანი აფხაზებისა და ოსების მიმართვა, და სად 2-მილიონიანი ჩერქეზეთისა?! მიმართვას ხელს აწერდნენ საზღვარგარეთ მცხოვრები ჩერქეზებიც...“

ასე რომ, მამუკა არეშიძე რუსეთის დუმის გადაწყვეტილებას ერთობ სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევს. ამით რუსეთი საერთაშორისო თანამეგობრობას უმტკიცებს, რომ ის დომინანტია არა მხოლოდ ამ რეგიონში, არამედ, ზესახელმწიფოს პრეტენზია აქვს და ამ პრეტენზიით განაგრძობს მოქმედებას. „რუსეთი თავის მოკავშირე ჩინეთს შორეულ აღმოსავლეთში უზარმაზარ ტერიტორიას უთმობს. ქალაქი ბლაგოვეშენსკი მთლიანად ჩინურია. მას არ სურს მოკავშირის გაღიზიანება და დანარჩენ მსოფლიოს, ჩვენი პატარა ტერიტორიიდან ებრძვის. მისი ამოცანაა აზიასთან კონსოლიდირება, რათა როგორმე დააჩოქოს ევროპა. ეს არის ალექსანდრე დუგინის ფილოსოფიის ნაწილი: ევრაზიული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ევროპაში დომინანტური იქნება, აზიაში კი – პარტნიორული“.

ექსპერტის დასკვნით, ევროპამ თუ არ გაითავისა ეს უბედურება, ზეგ უკვე გვიან იქნება. ევროპას შეუძლია მას სანქციები დაუწესოს, ანუ ენერგეტიკული ვექტორები გადაათამაშოს. ასევე, არეშიძის აზრით, საამისოდ არის დიდძალი მატერიალური რესურსი, ბოლოს და ბოლოს, თავის დროზე რკინის ფარდა „მშვენივრად მუშაობდა“ და ამის გაკეთება ახლაც მოიტანს შედეგს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

- სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის კვლევითი ინსტიტუტის საცავებში 244-მდე რადიოაქტიურ-ტოქსიკური ნივთიერება ინახებოდა
- თურმე, იმის ნაცვლად, რომ ფორუმზე ერთიანი მედიასივრცის შექმნაზე ემსჯელათ, ძირითადი თემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა იყო

## რადიაქტიური საფრთხე

# რუსი აგენტი აფხაზეთიდან გატანილი პოლონიუმ-210-ით მოწამლეს?!

**23 ნოემბერს ლონდონის საავადმყოფოში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოფილი მუშაკი ალექსანდრე ლიტვინენკო გარდაიცვალა. მის ორგანიზმში რადიაქტიური ნივთიერება პოლონიუმ-210 აღმოჩნდა. მას შემდეგ, მისი კვალი ლონდონის სხვადასხვა შენობა-ნაგებობასა და თვითმფრინავებშიც იპოვეს...**

საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე დარწმუნებულია, რომ ეს ნივთიერება აფხაზეთის ტერიტორიიდანაა გატანილი. კერძოდ კი, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტიდან, საიდანაც 1993-94 წლებში დიდი ოდენობის რადიაქტიური ნივთიერება – 2 კგ-მდე ურანი-235 დაიკარგა.

„ისეთი არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან, როგორიც აფხაზეთია, დასაშვებია პოლონიუმ-210 გამქრალიყო. ის ძალზე მსუბუქია, მაგრამ მისი 1 მიკროგრამიც კი სასიკვდილო დოზაა. ამგვარი ნივთიერებებით დაინტერესებულნი არიან, როგორც ტერორისტული დაჯგუფებები, ასევე სპეცსამსახურები“, – ამბობს გიორგი გაჩეჩილაძე.

სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, რომელიც 1945 წელს ლავრენტი ბერიას თაოსნობით დაარსდა, დღესაც ბევრი რადიოაქტიური ნივთიერება ინახება. წინა საუკუნის პირველ ნახევარში კი იქ აქტიურად მუშაობდნენ



ატომური იარაღის შესაქმნელად.

1993 წელს, სოხუმის დაცემის დღეს, ვიდრე იქაური მეცნიერები ინსტიტუტს დატოვებდნენ, აკადემიკოსმა რევაზ სალუქვაძემ ინსტიტუტის საცავებში შენახული რადიოაქტიურ-ტოქსიკური ნივთიერებები აღწერა. მათი რიცხვი 244-ს აღწევდა. პოლონიუმ-210-ის გარდა, აქ დღემდე ინახება ამერიციუმ-241, პლუტონიუმ-241, რადიუმ-226, კადრიუმ-109, ცეზიუმ-139, კობალტ-57 და სხვა. ისინი სასიკვდილოა ადამიანისათვის, მათი ტოქსიკურობა 100-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე პოლონიუმ-210-ისა.

გიორგი გაჩეჩილაძის თქმით, პოლონიუმ-210-ს გუდაუთის სამხედრო ბაზისა და ეშერის სამხედრო ლაბორატორიის ხელშეუწყობლად, აფხაზეთის ტერიტორიებიდან ვერ გაიტანდნენ. მტკიცების საბაბს მწვანეთა მოძრაობის ლიდერი, ჯერ კიდევ 1997 წელს რუსეთის დახურულ ქალაქ ობნინსკიდან აფხაზეთში (ცნობისათვის, ობნინსკი რადიაქტიურ-ტოქსიკურ ნივთიერებებზე მომუშავე ერთ-ერთი ცენტრია), ჩასული საიდუმლო ჯგუფის მიერ ჩატარებული მთლიანი ინვენტარიზაცია აძლევს. ამ აღწერის შედეგები არც საქართველოს ხელისუფლებისთვის და არც საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის არაა ცნობილი.

რუსეთის განცხადება, რომ ის აღარ აწარმოებს რადიოაქტიურ ნივთიერებებს – ფარსია, რადგან აფხაზეთის ტერიტორია მისი კონტროლის ქვეშაა და იქ განთავსებული ცენტრიფუგები, კვლავაც ურანის „გამდიდრებაზე“ მუშაობს. „რუსეთი თუ მოინდომებდა, თავისუფლად შეეძლო და შეუძლია ნებისმიერი რადიაქტიური ნივთიერების, მათ შორის, პოლონიუმ-210-ის აფხაზეთიდან გატანა“, – ამტკიცებს მწვანეთა პარტიის ლიდერი.

1999 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ხელისუფლებას მიმართა, რათა აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში არსებული საშიში რადიაქტიური ნივთიერებების სამარხის მომზადებაში დახმარებოდა. ეს სამარხი კი სოხუმიდან აღმოსავლეთით, კერძოდ, კოდორის ხეობაში, ან გუდაურში უნდა გათხრილიყო. საქართველომ, ამ საკითხის განხილვის შემდეგ, რუსეთს დახმარებაზე უარი უთხრა. ადვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვებოდა ამ სამარხის საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებას და ისიც ნათელია, საით უმიზნებდა რუსეთი.

კოდორისა და გუდაუთის მოსახლეობა კი გადაურჩა რადიაქტიური ნივთიერებებით მოწამვლას, მაგრამ აფხაზეთის ტერიტორიაზე, გიორგი გაჩეჩილაძის მტკიცებით, რადიოაქტიურობა 150-ჯერაა გაზრდილი. ამ ტერიტორიაზე მდებარე 20-მდე სოფელში ეთნიკურად აფხაზები სახლობენ და დროთა განმავლობაში მათ რადიოაქტიური მოწამვლით სიკვდილი ელით.

„არაა გამორიცხული, რადიაქტიური ნივთიერებები საქართველოს წინააღმდეგ შიდა ქართლშიც გამოიყენონ“, – აცხადებს გაჩეჩილაძე. მოითხოვს, რომ ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე პოლონიუმ-210 ლონდონში მომხდარი მკვლელობის ერთ-ერთ სავარაუდო წყაროდ განიხილონ, რადგან საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს ასეთი გამოძიება არ ძალუძთ: ასევე, მოითხოვს, „გაერომ“ „ატომური ენერგეტიკის სააგენტოსა“ და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით, შეამოწმოს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტსა და გუდაუთის სამხედრო ბაზაზე არსებული რადიაქტიური მასალების მდგომარეობა.

**ოლღა ცისკარიშვილი**

## პრესკონფერენცია

# რატომ აცხადებენ უარს ჩვენი პოლიტიკოსები რუსულ საინფორმაციო საშუალებებში მონაწილეობაზე?

**ამას წინათ საერთაშორისო პრესცენტრ „ახალ ამბებში“ მოსკოვში გამართული მედიაფორუმის შედეგების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების იქ მიწვეულმა ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია გამართეს.**

ფორუმში, რომლის მიზანიც ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა იყო, ყოფილი საბჭოთა 14 რესპუბლიკის 63 წარმომადგენელი მონაწილეობდა. საქართველოდან იქ მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან ტაიმსის“ პრეზიდენტი მალხაზ გულაშვილი, გაზეთების: „სვობოდნაია გრუზიას“ და „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორები ტატო ლასხიშვილი და ლაშა ტუღუში იყვნენ მიწვეულნი. გამგზავრება მათ თურქეთის გავლით მოუხდათ.

თურმე, იმის ნაცვლად, რომ ფორუმზე ერთიანი მედიასივრცის შექმნაზე ემსჯელათ, ძირითადი თემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა იყო. ეს საკითხი კი საქართველოს წარმომადგენლებმა დასვეს, რადგანაც, მათი აზრით, ამ ორი ქვეყნის დაპირისპირება დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებსაც ეხებოდა.

ფორუმის მონაწილეთა უმრავლესობას ასეთი მედიასივრცის შექმნა თურმე, პოსტსაბჭოთა სივრცეში დაბრუნებას აგონებდა.

ჟურნალისტების უმრავლესობა საქართველოს მხარდამჭერ პოზიციას გამოხატავდა. თამამ განცხადებებს აკეთებდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლები, ალბათ, მათ ზურგს ნატოს წევრობაც უმაგრებდა. სხვები კი მხოლოდ პირად საუბრებში აღნიშნავდნენ ამას. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრე ბევრი რუსი ჟურნალისტიცაა“, – აღნიშნა ლაშა ტუღუშმა. კოლეგებისგან შეიტყვეს, რომ რუსეთის ტელეარხებზე გასულ ტოკ-შოუებში მონაწილეობაზე ქართველი პოლიტიკოსები უარს ამბობენ. „ჩვენი აზრით, თუ გვინდა, რომ რუსმა ხალხმაც გაიგოს სიმართლე, რაც ეგებ წაადგეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებას, მაშინ საამისოდ ნებისმიერი საშუალება, რუსულ საინფორმაციო საშუალებებში მონაწილეობაც უნდა გამოვიყენოთ“, – თქვა ტუღუშმა.

რუსეთში პრეზიდენტობის ორი ძირითადი კანდიდატია – ივანოვი და მედვედევი, მათი ხელისუფლების სათავეში მოსვლა კი საქართველოს კარგს არაფერს უქადის. ამიტომ ფორუმიდან დაბრუნებულთ ოპტიმიზმის საფუძველი არა აქვთ, რადგან, კონფრონტაციის უფრო მეტად გაღრმავებაა მოსალოდნელი.

**ლელა მანავლიშვილი**

## ინფორმაცია

### სოსო ცინცაძის მადლობა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გუშინდელი გადაწყვეტილების გამო დიდ მადლობას უხდის. ცინცაძის განცხადებით, დუმამ ქართველ დიპლომატებს დიდი საჩუქარი გაუკეთა.**

**„ამ გადაწყვეტილებამ ქართულ დიპლომატიას მოქმედების ფართო არეალი შეუქმნა. რუსეთმა აღიარა, რომ იგი, როგორც სამშვიდობო ძალა, დისკრედიტირებულია. მან თავად აღიარა, რომ იგი კონფლიქტის ერთ-ერთი მხარეა და არა სამშვიდობო ძალა. თანაც უფრო სარწმუნო ხდება ეს ყველაფერი, რადგან რუსეთმა საკუთარი სურვილით აღიარა ყოველივე. ამაზე კარგ საჩუქარს რუსეთი საქართველოს ვერ გაუკეთებდა“, – განაცხადა სოსო ცინცაძემ.**

### გია ხუხაშვილს ასე მიაჩნია

**„საქართველოს ხელისუფლებას დიდი სიბრძნე მართებს, რადგან რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირება კონტრშეტევის ფაზაში გადადის. თუ საქართველო ამ კონფლიქტში წინა ხაზზე აღმოჩნდა, ორივე მხრიდან ჩვენ მოგვხვდება“, – აცხადებს პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი.**

**იგი მიიჩნევს, რომ რუსეთის სათათბირო ორგანოს მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს და დუმის ეს გადაწყვეტილებაც რუსეთის პოლიტიკის ერთიან ჭრილში უნდა განიხილოს.**

**„რუსეთს სტრატეგიული მიმართულება აქვს აღებული. ძალიან მაღალია რისკი, რომ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობა უახლოეს მომავალში ცივი ომისა და კონტრშეტევის ფაზაში გადავა. ის, რომ დღეს საქართველო ამ მოვლენების ეპიცენტრშია, გარკვეულწილად ჩვენი ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკის ბრალია. ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს, რომ რაც შეიძლება შორს დადგეს საერთაშორისო დაპირისპირების ეპიცენტრისგან. თუ ამ კონფლიქტის კვანძის გახსნა საქართველოში მოხდა, ძალიან ცუდ შედეგებს მივიღებთ“, – განაცხადა ხუხაშვილმა.**

**ჯი-ეიჩ-ენ**

## გზადაგზა ნაპოვნი სურათები

# რეპორტაჟი წოპეს „პარლამენტიდან“

**დილის სუსხი უჭერს „ალექსანდრეს“ ბაღს. ჩათბილულან წოპეს „პარლამენტის“ წევრები – ქურთუკებით, ყურებიანი ქუდებით და ხელთათმანებით შეკაზმულან, რაც, ცხადია, კამათში ხელს არ უშლით. საკამათო კი, იცოცხლეთ, აქვთ და ისინიც ერთი მეორეს არ აცლიან ლაპარაკს. წოპე ცდილობს, დააწყნაროს „პარლამენტი“, მაგრამ ვინ უსმენს „სპიკერს“, რუსეთის გინებით იოხებენ გულს. საბოლოოდ მოიჭრეს თავიო, აცხადებს ბატონი მიშა – საერთაშორისო საკითხების სპეციალისტი – ვინ კითხავს მაგათ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებას, ეგ რეზოლუცია თუ ოქმი, უკან ამოისვანო, პუტინის გადაწყვეტილებაა მთავარიო...**

„პუტინიც მაგათ მხარეს იქნება, აი, ნახავთ!.. – იმედს გვიწურავს რამაზი, – ჟირინოვსკის დედა... ნახეთ რეები იკადრა?! „სამ ასოზე“ თავისი ცოლი გააგზავნოს!“

„რაღას უცდის, გამოიწვიოს ჩვენი ელჩი მიშამ, საერთოდ, ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს მაგ იმპერიალისტებთან! გაუჭირდებათ და დასჭირდებათ საქართველო!.. როდის მართავდნენ უჩვენოდ, ქვეყანას, ეგ „პიანიცები!“ – ღელავს წოპე, – უნდა გავძლოთ, როგორმე უნდა გავძლოთ!..“

„როგორ უნდა გაძლო!.. სულ ამ ხელისუფლების ბრალია ყველაფერი – რუსეთის გაცხარებაც, სულელი ბალაფშისა და კოკოითის გააქტიურებაც და საშინაო პრობლემებიც!.. ახალი წელი მოდის და ნახეთ, პროდუქტს რა ფასები ადევს!.. კილო ლობიო ხუთი ლარი ღირს ბაზარში!“ – ცხარობს მიშა.

„ლობიო უქახეთ თქვენ და, იცით, რა გამოყენება აქვს?!“ – ეტყობა, რაღაც სახუმარო უნდა ჩაურთოს რამაზმა.

„რა გამოყენება აქვს?!“ – ეკითხება აქამდე ჩუმად მდგომი უშანგი.



„კარგად დაიმახსოვრეთ ლობიოს სამი თვისება: **ლობიო კუჭს აძღობს, ლოგინს ათბობს და ბავშვებს ართობს!..** გაიგეეთ!..

ჩვენი სიცილი ავსებს ბაღის გამჭვირვალე ჰაერს და ამ მხიარულ ნოტზე ვიშლებით.

**ვილენ მარდალეიშვილი**

№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

# დრო

- აი, ასე: რუსეთს, განსაკუთრებით მოსკოვს აქცევენ მხოლოდ ქართველე-ბი, აფხაზები და ოსები, რომელთაც ხანდახან ეხმარებიან თავად რუსებიც, უკრაინელებიც და ბელორუსებიც. ამას წერს სოლიდური გაზეთი, ამას ამ-ბობს სახელმწიფო ჩინოვნიკი და... არც ერთი ფაქტი, არც ერთი გვარი...
- რაც მოწინავე ქართველებმა წამოიწყეს, ლომაიამ ერთი ხელის მოსმით მოსპო



№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

◉ ამას მეზობელი ჰქვია?

# თვალის ეკალი

## საქართველო პოლიტიკოსების ნაცვლად ქურდებმა გაამთლიანეს



**ახლახანს რუსმა სამართალდამცავებმა 9 თვის შედეგები შეაჯამეს. შეკრებას ვლადიმერ პუტინიც ესწრებოდა. იქ დანაშაულის ზრდის ისეთი მონაცემები დაასახელეს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი წონასწორობიდან გამოიყვანეს. კერძოდ, იანვარ-სექტემბერში მომხდარია 2,6 მილიონი დანაშაული, რაც 12 პროცენტით აჭარბებს წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ამასთან, არა ჩანს სიტუაციის გამოსწორების არავითარი პერსპექტივა. მილიციაც, პროკურატურაც, სასამართლოც გავსებულია უვიცებით, მოძალადეებით, მექრთამეებით...**

ასეთ ვითარებაში ხომ საჭიროა თავის გამართლება, საკუთარი ტყავის გადარჩენა, ცოდვების სხვაზე გადაბრალება? საჭიროა! ჰოდა, აგერ არიან ქართველები, — მათ წამოვკიდოთ ყველაფერი, — მაინც ვაძაგებთ, მაინც ვიჭერთ, მაინც ვხოცავთ... კონკრეტიკა? მოგცლიათ ერთი! მთავარია ითქვას, გაჟღერდეს, გახმაურდეს ყურადღება უცხოზე გადავიდეს.

საშინელ დღეშია თვით მოსკოვი. ქუჩაში გამოსვლას ვინლა ჩივის, ხალხი ვერ ისვენებს საკუთარ სახლშიც. შარშანდელ 9 თვეში აქ დაფიქსირდა, მაგალითად, ბინის ქურდობის 10.420 ფაქტი, წლევანდელი ამავე პერიოდში კი — 10.777. ერთი შეხედვით, ზრდა პატარაა, მაგრამ... ეს ზრდა მოდის ბოლო 10 წლის მანძილზე და იგი ვერაფრით ვერ შეჩერდა, პირიქით, წონადი, ელიტური გახდა. აქ კმარა დუმის ვიცე-სპიკერის ლიუბოვ სლისკას ბინის გაქურდვაც, რომლის დროსაც წაიღეს 500 ათასი დოლარის ძვირფასი ნივთები, ძირითადად, სამკაულები.

შარშანდელი შედეგებით მოსკოვში პირველ ადგილზე გავიდნენ უკრაინელები (3.664 დანაშაული), მეორეზე — ტაჯიკები (2.776), მესამეზე მოლდოვები (2.475, მეოთხეზე — უზბეკები (1.971, მეხუთეზე — აზერბაიჯანელები (1.518 და მხოლოდ მეექვსეზე — ქართველები (950 დანაშაული). წლეულს? ქართველებმა ყველას „გადავუჯოკრეთ“, ყველას ვაჯობეთ. აბა, მოუსმინეთ მოსკოვის არასაუწყებო დაცვის სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ ალექსანდრ ბლაგოვს: — საერთო დანაშაულში, განსაკუთრებით კი ბინების ქურდობაში, გაწაფულნი არიან ეთნიკური ჯგუფები, რომლებშიც შედიან ქართველები, აფხაზები და ოსები (არიქა, ამათ უკვე გაუერთიანებიათ საქართველო). ისინი მუშაობენ სავახტო მეთოდებით, — ჩაიდენენ დანაშაულს და გადაფრინდებიან სამშობლოში. იქ კი მათი პოვნა და დაპატიმრება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ხანდახან თურმე სხვებიც გვეხმარებიან. მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს მონაცემებით, ბინის ქურდობებში ყველაზე ნათლად გამოიკვეთნენ ქართული დანაშაულებრივი დაჯგუფებები და მათი ქურდული სკოლის მიმდევრები. ქართველებს ზოგჯერ ეხმარებიან რუსებიც, უკრაინელებიც, ბელორუსებიც. ძირითადად მუშაობენ ქუთაისელი ქურდები. მათ ვერ მიაგნებ, — ისინი პროფესიონალები არიან. კანონიერი ქურდები მხოლოდ ორგანიზატორები ყოფილან. ერთ ჯერზე უშვებენ 3-4 კაცს. მერე შემადგენლობას ცვლიან („მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 22 ნოემბერი, 2006 წელი).

აი, ასე: რუსეთს, განსაკუთრებით მოსკოვს აქცევენ მხოლოდ ქართველები, აფხაზები და ოსები, რომელთაც ხანდახან ეხმარებიან თავად რუსებიც, უკრაინელებიც და ბელორუსებიც. ამას წერს სოლიდური გაზეთი, ამას ამბობს სახელმწიფო ჩინოვნიკი და... არც ერთი ფაქტი, არც ერთი გვარი... მხოლოდ ზოგადად, — ქართველები, აფხაზები და ოსები... სხვათა შორის, გაზეთი ბეჭდავს ფოტოს (ბინის ძარცვის მომენტს), რომელზეც გამოსახულია ორი პიროვნება, — ერთი უკნიდან, მეორე — წინიდან. უკნიდან ვერ განსაზღვრავთ ვერავის, წინიდან კი... ვინც არის, — ნაღდი აფრიკელია. იმას კავკასიელის არაფერი სცხია. თუმცა, თავად დააკვირდით...

სიტუაცია ისე ვითარდება, რომ მალე მოსკოვში კი არა, მთელს რუსეთში ქართველი აღარ დარჩება. მაგასაც ვნახავთ, მერე ვილას დააბრალებენ ან მანქანის გატაცებას ან ბინის გაქურდვას!

**ზონდო გულიაშვილი**

◉ ფიქრები საპარლამენტო მისასვლელთან

# შინაში საწუხარსაც უნდა შენდობა

**პარლამენტის დროებითი სადეპორტაციო კომისიის (ასე მოკლედ მოვიხსენიოთ, თორემ ოფიციალური დასახელება რატო ნახევარმეტრიანი სიგრძისა არ იქნებაძ სხდომაზე რამდენიმე დეპორტირებულის ჩვენება მოისმინეს.**



რასაკვირველია, რუსეთიდან ქართველთა უზოდიშო და დაუნდობელი გამოძევების გარემოებანი მძიმე აღსაქმელი იქნებოდა და ტელეკამერის წინ მწუხარე სახის რაინდად წარმდგარი ნიკა გვარამიას (კომისიის თავმჯდომარე გახლავთძ განცხადებას — თვალზე ცრემლი მომადგაო, ეგებ, ნდობითაც უნდა შევხვდეთ, მაგრამ...

მაგრამ ისა რომ როგორი საწყენიც, ლამის ტრაგიკულიც უნდა იყოს რუსეთში დატრიალებული ამბები — მანამდე აქ, შინ, დასამწუხრებელსა და თვალასაცრემლებელს ბატონი ნიკა არაფერს შეხვედრია? სანდრო გირგვლიანის ამაზრზენი მკვლელობის ამბავი რომ შეიტყო, ნაგვის ყუთის მჩხრეკავი საცოდავი კაცი რომ დაინახა, შუაგულ ქალაქში კიბის ქვეშ მცხოვრები ორი დის შესახებ რომ გაიგო, ბაღში მოზინადრე და მუყაოს ყუთებში ღამისმთეველი დედა-შვილის ისტორია რომ ნახა ეკრანზე — მაშინ თუ შეძრწუნდა, მაშინ თუ აუცრემლდა თვალები? ეს იმიტომ არ მოხდა, რომ დეპორტირებულთა ბედზე საჯარო რეაგირება უფრო სარეიტინგო და საპიაროა?

ახლა ერთი პრინციპული მომენტიც ისევ დეპორტაციასთან დაკავშირებით: ხელისუფლება იმისაა, რომ კარგად უნდა გათვალოს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ ნაბიჯს, ამა თუ იმ ქმედებას, სახელმწიფო დონეზე გადადგმულსა თუ ჩადენილს. იმ ჩემი ცოდვით სავსე ოთხი რუსი ოფიცრის დაჭერა რომ ასე გააფორმეს, „გააჟღერეს“, მთელ მსოფლიოს მოსდეს — ცოტა წინ ვერ გაიხედეს? გვილირდა ეს ოპერაცია რუსეთში ამდენი ქართველის აწიოკებად? ამდენი კონტრდარტყმის გამოსაწვევად? დიდ ჩრდილოელ მეზობელს დამატებითი საბაბი სჭირდებოდა მტრობის გამოსაჩენად?...

**... ეჰ, რასაა, რომ არ ფიქრობს კაცი, მაგრამ დანარჩენი სხვა დროს იყოს....**

**თამაზ ებანოიძე**

◉ სატკივარი

# შინაური რასაც გიზამს...

**ახლახან ვიყავი საინგილოში, შევიარე სოფელ ალიაბადში, სადაც გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ, არ დაუკარგავთ დედა ენა, მაგრამ, რაც მტერმა ვერ მოგვიხერხა საუკუნეების მანძილზე, ორ წელიწადში გადაწყვიტა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა სოფელ ალიაბადში ოთხი სკოლიდან მხოლოდ №1 საშუალო ინტერნაციონალურ სკოლაში მიიყვანეს წლეულს ქართულ სექტორზე სულ ექვსი ბავშვი. შარშან მოსახლეობას იმედი ჰქონდა, რომ ა. ლომაია გამოასწორებდა თავისსავე შეცდომას და ამ სექტემბერში მიიღებდა რამდენიმე ინგილო ახალგაზრდას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.**

ჩვენდა საუბედუროდ, ასე არ მოხდა. ინგილოები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში უსმენენ აზერბაიჯანულ მუსიკას, უყურებენ აზერბაიჯანულ ტელეგადაცემებს, აზერბაიჯანულ სპექტაკლებსა და კინოფილმებს, მხოლოდ ქართული გაკვეთილის ამარად რჩებიან, ოთხ-ხუთ თვიანი მოსამზადებელი კურსების გავლის შემდეგაც კი, როგორ უნდა ჩააბარონ მათ ქართულად მისაღები გამოცდები იქაური ბავშვების თანაბრად?

საქართველოში სკოლადამთავრებულ მოსწავლეებთან მათი შედარება, უბრალოდ, არ შეიძლება. აი, შედეგიც: წლეულს სოფელ ალიაბათის 12 ათასი მოსახლიდან მხოლოდ ორი ბავშვი ჩაირიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში. ამის გამო, სოფლის ყოფილი ოთხი სკოლიდან, მხოლოდ ზემოხსენებულ №1 სკოლაში მიიყვანეს ექვსი ბავშვი. ამ ამბავს დოლ-გარმონით შეხვდნენ არა მარტო ზაქათალის განათლების მუშაკები, არამედ აზერბაიჯანის განათლების სისტემაც. იხურება ქართული სექტორები. დიდი ღვაწლისთვის, ლაზათ, მალე ლომაიას გულმკერდს მათი ორდენები და მედლები დაამშვენებენ. არადა, საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ ისინი ქართული სულის ამოშანთვას. არადა, მათ ამ სოფლიდან ბაქოს უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც ყოველთვის, წელსაც უგამოცდოდ ჩარიცხეს უამრავი ახალგაზრდა, ოღონდ, აზერბაიჯანულად ისწავლონ. ე.ი. რამდენიმე წელიწადში ამ სოფელში ქართული სიტყვა და ქართული კერა სკოლასთან ერთად ჩაქრება, რაც, სავარაუდოდ, კიდევ და კიდევ გაახარებს განათლების მინისტრ ლომაიას.

რაც მოწინავე ქართველებმა წამოიწყეს, ლომაიამ ერთი ხელის მოსმით მოსპო. გულგრილად ნუ ხართ, ქართველებო! ხმა ამოიღეთ. ეს მარტო ჩვენ არ გვეხება. საერთოდ, ქართული საქმისათვის ქართული სული, ქართული განათლება, ქართული აზროვნება, ქართული ტაძრები საჭირო. ეს რა, არ იცის კაკა ლომაიამ?

**მიხეილ ჰერეთელი**



# ავი სენი

**ქართული სახელმწიფოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ კოდექსს შორის აშკარა შეუსაბამობაა: ერთგან წერია, რომ ნარკომანია არის ავადმყოფობა, ხოლო მეორეგან კი – კრიმინალი**



SOS!

## ნარკომანია – ავადმყოფობა თუ დანაშაული?!

**ნარკოტიკების მოხმარება საქართველოში საშიშ მოვლენად იქცა. ამ სენმა ერი დემოგრაფიული საფრთხის წინაშე დააყენა. ამ პრობლემის გამო სიტუაცია, ბოლო ათი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაუარესდა. ეს არა მარტო ექსპერტებმა, არამედ საზოგადოების დიდმა ნაწილმაც უკვე კარგა ხანია შეამჩნია. არაოფიციალური სტატისტიკით საქართველოში 170 000-დან 250 000-მდე ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელია. აქედან 70 000-მდე ნარკოტიკებზეა დამოკიდებული! თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ ეს რიცხვი ბევრად მეტი იყოს!..**

ნარკომანიის გავრცელებასთან ბრძოლა მარტივი არ არის, მთელი მსოფლიო ებრძვის ამ სენს. ბოლო დროს საქართველოში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა სამართალდამცველების მთავარი საზრუნავი გახდა. ამით ეს პრობლემა, ფაქტია, ვერ აღმოიფხვრა. წინა წელთან შედარებით, ნარკოტიკის მოხმარების დაწყების ასაკი 2 წლით გაახალგაზრდავდა, ანუ, თუ საშუალო ასაკი 18 წელი იყო, ახლა უკვე 16 წელი გახდა. ამასთანავე, ქვეყანა სამკურნალო საშუალებების სიმცირეს განიცდის. კერძოდ, თითქმის არ არის საკონსულტაციო და სარეაბილიტაციო ცენტრები, სადაც მკურნალობას ჩაატარებენ. ეს განსაკუთრებით ხელმიუწვდომელია მათთვის, ვისაც მკურნალობის საფასურის გადახდა არ შეუძლიათ. თუ თქვენ ნარკომანი ხართ და მიხვედით ფსიქოკორექციისა და ნარკოლოგიური ექსპერტიზის ცენტრში, მოკლედ და კონკრეტულად გეტყვიან, რომ **ერთი თეთრიც კი არ არის ბიუჯეტში, სახელმწიფოს ხარჯზე, რომ გიმკურნალოთო.** ხოლო თუ თქვენი ხარჯებით იმკურნალებთ, ვერც ამ შემთხვევაში მიგიღებენ, რადგან ადგილები ძალიან შეზღუდულია! მკურნალობის მაგივრად, წამალდამოკიდებულები ციხეში ხვდებიან, სადაც ისინი კვლავ განაგრძობენ ნარკოტიკების მიღებას. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, ნარკოტიკების მოხმარება, მათ შორის მაღალი რისკის ინექციური მოხმარება, ფართოდ არის გავრცელებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ციხეებში არ არსებობს მკურნალობისა და ზიანის შემცირების პროგრამები.

ფაქტია, რომ დღეს საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკა მიზანს ვერ აღწევს. ხელისუფლება ახალი სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის შემუშავება-განხილვის პროცესშია. თავის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაცია – კავშირმა „ალტერნატივა ჯორჯიამ" შეიმუშავა საქართველოს ნარკოპოლიტიკის სამოქმედო გეგმა მკურნალობისა და რისკის შემცირებისთვის. ამ გეგმასაც, ასევე, განიხილავენ პარლამენტში.

**სამოქმედო გეგმაზე თავად პროექტის ავტორი – დავით ოთიაშვილი საუბრობს:**

„დღეს საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის გადაჭრას ცდილობენ მხოლოდ და მხოლოდ მარტივი რეპრესიული მექანიზმით, ანუ არსებობს ერთი ხერხი და ეს არის ნარკომანიის რეპრესია და დასჯა. ჩვენ ვიბრძვის დავარწმუნოთ მთავრობა, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების გარეშე, არა თუ ვერ გადაწყდება ქვეყანაში ნარკომანიის პრობლემა, არამედ შემცირებასაც ვერ შევძლებთ. ამ დოკუმენტში აღნიშნულია თუ რა უნდა გააკეთოს მთავრობამ მკურნალობისა და ზიანის შემცირების მიმართულებით. ვინ უნდა იაქტიუროს, რა დაჯდება და რა შედეგს მოგვცემს. საქართველოში ნარკოტიკის მომხმარებელს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ჯარიმა ეკისრება. ამით ნარკომანები არ ჯანმრთელდებიან და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ ხდებიან დაჯარიმების ობიექტები. არანაირი დადებითი შედეგი დასჯას არ მოაქვს. თუმცა ისიც გვესმის, რეალისტურად ვცდილობთ ვიმსჯელოთ, რომ ქართული საზოგადოება ამ არგუმენტის მისაღებად არ არის მზად. ჩვენ მიერ შეთავაზებულ წინადადებაში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სანქცია, როდესაც ნარკოტიკების მოხმარება ხდება საზოგადოებრივ ადგილებში, თუ არღვევს საზოგადოებრივ სიმშვიდეს, უნდა დაისაჯოს კიდეც. კონცეფციის მთავარ მიზნად ასევე „ზიანის შემცირების პროგრამის" უზრუნველყოფა მივვაჩნია.

## სახელმწიფო ნარკომანიით დაავადებულ ადამიანებს ბიუჯეტის შესავსებად იყენებს!



### ინვესტიცია ჯანმრთელ მომავალში

**ნარკოტიკული საშუალებების ინექციური მოხმარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რაც ნარკომომხმარებლებს და არამომხმარებელ საზოგადოებას შორის სისხლით გადამდები დაავადებების რისკით არის განპირობებული. ეს იმითაც დასტურდება, რომ აივ-ის რეგისტრირებული შემთხვევების 70 პროცენტი ნარკოტიკის ინექციურ მოხმარებასთან არის დაკავშირებული.**

ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი „ახალი გზა" ზიანის შემცირების პროგრამას ახორციელებს მთელ საქართველოში.

**დალი უშვერიძე – ორგანიზაციის ხელმძღვანელი გვეუბნება:** ზიანის შემცირების პროექტის მიზანია ნარკოტიკების მოხმარებამ რაც შეიძლება ნაკლებად დააზარალოს როგორც თავად მომხმარებელი, ისე საზოგადოება. ეს მიმართულია ნარკოტიკების იმ მომხმარებელზე, რომლებიც ინექციური გზით იღებენ მას. **შიდსს, C და B** ჰეპატიტებს და სხვა სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებებს, უმეტესწილად, ნარკოტიკების მომხმარებლები ავრცელებენ. ძირითადად, ეს ინფექცია გადადის საერთო შპრიცების მოხმარებით. ზიანის შემცირების ძირითად სტრატეგიებს შორისაა შპრიცების და ნემსების გაცვლის პროგრამები, – გამოყენებული ინექციური ინსტრუმენტების სანაცვლოდ ახალი ერთჯერადი შპრიცების მიწოდება. ჩვენ ვაწვდით ინფორმაციას მომხმარებლებსა და მათი ოჯახის წევრებს, იმის თაობაზე, რომ მათაც იცოდნენ საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის პირობები. ასევე, ამ სენით დაავადებულებს ვუწევთ ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და იურიდიულ კონსულტაციას.

– **თქვენ იზიარებთ აზრს, რომ ნარკომანი არის ავადმყოფი და არა კრიმინალური ელემენტი?**

– ქართული სახელმწიფოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ კოდექსს შორის აშკარა შეუსაბამობაა: ერთგან წერია, რომ ნარკომანია არის ავადმყოფობა, ხოლო მეორეგან კი – კრიმინალი. და იმისთვის, რომ ის ნარკოტიკების მომხმარებელია, შეიძლება დაიჭირონ. ციხეში ჩასმას აზრი არ აქვს, თუ ჩვენ მიზნად ვისახავთ ნარკომანიის პრობლემების შემცირებას, ანუ ადამიანის გადარჩენას ნარკოტიკებისგან. სამწუხაროდ, ციხეშიც შედის ნარკოტიკები და იქ არ არის მკურნალობის საშუალებები. ასევეა ჯარიმის გადახდის შემთხვევაშიც. ამით ნარკომანი ხომ არ განიკურნება ამ ავადმყოფობისგან, პირიქით, აუარესებს კრიმინალურ მდგომარეობას, რადგან ავადმყოფი, უმუშევარი, სოციალურად დაუცველი ადამიანისათვის ამ თანხის შოვნა ლეგალური გზით შეუძლებელია.

**ფაქტია, სახელმწიფო არ ზრუნავს ნარკომანიით დაავადებული ადამიანების ჯანმრთელობის დაცვაზე. იგი ამ სენით შეპყრობილ ადამიანებს ბიუჯეტის შესავსებად იყენებს.**

* * *

**როგორ მიდგომას აირჩევს ხელისუფლება და გაითვალისწინებს თუ არა კავშირ „ალტერნატივა ჯორჯიას" მიერ შეთავაზებულ სამოქმედო გეგმას (რომელსაც მხარს უჭერს ზიანის შემცირების ქსელში ჩართული 18 არასამთავრობო ორგანიზაციაძ, ეს უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, მას შემდეგ რაც პარლამენტი კანონპროექტის განხილვას დაიწყებს.**

### არ გეგონოს, რომ, რაც სხვას მოსდის, შენ არ მოგივა!

ჩვენი შემდეგი რესპონდენტი უკვე 15 წელია ნარკოტიკების ინტრავენური მომხმარებელია. სახელის გამხელა არ ისურვა, არ მინდა ხალხმა მიცნოსო, ოჯახიც ჰყავს, მაგრამ როგორც თავად ამბობს, „მათ დიდი ხანია უკვე მოიძულეს!"

– **პირველად როდის და რატომ დაიწყეთ ნარკოტიკების მოხმარება?**

– რაღაც პრობლემები მქონდა და ძალიან ვნერვიულობდი. უბანში ბიჭებმა მითხრეს, შენც ერთი „გაიჩხირე" და დაწყნარდებიო. მეც ვიფიქრე, ერთი რას მიზამს მეთქი და... აი რაც მიქნა...

– **და არ გიცდია მთელი ამ ხნის განმავლობაში ნარკოტიკის გადაგდება?**

– მიფიქრია და ვიმკურნალე კიდეც, მაგრამ სამ თვეში ისევ დავიწყე. ძალიან ძლიერი ნებისყოფა უნდა გქონდეს, რომ თავი დაანებო.

– **დაპატიმრების და ციხეში ჩასმის ან ჯარიმის გადახდის შიში თუ არის შემაკავებელი ფაქტორი, რის გამოც შეიძლება თავი დაანებო ნარკოტიკს?**

– ამის შიში რომ გვქონდეს, მაშინ ნარკომანი აღარ იქნებოდა. ნარკოტიკების მოხმარებისთვის ერთხელ უკვე ვიჯექი, მაგრამ დავანებე თავი?

– **საერთო შპრიცით გაგიკეთებია ნარკოტიკი?**

– საერთო შპრიცს ვინ უყურებს. ყოველ დილით იმაზე ვფიქრობ, მინიმუმ 30 ლარი ვიშოვო, რომ სუბოტექსი „გავჩითო" და გავიკეთო.

– **ალბათ, იცით, რომ ამის გამო სისხლით გადამდები დაავადებების, რომელიმე ვირუსული ჰეპატიტის მატარებელი ხართ, რითაც საფრთხეს უქმნით როგორც საკუთარ თავს, ისე დანარჩენ საზოგადოებას. არ გიფიქრიათ ზიანის შემცირების პროგრამაში ჩართულიყავით?**

– გამორიცხული არ არის შიდსიც მჭირდეს!.. მკურნალობა ჩემთვის უკვე დაგვიანებულია. ზიანის შემცირების პროგრამა თუ არსებობდა, ეს თქვენგან გავიგე.

*P. S. „და მაინც, ვაჟკაცურად გთხოვთ, ეგებ თავი შეიკავოთ!.." – მოგიწოდებთ ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების ჯგუფი.*

**თამარ ხურცია**

ინფორმაცია

### ევროსაბჭოს წინადადებებს გაითვალისწინებენ

**როგორც იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, საქართველოს პატიმრობის კოდექსის ახალ პროექტზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მუშა ჯგუფმა, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" მხარდაჭერით, გუდაურში სამუშაო შეხვედრა გამართა.**

**ჯგუფმა ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ მიწოდებული შენიშვნები და წინადადებები განიხილა. უახლოეს მომავალში კოდექსის სრულყოფა და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა იგეგმება.**

### შეიქმნება საკოორდინაციო საბჭო

**სუამის ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) ოპოზიციური პარტიები საკოორდინაციო საბჭოს შექმნიან, რათა საკუთარი ხალხის ინტერესები დაიცვან. ამის შესახებ უკრაინის „პროგრესულ-სოციალისტური პარტიის" ლიდერმა ნატალია ვიტრენკომ უკრაინულ სააგენტოს განუცხადა.**

**ვიტრენკოს თქმით, საკოორდინაციო საბჭო რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, ანტირუსული მოძრაობის წინააღმდეგ გალაშქრებასა და ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერას ისახავს მიზნად.**

**საბჭოს შემადგენლობაში შევლენ აზერბაიჯანული მოძრაობა „აზერბაიჯანისგზა", ქართული პარტია „სამართლიანობა", მოლდოვას „ეროვნულ-რესპუბლიკური პარტია" და უკრაინის „პროგრესულ-სოციალისტური პარტია".**

**საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის პოსტს რიგრიგობით ყველა პარტია დაიკავებს.**

### სასაზღვრო პოლიციას ექსპერტები ეწვივნენ

**სასაზღვრო პოლიციას სუამის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელ-ექსპერტები ეწვივნენ.**

**როგორც სასაზღვრო პოლიციიდან იტყობინებიან, სამუშაო შეხვედრაზე საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთა მიერ მწვანე საზღვრის უსაფრთხოების ორგანიზების საკითხები განიხილება.**

**პროგრამის ფარგლებში სტუმრები სასაზღვრო პოლიციის სამართველოებს მოინახულებენ და იქ არსებულ ვითარებას გაეცნობიან.**

**ინტერპრესნიუსი**

● თუკი დანიშნულების ადგილამდე სული მიგყვა, ისე გვარიანად იქნები დანგრეულ-დანჯღრეული, კარგა ხანს, ალბათ, კაცად აღარ ივარგებ, ქალად, მით უმეტეს

● ჩვენთან ჩრდილოვანი ეკონომიკა 1999-2004 წლების მონაცემებით 78 პროცენტის ტოლია! აი, ეს არის პოტენციალი! ანუ, ჩვენი მომავალი ბიუჯეტი 4 მილიარდის მაგიერ, 5-6 მილიარდი მაინც უნდა იყოს!



№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ გუშინდელი ფოსტიდან

# მეტეხიდან ნოსტეში ასვლა ამჯერად თვით გიორგი სააკაძის ბედაურსაც გაუჭირდებოდა...

## ჯირი დანახული ჯობს

**ჩვენი ერთობ ჩაუქი პრეზიდენტისა არ იყოს, მართლაც, თვალსაც უხარის და გულსაც ახლახან გახსნილი მცხეთა-გორის ავტოსტრადის, ანუ აუტობანის, არა მარტო ნახვა, არამედ „უშუალო დაძლევა“, ოღონდ, არავითარი შარაგზა, აუცილებლად აუტობანი. ასეა ევროკავშირშიო...**

მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ამ ჩინებული ავტოსტრადიდან მარცხნივ ან მარჯვნივ გადაუხვევ თუ არა, უცებ აშკარად ჯოჯოხეთურ „გზაზე“ აღმოჩნდები, მთელი წელანდელი სიამოვნება ჩაგმწარდება, თუკი დანიშნულების ადგილამდე სული მიგყვა, ისე გვარიანად იქნები დანგრეულ-დანჯღრეული, კარგა ხანს, ალბათ, კაცად აღარ ივარგებ, ქალად, მით უმეტეს. თანაც ღმერთმა დაიფაროს ამ გზებზე ფეხმძიმე ქალბატონი, მუცლის მოწყვეტა ეგრევე არ ასცდება.

ზღაპარს არ გიყვებით, ბატონებო. თუ ვინმეს დიდი მოურავის მშობლიური სოფლის — ნოსტეს მონახულება გადაგიწყვეტიათ, ავტოტრანსპორტით მგზავრობას არ გირჩევთ... ბევრად უმჯობესია, მეტეხის რკინიგზის სადგურიდან ხელში კეტმომარჯვებული ფეხით გაუდგეთ... ნაგზაურს. დიახ, ნაგზაურს, რადგან იმ უსწორმასწორო, ოკრო-ბოკრო, დაოღროჩოღროებულ ღადაღუდას, რომელმაც ნოსტემდე უნდა მიგიყვანოთ, გზის მეტი ყველაფერი ეთქმის.

რასაც გწერთ, საკუთარ თავზე ვიწვნიე და აღშფოთებულიც იმიტომ ვარ. ამ დღეებში ერთ ჩემს ძმაკაცს პაპა გარდაეცვალა ნოსტეში და რამდენიმე მეგობარმა დაკრძალვაზე ჩასვლა განვიზრახეთ. მაგრამ, როგორც იტყვიან, ნეტავი ფეხი მოგვტეხოდა და პირი იქით არ გვექნა (მე შენ გეტყვი, დეპეშას გაგზავნი და იმავე დღეს მიართმევენ ადრესატს!). მანქანა მანქანად დავამტვრიეთ და, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ნოსტეში რომ ავაღწიეთ — მეტეხის, ჩოჩეთის, ახალქალაქისა და ახალციხის გავლით, მიცვალებული უკვე სამი საათის დამარხული იყო და ქელეხის სუფრაც უკვე აშლილი დაგვხვდა...

— თქვენ კი არა, ჩემო ქალაქელო შვილებო, თვითონ გიორგი სააკაძის ბედაურიც ფეხს მოიტეხდა ამ უვალ სავალზე, — ნაღვლიანად შემოგვჩივლა მავანმა ნოსტელმა ბერიკაცმა თავისი კბილა თანასოფლელის ჭირის სუფრაზე შეღვინიანებულმა.

ძალიან მინდა, ძვირფასო რედაქცია, ნოსტელი ბერიკაცის ეს გულისტკივილიანი სიტყვები თქვენი გაზეთის ფურცლებზე შიდა ქართლის გუბერნატორმა წაიკითხოს, ცოტა გაბრაზდეს და კასპის გამგებელიც თან იახლოს ნოსტეში, რათა ორივენი ერთად დარწმუნდნენ, რამდენად მართალი მოგწერეთ.

**არადა, ნამდვილად ეროვნული სირცხვილია ნოსტისკენ მიმავალი გზის ნაგზაურად გადაქცევა.**

**ჯუმბერ გოგიბედაშვილი**

◎ მცირე მეწარმეობა

# თხის პატრონს თხის კუდიც არა?

## იქნებ, ათი მართლა სჯობს ათასს...

***ამ რამდენიმე დღის წინათ მკითხველს შევთავაზე საქართველოს მცირე მეწარმეთა სადისკუსიო კლუბის მორიგი შეკრების ანგარიში. ვითარებათა გამო, ბევრი კითხვა მაინც პასუხგაუცემელი დამრჩა. ამიტომ რედაქციაში მოვიწვიე საქართველოს მეწარმეთა გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორი თამაზ ვაშაკიძე. გთავაზობთ ჩვენი საუბრის შინაარსს, რაც, ვიმედოვნებ, მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება.***

დისკუსიის დროს წამოტივტივდა ეგრეთ წოდებული „შავი ბუღალტერია“. სტუმარი — საფრანგეთის განვითარების კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელი ეველინ ბაუმანი უხერხულად იღიმებოდა და მხრებს იჩეჩავდა. მე მგონი, ასეთი ბუღალტერია არც იმათთვის უნდა იყოს უცხო, მაგრამ, ჩვენთან რომ არის, ისეთი მასშტაბისა?! ახლა მე ვცდილობ, ბატონი თამაზის დახმარებით უფრო ღრმად ჩავწვდე „მეცნიერებას“, რომელმაც უცხოელი სპეციალისტი გააოცა...

— წარმოიდგინეთ, „შავი ბუღალტერია“ რეალობაა და მეწარმის შესაძლებლობიდან გამომდინარეობს. იქ ყველაფერი არის აღნუსხული — ყიდვა, გაყიდვა, ფასები, გადასახადების ოდენობა, მოსალოდნელი მოგება... ნამდვილ, საჩინო ბუღალტერიაში ყველაფერი ისეა მოყვანილი, რომ გადასახადმა 25 პროცენტზე მეტით არ გადააჭარბოს კანონით გათვალისწინებული გადასახადის ოდენობას. მეწარმე ასე რომ არ მოიქცეს, უეჭველად გაკოტრდება! წარმოიდგინეთ, როცა მეწარმეს კრედიტის აღება უნდა, მიდის მასთან ბანკის კრედიტის ოფიცერი და ეუბნება, „შავი ბუღალტერია“ მიჩვენეო...

**— მაშ, გამოდის, რომ მეწარმემ, უნდა თუ არა, თავი რომ გადაირჩინოს და საქმიანობა განაგრძოს, უნდა იცრუოს, ითვალთმაქცოს. ასეა?**

— დიახ, ასეა! საქართველოში დარეგისტრირებულია 82 ათასი მცირე საწარმო. აქედან 62 ათასი ინდმეწარმე, ანუ ფიზიკური პირია. ამ 62 ათას საწარმოდან საქართველოში საშუალოდ ერთ საწარმოში მუშაობს 4 ადამიანი, თბილისში — 7, ესე იგი, მთლიანად საქართველოში საშუალოდ 5 კაცი. არსებული დღგ-ს გადასახადის ჩათვლით და 5 ადამიანისა და საწარმოს მუშაკელის სახელფასო გადასახადის ჯამში დღგ ერთად შეადგენს ბრუნვის (100 და 100-ის ზევით) 32 პროცენტს. დაუმატეთ სხვა გადასახადები, თუ საწარმო იურიდიული პირია, მთლიანი გადასახადების ოდენობა მაშინ 56-60 პროცენტს მიაღწევს! განვითარების იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს მატერიალური წარმოების სფეროსთან, სადაც პროდუქციას ვაწარმოებთ, მისი დანახარჯები 100-ის მინიმუმ 40 პროცენტი მაინც იქნება (ესეც — იდეალურ შემთხვევაში). ჰოდა, ახლა დაიანგარიშეთ, რა დარჩება მეწარმეს? მაპატიეთ და, ალბათ, თხის კუდი! დასკვნაც შესაბამისია....

**— რისთვის კეთდება ეს — განა, საფინანსო და საგადასახადო ორგანოებმა არ იციან ეს შეუსაბამობა?**

— ზეპირად იციან, მაგრამ... 25 პროცენტ მეწარმე თუ ბიუჯეტს უხდის, მეორე 25 პროცენტსაც იხდის დამატებით, მაგრამ ეს თანხა სად მიდის, მან არ იცის. შესაბამისად, რეალური გადასახადი არის დღგ-ს არა — 18, არამედ — 9, მაქსიმუმ კი 10 პროცენტი. ამასთან, **ევროკავშირის სახელმძღვანელოში,** რომელიც ქართულ ენაზე ორჯერ გამოიცა, შავით თეთრზე წერია, რომ განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ დღგ-ს გადასახადი დაიყვანონ 5 პროცენტამდე. **ზედა ზღვარი შეზღუდული არ არის. ისმის კითხვა: რატომ იყო საქართველოში დღგ 20 პროცენტი წინა საგადასახადო კოდექსში, და რატომ არის ახალში — 18, თუ 5 პროცენტის უფლება ჰქონდა?** ამისი განსჯა თქვენთვის და მკითხველისთვის მიმინდვია...

**— ბატონო თამაზ, ბოლო ხანს ორჯერ დავესწარი თქვენი სადისკუსიო კლუბის სხდომებს და ორჯერვე წამოტივტივდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სახელი, მცირე მეწარმეობას ზღუდავსო. რაში გამოიხატება ეს შეზღუდვა?**

— როდესაც ახლანდელი პრემიერი ფინანსთა მინისტრი იყო და გადასახადების შემცირების თაობაზე ჩვენს წინადადებებს გაეცნო, პირდაპირ განაცხადა, მხარს ვერ დაგიჭერთ, ვინაიდან **გადასახადების შემცირება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს შეამცირებსო.** მეწარმეები კი სვამენ კითხვას: **რა ურჩევნია სახელმწიფოს, ბიუჯეტში გადაიხადოს ათმა მეწარმემ თუ ათასმა?** ბავშვიც კი მიხვდება, რომელია უკეთესი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, დღევანდელი ფინანსთა მინისტრიც ამავე პოლიტიკას აგრძელებს. პარლამენტის წევრმა ალეკო შალამბერიძემ წამოაყენა წინადადება სოციალური, საშემოსავლო და მოგების გადასახადების შემცირების თაობაზე, რომელსაც გაზეთ „ალიას“ ფურცლებზე სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემაც კი მხარი დაუჭირა სახელმწიფო ხარჯების შემცირების პროექტით. ფინანსთა მინისტრს ამისი გაგონებაც არ სურს. მცირე მეწარმეობის განვითარებაში ხელშეშლაც სწორედ ამაშია.

**— უცხოეთში კრედიტების აღების დროს გარანტიას ყოველთვის არ ითხოვენ, იქ გარანტად შესაძენი საქონელიც კმარა — მოწყობილობები, აპარატურა, ხაზი... ჩვენთანაც თუ არის ასეთი პაქტიკა?**

— კი, ჩვენთანაც არის. მიკროსესხის აღების დროს მეწარმეს შეუძლია, რომ გარანტიაში შესაძენი ნივთი ჩადოს. ამისი მაგალითები არის — ბოლოს და ბოლოს, თუ მსესხებელი ვალს ვერ გადაიხდის, იმ ნივთს გაუყიდიან. საუბედუროდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა თანდათან მცირდება, ვინაიდან 2006 წლის ივლისში მიღებულმა კანონმა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ მოითხოვა, მიკროსაფინანსო შეიძლება გახდეს ის ორგანიზაცია, რომლის ქონება არანაკლებ 250 ათასი ლარიაო. **მიკროსაფინანსო წრეებში ასეთი დიდი ქონება ბევრს არა აქვს. ამიტომაც არის, რომ რეკლამის სიკეთით მხოლოდ ოთხი ორგანიზაცია სარგებლობს.** ამასთან, სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ: მიკროსესხების შესახებ ახალ კანონში მიკროსესხების ოდენობა აყვანილია 50 ათას ლარამდე, რაც მცირე მეწარმეობისათვის სავსებით საკმარისია.

**— ოფიციალურად ჩვენი მცირე მეწარმეობა ბიუჯეტს რას აძლევს და რეალურად რამდენის მიცემა შეუძლია?**

— საგადასახადო შემოსავლები მთლიანი შიდა პროდუქტის 25 პროცენტია. აქედან ნახევარი მცირე მეწარმეთა ანგარიშზეა. 1993 წელს ამერიკაში გამოვიდა ცნობილი ეკონომისტის რიჩარდ სტროუფისა და მისი კოლეგების წიგნი, რომლის სათაური ქართულად შეიძლება ასე ითარგმნოს — „ეკონომიკის ანბანი“. იქ წერია, რომ თუ გადასახადები მიუახლოვდება ბრუნვის 50 პროცენტს, მეწარმე თავს ანებებს საქმიანობას, ადრე გადის პენსიაზე და დროს ისე ატარებს, როგორც მოეპრიანება. სავსებით დასაშვებია, რომ ის ერთი მილიონი (თუ მეტი არა!) მეწარმე, რომელიც უცხოეთში წავიდა **სწორედ გადასახადებს გაექცა.** უცხოეთში (თუნდაც — რუსეთში) მეწარმეს აქვს გადასახადის არჩევის ალტერნატივა — 6 პროცენტი **ბრუნვიდან** ან 15 პროცენტი **მოგებიდან** (გარდა მისი პირადი — საშემოსავლო და სოციალური გადასახადებისა). ეს მისთვის **ერთადერთი** გადასახადია! ამ პრობლემას იოლადაც უმკლავდება! რაც შეეხება ჩვენს შესაძლებლობებს: თუ ჩვენს მოთხოვნებს ყურად იღებენ და მცირე მეწარმეობას სათანადო პირობებს შეუქმნიან, **ისინი ბიუჯეტში შენატანებს გააორმაგებენ!** (ბოლოს და ბოლოს, იმ დამალულ 25 პროცენტს მაინც გამოამზეურებენ, მათი ოდენობა რომც არ გაზარდონ.

**— ვინ გაკოტრდა ბოლო წლებში და რა მიზეზით?**

— მიზეზებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება გაკოტრებულთა რაოდენობას, ამას სტატისტიკა გვკარნახობს: დარეგისტრირებულია 82 ათასი საწარმო. ამათგან 24 ათასი ისეთი ორგანიზაციაა, ვინც დარეგისტრირებით კი დარეგისტრირდა, მაგრამ არ მუშაობს, არ იხდის გადასახადს ან... გაკოტრდა. ასეა თუ ისე, ჩვენ უკვე დავკარგეთ 24 ათასი ორგანიზაცია.

**— კლუბის წინადადებებს იზიარებს ვინმე?**

— ბრძოლის ფაზაში ვართ, მაგრამ რახან პარლამენტარმა ალეკო შალამბერიძემ ზემოხსენებული პროექტი წარადგინა, **ეს უკვე ჩვენს გამარჯვებას ნიშნავს!** თუმცა ფინმინმა ისევ დაიწუნა მისი პროექტი და განხორციელება შეაჩერა. სხვა რომ არა იყოს რა, „ყინული დაიძრა“. სამწუხაროდ, მრეწველთა ფრაქცია მცირე მეწარმეთა პრობლემებს აბსოლუტურად არ აქცევს ყურადღებას...

**— ბატონო თამაზ, ორიოდე სიტყვა ჩრდილოვან ეკონომიკაზეც გვითხარით...**

— 1999-2002 წლებში მსოფლიო ბანკის შეკვეთით ცნობილ ეკონომისტ რიჩარდ შნაიდერს პოსტსაბჭოურ სივრცეში ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის შესწავლა დაავალეს. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მთლიან შიდა პროდუქტში ამ მაჩვენებლით საქართველო **პირველ** ადგილზე გავიდა — 64-67 პროცენტი. არ ვიცით, შნაიდერმა საიდან მიიღო ეს ციფრები. ჩვენი გამოკვლევით კი (გამოვიყენეთ სამნაირი მეთოდი **— 1. საგადასახადო პოტენციალი; 2. მოთხოვნა ნაღდ ფულზე; 3 სამეწარმეო საქმიანობაში ელექტროენერგიის ხარჯი)** გამოვიდა, რომ ჩვენთან ჩრდილოვანი ეკონომიკა 1999-2004 წლების მონაცემებით 78 პროცენტის ტოლია! **აი, ეს არის პოტენციალი! ანუ, ჩვენი მომავალი ბიუჯეტი 4 მილიარდის მაგიერ, 5-6 მილიარდი მაინც უნდა იყოს!**

**თმა ყალყზე დაგიდგება, ამ მონაცემების გაცნობისას უნებურად იფიქრებ: ან სახელმწიფოს როგორ უდგას სული, ან მოსახლეობას? ეტყობა, რაღაც-რაღაცეებს მივეჩვიეთ. საუბედუროდ!**

ესაუბრა

**ელგუჯა ლებანიძე**





- აშკარად ეტყობოდა: უმადლობით არ უნდა ყოფილიყო შეწუხებული. ჯანიც მოსდევდა. ჩაფ ღვინოს დალევსო რომ იტყვიან, ისეთი ჩანდა
- აღსანიშნავია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ბოლო ორი წლის მონაცემებით 2000-მდე ონკოლოგიური ავადმყოფია აღრიცხული. სამწუხაროდ, ეს მაჩვენებელი დაავადების დროულად გამოვლენის დაბალ დონეზე მეტყველებს

◎ აფორიაქებული განწყობით

# „...მტვერში წაიქცა ბავშვი“

**მაპატიებს პოეტის აჩრდილი.**

**მიმტევებელი.**

**ყოველთვის სულგრძელი.**

**მისთვის შეუფერებელ ადგილზე უნდა გამოვიხმო უკვდავი სტრიქონები.**

**პროზაულში გავაზავო პოეტური განცდა. არ არის სხვა საშველი. პოეტის ამონაკვნესი უფრო მოუხდება ნანახს, გაგონილს.**

ოთხმოცდამეშვიდე მარშრუტზე მოძრავ ავტობუსში ავედი ახლახან. შუაკარიდან შევაღწიე ძლივს.

ვერ დავლანდე თავისუფალი ადგილი.

მივდექი ფანჯარასთან.

საბურთალო-ვაკის ტრასის გასწვრივ აღმართული გორაკებისკენ გამექცა თვალი. ეტყობა, ფიქრიც.

ვიღაცის ხმამ გამომაფხიზლა:

„ბავშვი!“

იყვირა სხვამაც:

„წაიქცა ბავშვი!“

საქმეში გარკვევამდე წამიერად გამინათა გონება მეორე, სულაც ჩვენი თანამედროვე შემოქმედის სიტყვებმა: „ბავშვის ტირილი გაისმა, როგორც ჭყლოპინი ბარტყის.“

ტიროდა წინა რიგთა შორის იატაკზე უმწეოდ აფართხალებული გოგონა.

სამიოდე წლის.

იატაკზე ეფინა გრძელი წაბლისფერი თმები.

ახალგაზრდა დედას ხელში ეჭირა უფრო პატარა ბიჭი. ამაოდ ცდილობდა თავის შეკავებას აჯაყჯაყებულ ავტობუსში, წაქცეულის ფეხზე წამოყენებას.

მათ გასწვრივ მარჯვენა მხარეს ორნი ისხდნენ.

ქალი და კაცი.

ასე, სამოცი წლისანნი.

ბებია- ბაბუობისთვის შესაფერისები სრულებით.

მანდილოსანი ფერმკრთალი ჩანდა.

მამაკაცს ღერი თმა არ ჰქონდა ჩვენებური გოგრის ხელა თავზე. სამაგიეროდ, ლოყები ჰქონდა ასაკისთვის შეუფერებლად ღაჟღაჟა. ჭაბუკივით ულაპლაპებდა ახალ გაპარსული სახის კანი.

აშკარად ეტყობოდა: უმადლობით არ უნდა ყოფილიყო შეწუხებული. ჯანიც მოსდევდა. ჩაფ ღვინოს დალევსო რომ იტყვიან, ისეთი ჩანდა.

მარცხენა მხარე გოგონებს ეკავათ.

შუბლზე ჩამოყრილი თმები, ტონირებული ლაწვები.

ისხდნენ ოთხივენი არხეინად. მხოლოდ სალონის წინა მხარე გუგუნებდა. ზუზუნებდა ნაყარი ფუტკარივით.

„ეს არის დედა?“

„ქალი ჰქვია ამასაც?“

„ორი შვილის გამზრდელია ვითომ?“

ერთი ფრიად ასაკოვანი მამაკაცი აქტიურობდა, დირიჟორივით იქნევდა გრძელ მკლავებს.

გამიწყრა ღმერთი, მიღალატა



მოთმინებამ. წინა ორ სკამზე, წაქცეული ბავშვის გვერდით არხეინად წამოსკუპებულებზე ვანიშნე.

უსიტყვოდ მიმიხვდა. აიყალყა, როგორც უხედნი კვიცი ლაგამის პირველად ამოდების ჟამს.

მთელი სალონის გასაგონად მიყვირა, რა შუაში არიანო ეს პატიოსანი ადამიანები (ქალსა და კაცს, გოგონებს გულისხმობდაძ, დედამ უნდა მიხედოსო ბავშვებს.

ისე გამოდიოდა, თითქოს ის ოთხი ადგილი აუქციონზე ჰქონდათ ნაყიდი და ცოცხალი თავით არ უნდა დაეთმოთ კერძო საკუთრებადქცეული მონაკვეთი სხვისეულის მიტაცებას დაჩვეული მოზობლისთვის.

არ დავრჩენილვარ ვალში.

გასაგებად ავუხსენი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ის „პატიოსანი ოთხეული.“ ახლა ის ვითარების გამო სხვათა ყურადღებანაპყრობი მანდილოსანი წამოიჭრა.

გაწეულ ქალს ცხრა უღელი ხარ-კამეჩი რომ ვერ აჩერებს, ის გამახსენდა. მგზავრებს გადავხედე იმედის თვალით, თანამგრძნობს ვეძებდი. მოვტყუვდი მწარედ. უცებ შეეშვნენ შვილწაქცეულ დედას, რომელიც მართლა ჭარხალივით გაწითლებულიყო და ჯერაც ამაოდ ცდილობდა წაქცეული ბავშვის ფეხზე წამოყენებას. უცებ გავხდი განხილვის საგანი, არამკითხე, სხვის საქმეში ცხვირის უტიფრად ჩამყოფი.

დაიძაბა სიტუაცია. რა ძალა გადგათ, აუტკივარ თავს რატომ იტკივებთო, შემაშველა სიტყვა ჩემზე ბევრად ახალგაზრდა ყმაწვილმა..

გავვოგნდი კაცი. ძველის გახსენებით ვცადე თავის დაცვა. ადრე სალონის მარჯვენა მხარეს სწორედ იმ ორი ადილის გასწვრივ იყო წარწერა: „ბავშვიანი ქალებისათვის,“რომელიც კომუნისტებს არსად წაუღიათ, უბრალოდ ახალ-უხლებს დაავიწყდათ ან ჯერაც ვერ გაუხსენებიათ, რადგან ძალიან პატარები იყვნენ მაშინ, ხოლო დედები სიამოვნებით სარგებლობდნენ ამ შეღავათებით.

უცებ მართლა კუთხეში მიმამწყვდია ამ უწყინარმა გახსენებამ თუ უნებლიეთ წამოცდენილმა შეხსენებამ.

შარშანდელ ეროვნულ გამოცდებზე ანეგდოტივით გავრცელებული კითხვაც გამახსენდა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცე მაშინ, როცა მგზავრობის ღირებულება გადახდილი გაქვს, ადგილიც – დაკავებული და სწორედ მაშინ დაგადგება თავზე მოხანხალებული დედაბერი ან სულაც ბევრად შენზე უფროსი ადამიანი.

რა თქმა უნდა, ასაკით უფროსი.

რამდენადაც მახსოვს, პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: ფული გადახდილი გაქვს და დამშვიდებული სინდისით შეგიძლია უშფოთველად იჯდე შენს ადგილზე, ცოცხალი თავით არავის დაანებო ტრანსპორტიდან ჩამოსვლამდე.

ამ გახსენებამ გამომაცოცხლა.

მივხვდი: არაფერი მქონდა სათქმელი.

საბუთიანი.

ძარღვიანი.

უაზრო ლაპარაკიც არ ღირდა.

ცხოვრებაში ყველა იმას აკეთებს, რასაც ასწავლიან და რასაც ყოველდღიურად ამჩნევს უფროსების საქციელში.

გზის გაგრძელება არაფერს მიქადდა სასიკეთოს.

დავლუნე თავი და ჩაველი ავტობუსიდან ჩემთვის სასურველზე ორი გაჩერებით ადრე.

მომეჩვენა, თითქოს კიდევ ვიღაც ჩავიდა ჩემზე წინ.

ლანდი.

ნამდვილი.

უხორცო.

უსხეულო.

შემაკრთო მოჩვენებამ. შევშინდი ხალხმრავალ ქუჩაში ასაკით ეგზომ დროული კაცი.

მაინც რა იყო ეს?

წარსულისთვის ჩაბარებული უფროს-უმცროსობა?

უპატივცემლობა?

დაკარგული რიდი?

მივიწყებული ტრადიცია?

შეიძლება ყველაფერი ერთად, რასაც ადრე ზნეობას, მორალს ეძახდნენ და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დროს ღირებულებათა გადაფასებისას ნამეტანი გაიაფდა, მხოლოდ მოგონებად შემორჩა ერთიანი სხეულის უმეტეს ნაწილს.

მივდიოდი უხმოდ.

უცხო ლანდი მიმიძღოდა წინ.

ზომიერი ნაბიჯით.

დისტანციის დაცვით.

არ მაძლევდა მიახლოების საშუალებას.

მომეჩვენა:

ყველას ესალმებოდა თითქოს. თავს მდაბლად უკრავდა, უღიმოდა, თუმცა, საბედნიეროდ, არ პასუხობდა, ზედაც არავინ უყურებდა ოხერს.

მივყვებოდი ქუჩას ეულად, მარტო, ყურადღებას არ მაქცევდა არც ერთი სულიერი და თავს ისე ვგრძნობდი, როგორც მაშინ, როდესაც „...მტვერში წაიქცა ბავშვი.“

**რობერტ ძერია**

◎ მხარე

# დევიზი – ჯანმრთელი მოსახლეობა

**წლეულს რესპუბლიკის მასშტაბით არაერთი კეთილმოწყობილი, თანამედროვე, უახლესი ტექნიკური დანადგარებით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულება ჩადგა მწყობრში.**

ერთი იმათგანია ზუგდიდის ონკოდისპანსერი, რომელიც საავადმყოფო „რესპუბლიკის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა და იწოდება რესპუბლიკის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის სამხარეო ფილიალად, რომელსაც სათავეში უდგას გამოცდილი ექიმი, ქალბატონი ნანა ფიფია.

მართალია წინა წლებში მხარის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში იყო ეგრეთ წოდებული ონკოლოგიური კაბინეტები, მაგრამ ისინი არსებითად ვერ ასრულებდნენ თავიანთ დანიშნულებას, რადგან ვერ ხერხდებოდა ონკოდაავადებათა სრულყოფილი დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ამიტომ ავადმყოფებს სამკურნალოდ ქუთაისსა და თბილისში უხდებოდათ სიარული, რაც ზედმეტ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მთავარი ონკოლოგი, პროფესორი ჯემალ აბშილავა კმაყოფილია ასეთი ონკოდისპანსერის გახსნით.

ალსანიშნავია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ბოლო ორი წლის მონაცემებით



2000-მდე ონკოლოგიური ავადმყოფია აღრიცხული. სამწუხაროდ, ეს მაჩვენებელი დაავადების დროულად გამოვლენის დაბალ დონეზე მეტყველებს.

იმედია, ონკოდისპანსერის კოლექტივი ამ დიდ და რთულ ამოცანას წარმატებით გადაჭრის. ამის ერთგვარი გარანტია ისიც, რომ მას შეფოზას უწევს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრი პროფესორ რევაზ გაგუას ხელმძღვანელობით.

საგულისხმოა, რომ ზუგდიდის ონკოდისპანსერის მედიკოსთა მუშაობის დევიზია – ჯანმრთელი მოსახლეობა. საამისოდ სისტემატურად ჩატარდება მოსახლეობის მასობრივი მიზნობრივი პროფესიული გამოკვლევა და, რაც მთავარია, მკაცრი კონტროლი დაწესდება ონკოდაავადებათა მკურნალობაზე.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◎ ინფორმაცია

## საერთაშორისო კონფერენცია თბილისში

**სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გუშინ აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების „ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმების“ შესახებ საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა.**

**კონფერენცია „კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის“ და მოლდოვას, რუსეთისა და ცენტრალური აზიის „რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრების“ მიერ არის ორგანიზებული.**

**კონფერენციის მთავარი მიზანია, ამჟამად არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში „ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმების“ განხორციელების სტრატეგიის შეფასება.**

**კონფერენციაში მონაწილეობენ სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის, რუსეთის, მოლდოვის, უკრაინის, უნგრეთის, ჰოლანდიის, აშშ-ს, ასევე, დონორებისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები.**

## იმერეთს 9 ახალი გამგებელი ჰყავს

**ადგილობრივი საკრებულოების მიერ, ზესტაფონში, სამტრედიაში, თერჯოლაში, ტყიბულში, საჩხერეში, ვანში, წყალტუბოში, ხონსა და ხარაგაულში გამგებლებად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები აირჩიეს.**

**როგორც იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში განაცხადეს, ჭიათურასა და ბაღდათში საკრებულო გამგებლებს 15 დეკემბრამდე აირჩევს.**

**გუშინ იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული აკაკი ბობოხიძე ქუთაისში ახლად არჩეულ გამგებლებს შეხვდა.**

## ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას მოითხოვენ

**ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მეორე კორპუსში მცხოვრები დევნილები ელექტროენერგიის მიწოდებას და ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას მოითხოვენ.**

**საერთო საცხოვრებელში მცხოვრებმა 300-მდე დევნილმა უკვე მეორედ გამართეს საპროტესტო აქცია.**

**აქციის მონაწილეთა განცხადებით, საერთო საცხოვრებელს 9000 ლარამდე ელექტროენერგიის დავალიანება აქვს და მათ მხოლოდ 4000 ლარის შეგროვება მოახერხეს.**

**დევნილების მტკიცებით, მოხმარებული ელექტროენერგიის დასაფარად შეგროვილი თანხა, მათ „თელასში“ მიიტანეს, თუმცა იქ თანხა არ მიიღეს.**

**ისინი, ასევე, უკმაყოფილებას გამოთქვამენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ და აცხადებენ, რომ სამინისტრო მათ ყურადღებას არ აქცევს.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

● რუსეთის სათათბირო ვერ მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას და აფხაზეთს და „სამხრეთ ოსეთს“ დამოუკიდებელ რესპუბლიკებად ვერ აღიარებს იმიტომ, რომ პუტინი არ სცნობს მათ

● საკუთრივ ქართულში სიტყვა „თამადა“ გვიან ჩნდება, მაგრამ იგივეს გულისხმობს, რასაც ბიბლიური „ნადიმსა შინა წინამძღუარი“



№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი. 2006 წელი.

SIC!

# მოდესტ კოლეროვი: დეპორტაციები, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს, სამართლებრივია

*მოსკოვში, უცხოელთა განთავსების იზოლატორში, რამდენიმე დღის წინათ 51 წლის მანანა ჯაველია გარდაიცვალა. იგი იზოლატორში პროტესტის ნიშნად შიმშილობდა. მანანა ჯაველია მოსკოვში თვენახევრის წინათ დააკავეს და დეპორტაციასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებას ერთი თვის განმავლობაში ელოდებოდა.*

*ამასთან, დიდი რეზონანსი მოჰყვა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებული დადგენილებების განხილვას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გაითვალისწინოს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიმართვა, რომელიც „რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობის აღიარებას შეეხება. რუსი დეპუტატები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო თანამეგობრობამ უნდა გაითვალისწინოს სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ჩატარებული რეფერენდუმისა და საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები.*

*ამ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მრჩეველს ეკონომიკისა და კავკასიის საკითხებში მოდესტ კოლეროვს ესაუბრა.*

— დეპორტაციები, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს, სამართლებრივია. ჩვენ საქმე გვაქვს სავიზო რეჟიმის დარღვევასთან და დეპორტაციები მარტო ქართველებს არ ეხება. ეს ეხება ყველა უცხოელს, რომელიც არალეგალურად ცხოვრობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. ამიტომ, ვერ დავეთანხმები ქართულ მხარეს, რომ დეპორტაციები მხოლოდ ქართველებს ეხებათ. რუსეთიდან დეპორტირებულთა შორის, პირველ ადგილზე ეთნიკური ქართველები ნამდვილად არ არიან.

**— ორი დღის წინათ გარდაიცვალა საქართველოს მოქალაქე მანანა ჯაველია. მანამდე საქართველოს კიდევ ორი მოქალაქე დაიღუპა უცხოელთა მიმღებ-გამანაწილებელში. ეს რუსეთისთვის საგანგაშო ფაქტები არ არის?**

— პირველ რიგში, მწუხარებას გამოვთქვამ ქართველი ქალბატონის გარდაცვალების გამო. რაც შეეხება იმ ორ ადამიანს, რომლებიც მანამდე გარდაიცვალნენ, მათი სიკვდილი არ უკავშირდება ქართველების დეპორტაციას. ეს იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ აგორებული შავი პიარი რუსეთის წინააღმდეგ. რაც შეეხება ქალბატონს, რომელიც ორი დღის წინათ გარდაიცვალა, ალბათ მოგეხსენებათ, რომ მას ჰქონდა ჰიპერტონიული პნევმონია. მე თავად ვარ ჰიპერტონიით დაავადებული და ამაში საქართველოს ხელისუფლებას არ ვადანაშაულებ. თუმცა ვაღიარებ, რომ ეს იყო სამწუხარო შემთხვევა.

**— რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ყველა მეთოდით იბრძვის. მიმდინარე მოვლენებს ამგვარი შეფასება უკვე დასავლეთშიც მიეცა.**

— დავიწყოთ იქიდან, რომ რუსეთს ყველა ძალა არ გამოუყენებია საქართველოს წინააღმდეგ. დარჩენილია მეტად სერიოზული ძალა და ეს სამხედრო ძალაა, რასაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ არასდროს გამოიყენებს. რაც შეეხება დასჯას, მშობელი ყოველთვის სჯის ურჩ შვილს. დავუბრუნდეთ დეპორტაციას, ამას წინათ თურქეთმაც გამოაძევა საქართველოს რამდენიმე მოქალაქე, მაგრამ რატომღაც სააკაშვილის ხელისუფლებას მხოლოდ რუსეთიდან დეპორტირებული ქართველების ბედი აღელვებს. ის ადამიანები, რომლებიც თურქეთიდან გამოაძევეს, საქართველოს მოქალაქეები არ არიან?!

არ მგონია, რომ რუსეთის პოლიტიკა რამით განსხვავდება საფრანგეთის, ინგლისის ან ესპანეთის პოლიტიკისგან. უცხოელების დეპორტაცია ეს ჩვეულებრივი მოვლენაა თუ სავიზო რეჟიმი დარღვეულია.

**— რუსეთის სათათბირო განიხილავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობების მიმართვებს. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ რუსეთი აღიარებს დე ფაქტო რესპუბლიკების დამოუკიდებლობას.**

— რუსეთის სათათბირო ვერ მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას და აფხაზეთს და „სამხრეთ ოსეთს“ დამოუკიდებელ რესპუბლიკებად ვერ აღიარებს იმიტომ, რომ პუტინი არ სცნობს მათ.

**ირაკლი მანაგაძე**



## გვეხმაურებიან

*პატივცემულო რედაქცია, ახლახან „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჯუანშერ სამყურაშვილის წერილი „ქორწილი — უთამადოდ?!“. მასში მოყვანილია და განსჯილია თამადის ფენომენის შებღალვის შემაშფოთებელი ფაქტი.*

*საყურადღებო წერილია. მართლაც, ცუდის მომასწავებელია ყიამყრალი ზურაბ ჭიაბერაშვილისა და ემზარ ჯგერენაიას „სენტენციების“ გამოქვეყნების შემდეგ თამადის ფენომენის შებღალვის ფაქტი.*

*ეგებს მოხერხდეს ეროვნულ ფასეულობებზე მოფიქრალი ადამიანების დაინტერესება ამ ფაქტით. თანაც, მათი აზრის გამოვლენა და წარმოჩენა.*

*სხვათა შორის, ამ საკითხს ეძღვნება ჟურნალ „ვაზსა და ღვინოში“ გამოქვეყნებული წერილი, რომელსაც გაახლებთ და, თუ გადაბეჭდავთ, ურიგო არ იქნება.*

***როდერიგო ფოცხიშვილი,***

*თქვენი გაზეთის მადლიერი მკითხველი.*

**ქვემოთ ვბეჭდავთ ჩვენი მკითხველის მიერ გამოგზავნილი ჟურნალ „ვაზი და ღვინოს“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული წერილის — „თამადა — სუფრის მეუფე და მშვენება“ — შემცირებულ ვარიანტს.**

# თამადა — სუფრის მეუფე და მშვენება

**საქვეყნოდაა აღიარებული ქართული ტრადიციული სუფრის დაუწერელი წესები და კანონები, ღვინის სმისა და მოლხენის, უფროს-უმცროსობისა თუ მაგიდის წევრთა თანასწორუფლებიანობის დახვეწილი ნიუანსები. ამ უნიკალური მოვლენის გვირგვინი კი სუფრის წინამძღვარი — თამადა გახლავთ.**

სიტყვა „თამადა“ არ გვხვდება არც სულხან-საბა ორბელიანის (XVII-XVIII ს.ს.ძ, არც ნიკო ჩუბინიშვილის ლექსიკონებში (XIX საუკუნის 30-იანი წლებიძ. ეს სიტყვა არა აქვს მოხსენიებული დავით ჩუბინიშვილს არც „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ (1846, 1886 და 1901 წწ.ძ.

ამდენად, გასაგებია, რომ „თამადობა“ არ არის აღნიშნული არც ვლადიმერ დალის „ცოცხალი ველიკორუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (1882 წ.ძ.

პირველად სიტყვა „თამადობა“ გვხვდება დავით ჩუბინიშვილის მიერ სანკტ-პეტერბურგში 1887 წელს გამოცემულ „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ამ პერიოდისათვის სიტყვა „თამადა“ არ იყო დამკვიდრებული რუსულ სალიტერატურო ენაში.

„რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სიტყვა „თამადა“ პირველად განმარტეს ბ. ვოლინმა და დ. უშაკოვმა 1940 წელს (იგი აღნიშნულია, როგორც ქართულ ენაში შესული სიტყვაძ. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ არაბულ, თურქულ და სპარსულ ენებში სიტყვა „თამადა“ არ ჩანს.





დავით ჩუბინიშვილი თამადობას განმარტავს, როგორც „თუმაჯობას, თუმაჩიანობას, უფროსობას, ან თავობას, მაგალითად, ღვინის სმაში“. უდავოა, რომ „თამადა“ რთული სიტყვაა. შესაძლოა, იგი კომპოზიტი იყოს.

ჩვენ არ შევჩერდებით იმაზე, თუ რა შესაძლო გზით შეიძლებოდა „თუმაჯობა“ „თამადობად“ ქცეულიყო, მაგრამ ხაზს ვუსვამთ ერთ უდავო ფაქტს, რომ „თამადა“ ქართულ სამყაროში დაბადებული სიტყვაა და იგი უთარგმნელად არის შესული ჩვენი მეზობელი ხალხების ენებში.

მაინც რომელი ძირებიდან იღებს სათავეს ქართული სუფრის სარიტუალო კულტურის ესოდენ მაღალი დონე? ჩვენი აზრით, ამ მეტად საინტერესო კითხვის პასუხი ჩვენს უპირველეს წიგნში — ბიბლიაში უნდა ვეძიოთ.

„ნადიმსა შინა წინამძღუარ თუ დაგადგინეს შენ, ნუ ამაღლდები, არამედ იქმენ თანამეინახეთა შორის, ვითარცა ერთი მათგანი“. მართალია, საკუთრივ ქართულში სიტყვა „თამადა“ გვიან ჩნდება, მაგრამ იგივეს გულისხმობს, რასაც ბიბლიური „ნადიმსა შინა წინამძღუარი“.

როგორია ქართული სუფრის თამადა ტრადიციული გაგებით? რასაკვირველია, თავმდაბალი და თანამეინახეთა თანასწორი, ანუ ბიბლიური გაგებით, „ვითარცა ერთი მათგანი“. პირველი სიტყვა ქართულ სუფრაზე, რასაკვირველია, თამადისაა, მაგრამ სიტყვა უნდა იყოს ლაკონური, სიბრძნითა და მჭევრმეტყველებით გამორჩეული, რადგან თამადა ამგვარი ხელოვნებითა და სიბრძნით დაჯილდოებული კაცია. თამადად ყველა როდი გამოდგება.

რაც შეეხება თამადობის დახვეწილ ინსტიტუტს, მისი ჩამოყალიბება სწორედ ქართულ სამყაროში უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ვაზისათვის ქართული მიწა აღგილის დედაა. იგი ერთადერთი უპირველესი სამშობლოა ამ ხალხთა სათაყვანებელი კულტურისა.

ქართულმა ყოფითმა კულტურამ შეძლო დღევანდლამდე შემოენახა სუფრის ორგანიზაციული სტრუქტურის ბიბლიური იერსახე. ყოველივე ეს მეტყველებს ქართული ცნობიერების უძველესი, ბიბლიური საწყისებიდან მომდინარეობასა და მის წარუვალობაზე.

## გამოიცა

# ორი ახალი სახელმძღვანელო იურისპრუდენციაში





იურიდიულ საკითხებზე, ალბათ, იმდენი ნაშრომი ვერასდროს გამოიცემა, ზედმეტად ან მოჭარბებულად რომ ჩაითვალოს. თვით სპეციფიკაა ასეთი — მასშტაბური და ამოუწურავი.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველმა, პროფესორმა **შოთა ფაფიაშვილმა** ამ დღეებში გამოსცა „კრიმინალისტიკის“ მესამე ტომი (დანაშაულის გახსნის მეთოდიკაძ და უაღრესად საჭირო ნაშრომით შეავსო იურიდიული ლიტერატურის წიგნის თარო. თარო პირობითად ვთქვით, თორემ, როგორც დარგის ცნობილმა სპეციალისტებმა განხილვაზე აღნიშნეს, ნაშრომი ერთ-ერთი უპირველესი სამაგიდო წიგნია.

განხილვა კი საქართველოს, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში გაიმართა პროფესორ-მასწავლებლებისა და ამავე სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობით.

ერთდროულად შ. ფაფიაშვილის ორი სახელმძღვანელო გამოიცა და საჯაროდაც ერთად განიხილეს. ავტორის მეორე ნაშრომია „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში“, რომელიც რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებისა და ახალგაზრდა ლექტორებისთვის. 736-გვერდიანი „კრიმინალისტიკა“ კი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა, შსს პოლიციის აკადემიისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისთვისაა განკუთვნილი. ამ წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ნაშრომი ასევე დიდ დახმარებას გაუწევს ოპერატიული სამსახურის მუშაკებს, გამომძიებლებს, პროკურორებს, მოსამართლეებს, ექსპერტ-კრიმინალისტებს და ადვოკატებს თავიანთი რთული საპასუხისმგებლო პროფესიული საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში“.

წიგნების განხილვაში მონაწილეობდნენ პროფესორები: ჯემალ გუგუშვილი (აკადემიის რექტორიძ, ავთანდილ ტუკვაძე, ჯამლეთ ბაბილაშვილი, შენგელი ფიცხელაური, ვალერი ლორია, დურმიშხან ჩიტაშვილი... სიტყვით გამოვიდა ავტორიც, რომელმაც მადლობა გადაიხადა მისი შრომის მაღალი შეფასებისთვის.

წიგნები მომზადებულია და დასტამბულია გამომცემლობა „მერიდიანში“, მინიჭებული აქვს ინდექსი.

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ასოცირებული პროფესორი.**

# დღის ამბები

**საქართველომ მკვეთრად უნდა შეცვალოს რუსეთთან ურთიერთობის მეთოდები, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა სავალალო შედეგებამდე მივა**



## აჭარა რუსეთის სამხედრო ეშელონმა დატოვა

**გუშინ დილით ბათუმიდან რუსეთის სამხედრო ბაზის კუთვნილი სამხედრო ტექნიკით დატვირთული სარკინიგზო ეშელონი დაიძრა.**

შემადგენლობა აზერბაიჯანის გავლით რუსეთისკენ მიემართება.

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ოფიციალური წარმომადგენლის ვლადიმერ კუპატაძის განცხადებით,



ამჟამად კიდევ ერთი ეშელონი მზადდება, რომელიც აჭარიდან სომხეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლებს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, წლის ბოლომდე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების თბილისის გარნიზონი დაიხურება.

## საჩუქრები მინისტრებს, მაგრამ ვის ხარჯზე?

**თბილისში დღეს და ხვალ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ენერგეტიკის მინისტრის, თურქეთის რესპუბლიკის ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრისა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის შეხვედრა იგეგმება. მათი ვიზიტისათვის, პრემიერ-მინისტრის ბრძანებულებით, ქართული მხარე 18 ათას ლარს დახარჯავს.**

სტუმრების სასტუმროში განსათავსებლად გამოყოფილია 5 ათას 300 ლარი. სტუმრებისათვის გადასაცემ საჩუქრებში ხელისუფლება 5 ათას ლარს დახარჯავს. დარბაზის დაქირავება, სადაც სამი ქვეყნის მინისტრების შეხვედრა უნდა გაიმართოს, 1200 ლარი დაჯდება. მინისტრების ვახშამი – 2 ათასი ლარი, ტრანსპორტის ხარჯები – ათას 500 ლარი, ხოლო გაუთვალისწინებელი ხარჯები – 3 ათასი ლარი.

## პარლამენტში ჟვანიას ბიუსტს დადგამენ

**ხვალ პარლამენტის შენობაში ზურაბ ჟვანიას ხსოვნის საპატივსაცემოდ ბიუსტი გაიხსნება. ბიუსტის გახსნა მისი დაბადების დღესთან დაკავშირებით დაიგეგმა.**

როგორც პარლამენტში აცხადებენ, ეს არის ძალიან მცირე რამ, რაც მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად შეიძლება გაკეთდეს. ამასთან როგორც პარლამენტის ხელმძღვანელობა აცხადებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზურაბ ჟვანიას როლი საქართველოში პარლამენტარიზმის განვითარებისა და ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში.

## ნაძვისხე დაიდგმება, მაგრამ რომელი?

**თბილისის მთავარი ნაძვისხე წლეულს პარლამენტის შენობის წინ დაიდგმება.**

როგორც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა სუბელიანმა განაცხადა, ჯერჯერობით გასარკვევია, ახალი წლისთვის ახალ ნაძვისხეს შეიძენენ, თუ შარშანდელს მორთავენ.

სუბელიანის თქმით, საახალწლო ღონისძიებებისთვის მზადებას ქალაქის მთავრობა 3 დღეში, კონსულტაციების შემდეგ დაიწყებს. შესაბამისად, ამ დროისთვის გადაწყდება რა ღონისძიებები ჩატარდება თბილისში.

სავარაუდოდ, საახალწლოდ, ცენტრალურ ქუჩებში სადღესასწაულო გირლიანდები დამონტაჟდება და რაიონებში პატარა ნაძვისხეები მოირთვება.

## ან ჩაკაბერია, ან...

**ქართულმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს სოფელ ქვემო ბარღების აფხაზური ადმინისტრაციის გამგებელი ფრიდონ ჩაკაბერია, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა ზომებს მივმართავთ.**

ამის შესახებ აფხაზური რადიო „სომას“ ჟურნალისტს გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ განუცხადა.

ქიშმარია ჩაკაბერიასთან ერთად დაკავებული პირების გათავისუფლებასაც ითხოვს.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის კონსტიტუციური უსაფრთხოების მთავარმა სამმართველომ გუშინ, სოფელ ოტობაიასთან სოფელ ქვემო ბარღების აფხაზური ადმინისტრაციის გამგებელი ფრიდონ ჩაკაბერია დააკავა.

ოფიციალური ინფორმაციით, ჩაკაბერია, დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად, ქართულ სოფლებს ძარცვავდა და მიტოვებული სახლების სახურავებს იპარავდა.

მას დიდი ოდენობით „ჰეროინიც“ აღმოაჩნდა. დაკავებულის ჩვენების მიხედვით, ნარკოტიკული ნივთიერება რუსეთიდანაა შემოტანილი.

ჩაკაბერია და დაჯგუფების წევრები ზუგდიდის წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილი.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**



### სიტუაცია

## რუსეთი 1921 წლის გამეორებისთვის ემზადება

**სამხრეთ ოსეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები ევროკავშირმა, დაახასიათა როგორც უნაყოფო, არადროული და არასამართლიანი. ამ ფონზე რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ საკუთარ პრეზიდენტს ოსური მოსახლეობის მიერ რეფერენდუმში გამოხატული ნების აღიარების წინადადებით მიმართა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტის ზონებში ვითარების დაძაბვისათვის პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას დააკისრა.**

აღნიშნულ ვითარებას წინ რუსეთის მიერ ეუთოს დაშანტაჟება უძღოდა, როდესაც ბატონმა ლავროვმა საქართველოს მხარდამჭერი განცხადების მიღების შემთხვევაში ორგანიზაციის დატოვების მუქარა გააჟღერა. ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის მოსაზრებები, რომ რუსეთი ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე არ წავიდოდა, ნაცარ-ტუტად იქცა.

რუსეთი საქართველოში 1921 წლის მოვლენების გამეორებას აპირებს. საინტერესოა, ვის შეურჩიეს ახალი ორჯონიკიძის როლი?

აღნიშნული მოვლენის კომენტირებისას ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი აცხადებს, რომ „თავის მოტყუების დრო დასრულდა“.

მისი თქმით, უდავოა, რომ საკითხი თავად რუსეთის პრეზიდენტთან შეთანხმდა და პუტინისა და რუსი დეპუტატების შეხვედრის კადრს მიღმა დარჩენილი ფაქტების გამოძახილად იქცა.

– ფაქტობრივად, დადასტურდა, რომ პრობლემას სააკაშვილი არ ქმნის, რუსეთი ამგვარად მოიქცეოდა ყველას მიმართ, ვისგანაც კი ოდნავ წინააღმდეგობას იგრძნობდა. მოსკოვში მიეჩვივნენ წლების განმავლობაში ქართული პოლიტიკოსების დამოკიდებულებას, როდესაც რუსეთი ხან საქართველოს ყველა უბედურების სათავე იყო, ხანაც უფროსი ძმა და მეგობარი. შესაბამისად მათ აწყობდათ ის სტატუს-კვო, რომელიც აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში ჰქონდათ, – აცხადებს ცისკარიშვილი.

არსებული ვითარების ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ რუსეთის ისტებლიშმენტის მიერ სააკაშვილსა და მის პოლიტიკაზე სისტემატიური აპელირება, იმის გაუთავებელი კონსტატაცია, რომ ვითარებას ორ ქვეყანას შორის ქვეყნის პირველი პირი ძაბავს და რუსეთის ხელისუფლებას ქართველი ერი ძლიერ უყვარს, ფაქტობრივად, გაქარწყლდა.

საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საკითხის პრეზიდენტისათვის გადამისამართებას ცისკარიშვილი პუტინის ხელში მოქცეული ძალის დემონსტრირებას უწოდებს.

– რუსეთმა ყველა საერთაშორისო ნორმის იგნორირება მოახდინა და საკუთარი იმპერიული ამბიციები უფრო მაღლა დააყენა, – აცხადებს ექსპერტი.

იგი მიიჩნევს, რომ რუსეთის პოლიტიკა უფრო მზაკვრულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და აღნიშნავს, „კრემლის მთავარი ამოცანა ამიერკავკასიაზე კონტროლის სრული აღდგენა და ენერგეტიკული ამბიციების გაფართოებაა“.

– ხიფათი, რომელსაც რუსეთი გვიმზადებს, მეტად მზაკვრულია. საფრთხე დაემუქრება საქართველოს მყიფე ნეიტრალიტეტს, აზერბაიჯანისა და სომხეთს შორის კონფლიქტის პროვოცირებისას კი ჩვენი ქვეყანა იძულებული იქნება თავისი პოზიცია დააფიქსიროს. ცალსახა რეცეპტი, თუ როგორ უნდა მოიქცეს საქართველო, არ არსებობს, – აცხადებს ცისკარიშვილი.



ექსპერტის თქმით, რუსეთის ხელისუფლების თავხედობა კონკრეტული სახელმწიფოსთან დამოკიდებულებას გასცდა და საერთაშორისო ურთიერთობებში გადავიდა.

ილუზია იმის შესახებ, რომ კრემლი ვერ გაბედავს უფრო რადიკალური ნაბიჯის გადადგმას, მხოლოდ სიბრიყვე და უპასუხისმგებლობა იქნება. თუნდაც ევროპაში არსებული პრეცედენტები და საერთაშორისო საზოგადოების შეგუება პოლიტიკური ანომალიებისადმი იმაზე მეტყველებს, რომ ფაქტების კონსტატაციები და დემოკრატიული სამყაროს მიერ რუსეთის არადემოკრატიული ქმედებების დაგმობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ვერც აღადგენს და ვერც მოსალოდნელი ანექსიისაგან დაიცავს.

## ჰამლეტ ჭიპაშვილის აზრით

**ექსპერტი ჰამლეტ ჭიპაშვილი რუსეთის სათათბირო ორგანოს მიერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარების მიზეზად საქართველოს ხელისუფლების არასწორ საგარეო პოლიტიკას ასახელებს. ყოფილი პარლამენტარი აცხადებს, რომ საქართველომ მკვეთრად უნდა შეცვალოს რუსეთთან ურთიერთობის მეთოდები, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა სავალალო შედეგებამდე მივა.**

რუსეთი თავის მზაკვრულ პოლიტიკას ეტაპობრივად ახორციელებს და ამაოდ გონიათ ქართველ პოლიტიკოსებს, მათ შორის ოპოზიციონერებსაც, რომ დუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერაფერს შეცვლის. მართალია ამ გადაწყვეტილებას კანონიერი საფუძველი არ გააჩნია, მაგრამ ამით რუსეთი ცდილობს, მსოფლიოს ყურადღება მიიპყროს და საერთაშორისო არენაზე საკუთარი პრობლემა გამოიტანოს.

– საქართველოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტია და მას ვერავინ შეიერთებს. არც ის არის მართალი, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებს გვიშლის. ხელისუფლებაში მყოფთა და იმედი, რომ აშშ ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია გადაარჩენს საქართველოს, უსაფუძვლოა. რუსებს აქვთ ერთი ანდაზა – ვინც იხრჩობა, ხელიც იმან უნდა გაანძრიოს. კარგი იქნებოდა, ქართველ პოლიტიკოსებს ამ გამონათქვამით ეხელმძღვანელათ, – განაცხადა ჰამლეტ ჭიპაშვილმა.

## დსთ-დან გამოსვლას კატეგორიულად მოითხოვენ

**საპარლამენტო ოპოზიცია საქართველოს დსთ-დან გამოსვლას კატეგორიულად მოითხოვს.**

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ეს საკითხი ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა დააყენა.

დეპუტატის განცხადებით, დუმის ქვედა პალატის მიერ საქართველოს კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებით, გუშინ მიღებული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ ამორფულ ორგანიზაციაში საქართველოს არაფერი ესაქმება და საქართველოს პარლამენტმა საქართველოს დსთ-ში ყოფნას წერტილი უნდა დაუსვას.

ზვიად ძიძიგურის ინფორმაციით, პარლამენტი „დემოკრატიული ფრონტის“ დადგენილების პროექტს „საქართველოს დსთ-ში ყოფნის მიზანშეწონილობის შესახებ“ კენჭს პარლამენტში ხვალ უყრის.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოპოზიციის აზრს არ ეთანხმება და აცხადებს, რომ რუსეთის დუმის და დსთ-ს ერთმანეთთან დაკავშირება კატეგორიულად არ შეიძლება.

– კატეგორიულად არ მინდა რუსეთსა და დსთ-ს შორის ტოლობის ნიშნის დასმა. ვიცი, რომ დსთ-ს წევრი სახელმწიფოები რუსეთის დუმის მიერ გუშინ მიღებულ გადაწყვეტილებას „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთთან დაკავშირებით, კატეგორიულად არ იზიარებენ, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინდელ სხდომაზე.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

● ოკეანეს გაღმა დაგეგმილი შეხვედრების დროს ძირითადი თემები იქნება ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოწესრიგება, ენერგეტიკული საკითხები და თბილისის პოზიცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების შესახებ



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართველი პრემიერის დიდი პრეზენტაცია

**საქართველოს მთავრობის მეთაური ზურაბ ნოღაიდელი შეერთებულ შტატებში მოგზაურობს. ვიზიტის პროგრამა დაიწყო ვაშინგტონის შტატის ქალაქ სიეტლიდან, სადაც გაიმართა საქართველო-ამერიკის საქმიანი საბჭოს კონფერენცია. როგორც პრემიერმა განუცხადა ჟურნალისტებს, ვიზიტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ქართულ ეკონომიკაში ამერიკული კაპიტალის ინვესტიციების გააქტიურება.** მაგრამ, არანაკლები ყურადღება დაეთმობა ასევე ენერგეტიკულ საკითხებს, თბილისის პოზიციას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის მიღების თაობაზე და საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

„საქართველო ნატოში“ არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ შალვა ფიჩხაძემ განაცხადა, რომ ამერიკელები ნოღაიდელთან, უწინარეს ყოვლისა, ალბათ, იმსჯელებენ იმაზე, თუ როგორ აპირებენ ისინი შემდგომშიც საქართველოს დახმარებას, რომელიც ევროატლანტიკური ალიანსის გზას ადგას. კონკრეტულად კი, საქმე შეეხება საქართველოსათვის რეალური დახმარების გაწევას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და თავდაცვის სფეროებში რეფორმათა განხორციელების მიზნით. შალვა ფიჩხაძის აზრით, ნატოში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს შორის საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც ბრიუსელი მოუწოდებს განახორციელოს პოლიტიკური სისტემის რეფორმები, თანაც, ძირითადი ყურადღება გაამახვილოს სასამართლო სისტემის რეფორმირებაზე.





საქართველოს პრემიერს დაგეგმილი აქვს შეხვედრები შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან, ეროვნული უშიშროების საკითხებში ქვეყნის პრეზიდენტის თანაშემწესთან სტეფან ნადლისთან და მთელ რიგ სენატორებთან.

ვიზიტის დროს ერთ-ერთი „მოქმედი პირი“ გახდება ქართული ღვინოც, რომლის პრეზენტაციასა და დეგუსტაციაში მიიღებს მონაწილეობას პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მეთაურის კანცელარიაში გვაცნობეს, რომ ოკეანეს გაღმა დაგეგმილი შეხვედრების დროს ძირითადი თემები იქნება ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოწესრიგება, ენერგეტიკული საკითხები და თბილისის პოზიცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების შესახებ.

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც რუსეთმა მოითხოვა საქართველოში მიწოდებული ბუნებრივი გაზის ფასის გადიდება, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა „ცისფერი სათბობის“ შესყიდვა ირანში, მაგრამ ეს იდეა არ მოეწონათ ამერიკელებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხში კი, საქართველო მზად არის მხარი დაუჭიროს მოსკოვს მას შემდეგ, რაც მოხდება საბაჟო-გამშვები პუნქტების ლეგალიზაცია სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე. ეს მოთხოვნა უცვლელი დარჩა მას შემდეგაც, რაც შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა ჰანოიში მოაწერეს ხელი ორმხრივ ოქმს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან რუსეთის შეერთების შესახებ. **მრავალი ადგილობრივი ექსპერტი, მათ შორის თბილისის ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი ნიკო ორველაშვილიც, არ გამორიცხავს, რომ შეერთებული შტატები ეცდება შეარბილოს საქართველოს პრინციპული პოზიცია ამ საკითხის თაობაზე.**

**ირინე ბარამიძე**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

# 50 ათასი აფხაზი რუსეთისკენ მიილტვის

**იმ დროს, როცა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში განიხილავდნენ აფხაზეთის სუვერენიტეტის საკითხს, ამ თვითაღიარებულ რესპუბლიკაში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. შენობათა სახურავებზე და ყოფილი მთავრობის სახლის ფანჯრებში სნაიპერები შევნიშნეთ. ჩვენს კითხვას, თუ რისთვის დასჭირდათ უშიშროების ასეთი სერიოზული ზომების მიღება, ერთ-ერთმა სამხედრომ მკაცრად უპასუხა:**

– დაახლოებით 50 ათასი კაცი შეიკრიბება. ხომ შეიძლება რაღაც გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს?!

შეკრებილ ხალხს რუსეთის არხების ტელეკამერების წინ უნდა ეთხოვათ პუტინისთვის აფხაზეთის სუვერენიტეტის აღიარება და რუსეთის შემადგენლობაში მისი „ასოცირებულ“ წევრად მიღება.



მიტინგი დღის პირველ საათზე დაიწყო. 6 დეკემბერს სოხუმში მგზავრები უფასოდ გადაჰყავდათ. სულ მალე მოედანზე შეიკრიბა უამრავი ხალხი – მართლაც, 50 ათასამდე. მომიტინგეებს მოჰქონდათ პლაკატები: „გაუმარჯოს აფხაზი და რუსი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას!“, „გაუმარჯოს თავისუფალ აფხაზეთს!“.

– აქ ყველა ნებაყოფლობითაა მოსული, – ცდილობდა ჩვენს დარწმუნებას ხანდაზმული ქალბატონი მარიამ ამიჩბა. – ბაღაფში გამოვიდა ტელევიზიით და განგვიმარტა, თუ რისთვის და რატომ უნდა შევიკრიბოთ აქ. ჩვენ ხომ რუსეთის გარეშე ვერაფერს გავაწყობთ. აქ მთელი სურსათი, პურის, ხილისა და ბოსტნეულის გარდა, სოჭიდან ჩამოაქვთ. აფხაზთა 90 პროცენტმა უკვე მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. ხანდაზმული ადამიანების უმრავლესობაც პენსიის ასაღებად სოჭში ჩადის, მეც ასე ვიქცევი.

– ჩვენ ვიცით, რომ პუტინი დღესვე არ დათანხმდება რუსეთთან აფხაზეთის შეერთებას, თუმცა ამის დიდი სურვილი კი გვაქვს, – გვითხრა ერთ-ერთმა აფხაზმა. – რუსთის პრეზიდენტმა ხომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ განაცხადა რომ მის ქვეყანას არა აქვს პრეტენზიები უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე. **ამიტომ, მოვითხოვთ, რომ გვცნონ როგორც რესპუბლიკა და დაამყარონ ჩვენთან კავშირი. ამის შემდეგ კი... ნელ-ნელა რუსეთის შემადგენლობაშიც შევალთ.**

**ტატიანა კირეევა**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

# რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს განცხადება თბილისში „უკბილოდ“ მიაჩნიათ

**„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებულ განცხადებებს არ გააჩნიათ არანაირი სამართლებრივი საფუძველი, და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არ აპირებს ამაზე სერიოზული რეაგირების მოხდენას“,** – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა გელა ბეჟუაშვილმა.

„არ ღირს ვითარების დრამატიზება. ეს არის საკმაოდ „უკბილო“ განცხადება, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, და ჩვენ არ ვაპირებთ ამაზე სერიოზულ რეაგირებას, თუმცა ჩვენს შეფასებას გამოვთქვამთ“, – დასძინა გელა ბეჟუაშვილმა.

REGNUM

## მოკლედ

**ერაყში 24 მშვიდობიანი მცხოვრების მკვლელობაში ბრალდებული ამერიკელი სამხედროები სასამართლოს წინაშე წარსდგებიან. პენტაგონის ოფიციალური გამოძიების თანახმად, 2005 წლის ნოემბერში ექვსმა ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა, რომლებსაც მანამდე თავს დაესხნენ დაუდგენელი პირები, „იქიეს შური“, დახვრიტეს რა 24 მშვიდობიანი მცხოვრები. გარდა ამისა, ბრალდებულები ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ ეს ადამიანები, თითქოს, ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპნენ.**

* * *

**ზაკაევი ამტკიცებს, რომ რუსეთის სპეცსამსახურები ჩეჩნეთში იყენებენ პოლონიუმ-210 ნივთიერებას. მისი მტკიცებით, ლიტვინენკო იყო მოკლული ჟურნალისტის ანა პოლიტკოვსკაიას მეგობარი, და ამ ორი ადამიანის მკვლელობა კრემლმა შეუკვეთა. გარდა ამისა, ზაკაევის აზრით, დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც სათანადო წინააღმდეგობას არ უწევენ პუტინის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას, ხელს უწყობენ „მოსკოვის დანაშაულებრივი რეჟიმის“ გაძლიერებას. თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ზაკაევს არ შეიძლება მიეცეს თავისი მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმის უფლება.**

* * *

**შეერთებულ შტატებში აფეთქება მოხდა ქარხანაში, რის შედეგადაც დაიღუპა სამი და დაშავდა 46 ადამიანი. თვითმხილველთა თქმით, ქალაქ მილუოკის ქარხანაში მომხდარი აფეთქების შედეგად გამოწვეულმა ტალღამ მიმოფანტა ქარხნის შენობის მახლობლად გაჩერებული ავტომობილები, პრაქტიკულად მიწასთან გაასწორა სასაწყობო ნაგებობა, ჰაერში ატყორცნილი ცეცხლმოდებული ნამსხვრევები კი ქალაქის რამდენიმე უბანს მოეფინა. ძლიერი კვამლის გამო შეწყდა სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ქარხნის მიმდებარე უბნებში ხორციელდებოდა.**

* * *

**პოლონეთი მზად არის მოხსნას ვეტო რუსეთ-ევროკავშირის მოლაპარაკებაზე. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა შეძლეს დაერწმუნებინათ პოლონეთის ლიდერი ლეხ კაჩინსკი, რომ შეერბილებინა დამოკიდებულება მოსკოვის მიმართ. ვარშავა აღარ დასვამს საკითხს ენერგეტიკული ქარტიის დაუყოვნებელი ხელმოწერის შესახებ. ევროკავშირისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთ-ევროკავშირის ახალი ხელშეკრულების თაობაზე.**

* * *

**იაპონიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ძიუნიტირო კოიძუმის სურდა სწვეოდა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, რათა მიეღწია გარკვეული პროგრესისთვის ფხენიანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკების პროცესის გაგრძელების საქმეში. მაგრამ იაპონიის ამჟამინდელი მთავრობა, რომელიც მკაცრი გეზის მომხრეა, მიიჩნევს, რომ ასეთი ვიზიტი მიაყენებს ზიანს ტოკიოს პოზიციებს.**

№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი. 2006 წელი.

● აუცილებელია ერაყში ვითარების სტაბილიზაციის პროცესში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სხვა ლიდერებმაც მიიღონ მონაწილეობა



# ჯორჯ ბუშმა შეიძლება ერაყში „ახალი სტრატეგიის“ შესახებ გამოაცხადოს

**ასეთი განცხადება შეერთებული შტატების პრეზიდენტმა შეიძლება გააკეთოს ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამლევამდე, აღნიშნა „CNN“ ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში თეთრი სახლის მეთაურის პრეს-მდივანმა ტონი სნოუმ.**

ჯერჯერობით კი ცნობილია,



რომ ბუშს დაგეგმილი აქვს შეხვდეს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს და განიხილოს მოხსენება, რომელიც წინა დღით წარუდგინეს შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

სნოუს თქმით, „ახალი სტრატეგიის“ გამოცხადების წინ, ბუშმა ერთმანეთს უნდა შეუდაროს ერაყის შესახებ დამოუკიდებელი კომისიის მოხსენების მონაცემები და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების გაერთიანებული შტაბების დოკუმენტი, რომლის მიღებასაც იგი უახლოესი მომავლისთვის ელოდება.

„იმედი გვაქვს, რომ ორივე წყაროდან ინფორმაციებს ისე შევუთავსებთ ერთმანეთს, რომ უკვე ახალი წლის დამდეგამდე პრეზიდენტი შეძლებს გამოაცხადოს ახალი კურსის დაწყების შესახებ“, – თქვა სახელმწიფო მოხელემ.

მანამდე კი, მოხსენების შესწავლის შემდეგ, ბუშმა აღნიშნა, რომ დოკუმენტი შეიცავს „მკაცრ შეფასებებს“ და მთელ რიგ „ძალზე საინტერესო წინადადებებს“. მე მას სერიოზულად მოვეკიდები და დროულად ვიმოქმედებ, თქვა ბუშმა. ამასთან, პრეზიდენტმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ გულდასმით შეისწავლის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ხელმძღვანელობით მოქმედი ჯგუფის წინადადებებს, თუმცა არ აპირებს მთლიანად იხელმძღვანელოს ამ მოსაზრებებით. ამასთან, ბუშს არ უთქვამს, თუ კონკრეტულად როდის აპირებს გამოაცხადოს ერაყში ამერიკელთა მიერ განხორციელებულ პოლიტიკაში შესატანი შესწორებების შესახებ.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ვაშინგტონში ვიზიტის დროს ბლერი, ისევე როგორც დამოუკიდებელი კომისიის წევრები, ეცდებიან ამერიკელი კოლეგის დარწმუნებას იმაში, რომ უმთავრესი ყურადღება მან უნდა დაუთმოს ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებას, რათა შეძლოს ერაყის კრიზისის მოგვარება ისე, როგორც ეს მას შესთავაზეს სპეციალისტებმა.

შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს დამოუკიდებელმა კომისიამ ამერიკის პრეზიდენტს წარუდგინა მოხსენება ერაყში შექმნილი ვითარების შესახებ. დოკუმენტის ავტორები აღნიშნავენ, რომ საჭიროა თანდათანობით შეიცვალოს ერაყში ამერიკელთა ჯარების როლი, რომლებმაც თავიანთი უფლებამოსილებანი უნდა გადასცენ ერაყის ძალოვან სტრუქტურებს, და საომარი მოქმედებიდან გადავიდნენ ერაყის შეიარაღებული ძალების წვრთნაზე, რათა ქვეყანა დატოვონ 2008 წლის დამდეგისთვის.

დოკუმენტის ავტორებს ასევე მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ერაყში ვითარების სტაბილიზაციის პროცესში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სხვა ლიდერებმაც მიიღონ მონაწილეობა.

გარდა ამისა, მომავალი შეხვედრის დროს, ჯორჯ ბუში და ტონი ბლერი იმსჯელებენ ასევე ავღანეთში შექმნილ სიტუაციაზე და კლიმატის შეცვლის თავიდან აცილების მიზნით ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მომავალ ერთობლივ მოქმედებაზე.

# რობერტ გეიტსი პენტაგონის მეთაურის პოსტზე 18 დეკემბრიდან დაიწყებს მუშაობას

**ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა ხმათა დიდი უმრავლესობით დაამტკიცა რობერტ გეიტსი თავდაცვის მინისტრის პოსტზე. 95 სენატორმა დაუჭირა მხარი ჯორჯ ბუშის მიერ შეთავაზებულ კანდიდატურას და მხოლოდ ორი იყო წინააღმდეგი. როგორც მოელიან, 63 წლის რობერტ გეიტსი ამ თანამდებობას 18 დეკემრიდან დაიკავებს.**

როგორც თეთრი სახლის პრესმდივნის მოადგილემ დანა პერინომ განაცხადა, გეიტსის ამ თანამდებობაზე დანიშვნა შეფერხდა იმის გამო, რომ მას სჭირდება დრო, რათა გადასცეს საქმეები თავის მემკვიდრეს ტეხასის შტატის A&M უნივერსიტეტში, რომლის პრეზიდენტადაც მუშაობდა ამ ბოლო ხანებამდე.



აღსანიშნავია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა დირექტორმა – გეიტსმა, სენატის კომიტეტში გამოსვლისას აღიარა ერაყში პრეზიდენტ ბუშის პოლიტიკის დამარცხება და დამსწრეთ მოუწოდა გამოეთქვათ თავიანთი წინადადებები ერაყში ამერიკელთა შემდგომი მოქმედებების თაობაზე.

„მიგაჩნიათ, რომ შეერთებული შტატები იგებს ომს ერაყში?“ – ასეთი კითხვით მიმართა კომიტეტში გამართული დისკუსიის დროს გეიტსს დემოკრატმა-სენატორმა კარლ ლევინმა, რომელიც მომავალი წლიდან სენატში უხელმძღვანელებს შეიარაღებული ძალების კომიტეტს. „არა, სერ“, – უპასუხა ახალმა თავდაცვის მინისტრმა, რითაც აღიარა არა მარტო თავისი წინამორბედის დონალდ რამსფელდის, არამედ თვით პრეზიდენტ ბუშის დამარცხებაც, რომელიც ნოემბრის არჩევნების წინ კონგრესს არწმუნებდა, რომ შეერთებული შტატები იმარჯვებდა ერაყში ტერორიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში.

ამავე დროს, პენტაგონის მომავალი შეფი ერაყს თავის პრიორიტეტად მიიჩნევს და უახლოესი მომავლისთვის გეგმავს ბაღდადში ჩასვლას.

მინისტრის პოსტზე გეიტსი ყოველწლიურად მიიღებს 183,5 ათას დოლარს, რაც თითქმის ოთხჯერ ნაკლებია იმ თანხასთან შედარებით, რომელსაც იგი იღებდა ტეხასის უნივერსიტეტის პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის დროს.

2005-2006 წლების პერიოდში შემოსავლების შესახებ გამოქვეყნებული დეკლარაციის თანახმად, რომელიც გეიტსმა წარუდგინა კონგრესს და მთავრობას მისი კანდიდატურის დამტკიცების წინ, A&m უნივერსიტეტში მხოლოდ 10 ლექციის წაკითხვისთვის მან 163 ათასი დოლარი მიიღო.

გარდა ამისა, სენატის კომისიამ გამოაქვეყნა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც მორიგი მძიმე დარტყმა გახდა პენტაგონისთვის. სენატორთა მტკიცებით, წინათ გამოქვეყნებულ მონაცემებში ხელოვნურად არის შემცირებული ერაყში ძალადობის ფაქტობრივი დონე. მოხსენებაში ასევე ხაზგასმულია, რომ მიმდინარე წელს საომარი კამპანიისთვის გაღებული ხარჯები ყოველთვიურად საშუალოდ 8 მილიარდ დოლარს შეადგენს და ეს თანხა სულ უფრო იზრდება.

# ისრაელის სპეცსამსახურებმა ბრიტანელი კოლეგების დახმარება გადაწყვიტეს

**ისრაელის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა ჯგუფი ჩავიდა ლონდონში. ისინი აპირებენ დაეხმარონ ბრიტანელ კოლეგებს უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოფილი ოფიცრის ალექსანდრე ლიტვინენკოს მკვლელობის გარემოებათა გამოძიებაში.**

ბრიტანელებს სურთ ებრაელი კოლეგებისგან მიიღონ ინფორმაცია „ისრაელში მცხოვრები კრემლის მტრების წინააღმდეგ რუსეთის საიდუმლო სამსახურების საქმიანობის“ შესახებ.

AIA საინფორმაციო-ანალიზური სააგენტოს მიერ მომზადებულ სტატიაში ფიგურირებენ ლეონიდ ნევზლინი, მიხეილ ბრუდნო, ვლადიმერ დუბოვი და ბორის ბერეზოვსკი. ამ ადამიანებს, რომლებსაც სდევნის რუსეთის ხელისუფლება, მიენიჭათ ისრაელის მოქალაქეობა.

როგორც სტატიაშია ხაზგასმული, ბრიტანელი მოხელეები დარწმუნებული არიან, რომ ისრაელში, ისევე როგორც დიდ ბრიტანეთში, კრემლის ცნობილ მოწინააღმდეგეთა საქმიანობას გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს რუსეთის სპეცსამსახურები. პუბლიკაციის ავტორები აღნიშნავენ, რომ ბრიტანელები არ გამორიცხავენ „ძალოვან მოქმედებას“ რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან ებრაული წარმოშობის რუსი ოლიგარქების წინააღმდეგ. ასეთი მოქმედება შესაძლებელია არა მარტო ისრაელის ტერიტორიაზე, არამედ „რუსი ებრაელების“ დიდ ბრიტანეთში მოგზაურობის დროსაც. სტატიის ავტორი იხსენებს, რომ ჯერ კიდევ 2003 წლის დეკემბერში უშიშროების ფედერალური სამსახურის გენერალ-მაიორომა ალექსეი კონდოროვმა საჯაროდ განაცხადა, რომ შესაძლებელია ისრაელიდან გაიტაცონ იუკოსის ერთ-ერთი აქციონერი.



ისრაელის სპეცსამსახურები დაინტერესებული არიან ბრიტანელი კოლეგების გამოცდილების შესწავლით, რადგან ისეთი თავდასხმა, რომლის შედეგადაც დაიღუპა ლიტვინენკო, ისრაელის ტერიტორიაზეც შეიძლება განხორციელდეს. ისრაელის მხარის დიდ შეშფოთებას იწვევს ასევე ისიც, რომ პოლონიუმ-210 რადიაქტიური ნივთიერება შეიძლება მოხვდეს ტერორისტთა ხელში.

მანამდე ლეონიდ ნევზლინმა, კერძოდ, განაცხადა: „ყველაზე საშიშია ის, რომ შეთითხნილი ბრალდებით რუსეთის ორგანოებმა შეიძლება დააპატიმრონ რომელიმე მაღალი თანამდებობის ებრაელი. ამ ადამიანს შეიძლება უპოვონ ნარკოტიკები ან იარაღი. ერთი სიტყვით, ნებისმიერი სცენარის გათამაშებაა მოსალოდნელი“.

27 ნოემბერს, ლიტვინენკოს დაღუპვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ნევზნილმა დაადასტურა, რომ თავის ადვოკატებს დაავალა ბრიტანელი მართმსაჯულების ორგანოებისთვის ყველა იმ დოკუმენტის გადაცემა, რომლებიც მან მიიღო ლიტვინენკოსგან. თუმცა, რაიმე დაწვრილებითი კომენტარისგან ნევზლინმა თავი შეიკავა, რათა ამან „არ მოახდინოს გავლენა გამოძიების მიმდინარეობაზე“.

დოკუმენტების შინაარსზე საუბრისას, ნევზლინმა თქვა: „ლიტვინენკომ გადმომცა ინფორმაცია, რომელიც ნათელს ფენს იუკოსის ირგვლივ ჩადენილ დანაშაულობებს. ეს მოხდა იმ პერიოდში, როცა ლიტვინენკო მუშაობდა უშიშროების ფედერალურ სამსახურში“.

# ახალი ავიაგამანადგურებელი პირველი გაფრენისთვის ემზადება

**მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სამხედრო პროექტის შედეგად შექმნილი F-35 ავიაგამანადგურებელი მომავალ კვირას შეასრულებს პირველ გაფრენას.**

ამ ინგლისურ-ამერიკული თვითმფრინავით, რომლის შემუშავებისა და წარმოებისთვის გაწეულმა ხარჯებმა 276,5 მილიარდ დოლარს უნდა მიაღწიოს, შეიარაღდებიან ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და პროექტში მონაწილე სხვა ქვეყნების არმიები.

„Lockheed Martin“ კომპანიის მიერ წარმოებული ამ საბრძოლო მანქანების ლომის წილი ერგება შეერთებულ შტატებს, სადაც გეგმავენ, რომ 2027 წლისთვის ამ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს უნდა ჰქონდეთ 2400 F-35 ტიპის ავიაგამანადგურებელი.



„Lockheed Martin“ კომპანიის გარდა ახალი თვითმფრინავის შემუშავებაში მონაწილეობდა ბრიტანული BAE Systems. ბრიტანეთის არმია 138 თვითმფრინავს მიიღებს.

შეერთებული შტატებთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად პროექტში მონაწილეობდნენ ავსტრალია, კანადა, დანია, იტალია, ჰოლანდია, ნორვეგია და თურქეთი.

პენტაგონი დარწმუნებულია, რომ პროექტის ყველა მონაწილე წარმოადგენს შეკვეთებს ახალი ავიაგამანადგურებლის შეძენისთვის და გაყიდული მანქანების საერთო რიცხვი მიაღწევს 3100-ს, ეს კი დაფარავს თვითმფრინავის შემუშავებისა და წარმოებისთვის გაღებულ ხარჯებს.

№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

**ინგილოებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ქართულ საზოგადოებაზე. ეს არა მარტო გასათვალისწინებელია, მისახედი და გამოსასწორებელია**

№ 218. სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი.

საიდან მოვდივართ

# მათი ნაღვაწი უკვდავია

**ძვირფასო თანამემამულენო, მინდა მოგითხროთ, სასიქადულო ინგილო მამულიშვილების გენიალოგიაზე, მათ ისტორიულ დამსახურებაზე.**

უხსოვარი დროიდან ხუციშვილები ემსახურებოდნენ საინგილოს ქურმუხის წმინდა გიორგის საყდარს. არსებობს ხალხური აზრი იაკობ ხუცის შთამომავლობის შესახებ.

მოსე ჯანაშვილის გადმოცემით, უხსოვარ დროს ხუციშვილთა წინაპარ მღვდელს ჰყოლია ულამაზესი ასული, რომელიც მოსწონებია და შეჰყვარებია წარჩინებული გვარის თათრის ვაჟს. ვაჟი მისულა მღვდელთან, ქალიშვილის ხელის სათხოვნელად, მაგრამ მას მტკიცე უარით გაუსტუმრებია. ვაჟი არ მოშვებია. მაშინ მღვდელი იძულებული გამხდარა და ისეთი საქმე დაუვალებია ვაჟისთვის, რომელსაც, ვერ შეასრულებდა. მაგრამ რომ ნახა, ვაჟი დავალებას ასრულებდა და პირობის გატეხვა აღარ შეიძლებოდა, ჩავარდა დიდ საფიქრებელში. ამ გაჭირვებიდან ერთმა გრძნეულმა ბებერმა იხსნა. ხმა დავაგდოთ, ვითომც ქალიშვილი მოკვდა, ვაჟი ამ უბედურებას ვერ აიტანს და თავს მოიკლავსო. მართლაც მღვდელმა 3 დღის დამშეული ცხვარ-ბატკანი შემოუშვა ეზოში, რომლებმაც დაიწყეს ბღავილი. ერთი ჟრიამული ატყდა. ვაჟმა ეს რომ ნახა, გრძნეულ ბებერს შეეკითხა, რა ამბავიაო. მან უპასუხა, მღვდლის ასული შენს ლოდინში მოკვდაო. გონებააბნეულმა ვაჟმა ააგდო წერაქვი, დაიცა თავში და იქვე მოკვდა. ეს რომ დაინახა მღვდლის ასულმა, ისიც მიიცვალა. არხის მარჯვნივ დამარხეს ვაჟი და მარცხნივ მღვდლის ასული. მათი ცოდვით ხალხი ძლიერ შეწუხდა. ამბობენ, ვაჟის სამარეზე ამოვიდა წითელი ვარდი, ქალისაზედ კი თეთრი, შუაში კი ეკალი, რაც ხელს უშლით მათ დაახლოებას.

დღემდე შემორჩენილია ამბავი, რომ მღვდლის ხუციშვილის ქალიშვილი, დარეჯანი, ცოლად ჰყოლია აბელ ყულოშვილს – მოურავს.

ერთხელ დარეჯანს, ცხენზე ამხედრებულს, დილაუთენია მოუსვამს თავისი 12 წლის დავითი ცხენზე და წასულა ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში. ვილაცა მსტოვარმა თათარმა ნახა ეს ამბავი და სასწრაფოდ დავით ვახვახიშვილს (შაჰ-აბაზ პირველის მიერ უკვე ალისულთან-ბეგად წოდებულსძ აცნობა. ალისულთან-ბეგმა უსმინა და ჰკითხა, მართლა ნახეო? თათარმა მოახსენა: აი ამ თვალითო – ანიშნა მარჯვენა თვალზე. განრისხებულმა დავითმა თითი ჰკრა და გამოსთხარა მარჯვენა თვალი. ეს არ აკმარა, ენაც მოაჭრა, რათა მეტი არ ელაპარაკნა.

მართალია დავით ვახვახიშვილი გამაჰმადიანებული იყო, მაგრამ მის ქართულ სულში მაინც ქრისტიანული სისხლი ჩქეფდა.

აი, ასეთი ისტორიული წარსული აქვს ამ გვარს.

„ხუციანთ ოთხთავის" დამსახურებაა, რომ ეს განაპირა კუთხე სრულიად არ მოსწყდა საქართველოს და დაიცვა თავისი ქართველობა, თავისი ენა და რჯული. ლეკთა ძალმომრეობამ ვერ დაჩაგრა ეს ერთი მუჭა ხალხი და „ინგილო ისევ დაშთა ქართველად" (მ. ჯანაშვილიძ.

„ხუციანთ ოთხთავი", ანუ რაჟდენ ხუციშვილის საგვარეულოს ეს ძვირფასი განძი ვახტანგ მეფის დროსაა დაბეჭდილი ტფილისში. იქვე იყო ბევრი საეკლესიო ნივთი, რომელთა შენახვისათვის ერთი მღვდელი ხუციშვილთაგანი ელისნის სულთანს უწამებია: შარა გზაზე ჩამოუკიდია (მოსე ჯანაშვილის „საინგილო" 1913 წ.ძ.

ბევრი კარგი საქმე აკეთა ბართლომე ზაქარიას ძე ხუციშვილმა. იგი წყნარი, მოკრძალებული, დარბაისელი კაცი ყოფილა. ოჯახის თავი და გამძღოლი ბართლომეს დედა მტკიცე ნებისყოფის ანგარიშიანი ქალი იყო (ძალიან მარჯვედ ასრულებდა თურმე კენჭებით არითმეტიკის ოთხივე მოქმედებასძ.

იმ დროს საინგილოში სწავლა დიდ პატივში არ ყოფილა, მაგრამ დედას თავისი სამი ვაჟი კახის ორკლასიან სასწავლებელში მიუბარებია. ბართლომეს მონდომება გამოუჩენია, სწავლა გაუგრძელებია ზაქათალის სამოქალაქო სასწავლებელში, რის შემდეგ შესულა გორის სამასწავლებლო სემინარიაში.

ბართლომე ხუციშვილი მათემატიკის საუკეთესო მცოდნე იყო. როგორც მოსე ჯანაშვილი აღნიშნავს, მის მიერ შედგენილი არითმეტიკის სახელმძღვანელო კარგა ხანს იხმარებოდა ამიერკავკასიის სკოლებში.

ბართლომე ამავე დროს იყო კარგი მეოჯახე, მეზალე და ინგილოების დიდი მოჭირნახულე. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა მარტო სკოლით არ შემოიფარგლებოდა, საღამოობით 15-20 ახალგაზრდას თუ ხანში შესულს დასვამდა გრძელ მაგიდასთან, ასწავლიდა უანგაროდ წერა-კითხვას, უკითხავდა ჟურნალ-გაზეთებს და იგავ-არაკებს.

კახის რუსული სკოლის მასწავლებელმა ბართლომე ხუციშვილმა გაზეთ „დროების" მეშვეობით მიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ ქართველთათვის გაეხსნა ქართული სკოლა ზაქათალის მაზრაში. „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ზაქათალის მაზრა არ დაგავიწყდებათ და ეცდებით აღადგინოთ მივიწყებული მშობლიური ენა და წერა-კითხვა" – წერდა ავტორი.

მართლაც 1953 წელს გაიხსნა კახის ქართული სკოლა, მღვდელ მიხეილ ყულოშვილის შემწეობით, აგრეთვე, კახის ქალთა სამრევლო სკოლა. რუსებმა და ქართველებმა გაათავისუფლეს ალიაბადი (ელისენიძ, ვერხვიანი, თასმალო (თასმალულიძ და სხვები ლეკი ფეოდალების საუკუნოვანი მონობისგან.

1877 წლის 20 ნოემბერს ბართლომე ხუციშვილის და სამღვდელოების ინიციატივით სოფელ კახში გაიხსნა საკვირაო სკოლა (20-35 ახალგაზრდა სწავლობდაძ, სადაც ისეთი განათლებული პირები ასწავლიდნენ, როგორებიც იყვნენ ივანე როსტომაშვილი, ბართლომე ხუციშვილი, სიმონ გამხარაშვილი, იროდიონ ოქროპირიძე, სოფიო ყულოშვილი და სხვები.

ბართლომე ხუციშვილის უშუალო ინიციატივით და მონაწილეობით ჩამოყალიბდა კახში დრამატული წრე, რომელშიც მონაწილეობდნენ საინგილოს იმდროინდელი მოღვაწეებიც (ზაქარია ედილაშვილი, სოფიო ყულოშვილი, ივანიცკები, ზაირმაშვილები და სხვებიძ. იგი ხშირად დგამდა წარმოდგენებს და შემოსულ ფულს უგზავნიდნენ ღარიბ ინგილო სტუდენტებს და მოსწავლეებს რუსეთის და საქართველოს ქალაქებში.

ბართლომე ხუციშვილმა „დროებაში" დასტამბა რამდენიმე წერილი იმ მიზნით, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყურადღება გაემახვილებინა მუსლიმან ინგილოთა შორის ქართული სკოლის დაარსების საჭიროებაზე, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, მიზანს ვერ მიაღწიეს, რამაც ბევრი რამ დაგვაკარგვინა – ხალხი გახლიჩა ქრისტიანებად და მუსლიმანებად. 80-იან წლებამდე კი ინგილო მუსლიმანებს და ინგილო ქრისტიანებს შორის დიდი კავშირი და ძმობა არსებობდა.

რაც შეეხება ქართველ განათლებულ საზოგადოებას, მას ნაკლები კავშირი აქვს საინგილოსთან. მან თავისი უყურადღებობით, შეიძლება ითქვას, საინგილო საქართველოს „მოწყვეტილ" კუთხედ აქცია. იგი წესიერად ვერ იცნობს საინგილოს, ინგილოებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ქართულ საზოგადოებაზე. ეს არა მარტო გასათვალისწინებელია, მისახედი და გამოსასწორებელია.

**მიხეილ ყულოშვილი**

რაც თვალს არ გამოეპარა...

## ისტორიულობაც და დანაშაულიც



**თქვეს და ასრულებენ კიდეც: ვარკეთილში უკვე დაიწყეს „ხრუშჩოვკების" აღება – ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთაზე მდგარი დაფხავებული შენობა თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის.**

ვისაც არ ეზარება, ხელისუფლებას აკრიტიკებს (მე შენ გეტყვი და, „საკბილოს" მოძებნა გაუჭირდება!ძ. ისე დაბეჯითებით აკრიტიკებენ, სიკეთის არანაირი გამოსხივების დანახვაც არ სურს. ეგ არაფერი – მერე რა, რომ კრიტიკა ლამაზი ქალი არ არის, სამაგიეროდ გულხელდაკრეფილი ჯდომის უფლებას არ იძლევა. მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ... სხვებს ვაკრიტიკებთ, საკუთარ დანაშაულს თუ დაუდევრობას კი ვერ ვამჩნევთ. თუ „კუდებს" არ მივიღებთ მხედველობაში, ვარკეთილის მიკრორაიონებში ძირითადად დამთავრდა მთავარი ქუჩების მოასფალტება, ბორდიურების მოწყობა. დაიდგა დიდი და პატარა სანაგვე ყუთები, სისტემატურად მოდიან ნაირნაირი ავტომანქანები და საყოფაცხოვრებო ნარჩენები დროულად გააქვთ. მაგრამ რა! მოსახლეობა ნაგავს ისევ მონდომებით ჰყრის ქუჩაში. დღეს რომ წამოჰკრეფენ ცელოფნის პარკებს და პლასტმასის ბოთლებს, გაიხედავ და ისევ ბლომად ყრია. ეს იმას ნიშნავს, რომ... ძველი კულტურით თავმომწონე ხალხს კულტურის ელემენტარული ნორმების დაცვაც აღარ შეგვიძლია...

ორიოდე დღის წინათ კიდევ ერთ სავალალო ფაქტს შევასწარი თვალი: ზემოთ ნახსენებ ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების კუთხეში მუშებს ხეების ანასხეპისთვის ცეცხლი მოეკიდებინათ. სავალალო ის გახლდათ, რომ კოცონი უზარმაზარი ფიჭვის ძვეშ დაეგიზგიზებინათ. ფიჭვს ტოტები უთრთოდა, ამაოდ ცდილობდა აბეზარი ცეცხლისთვის თავის არიდებას, მშველელი კი არსად ჩანდა...

**რა, ასეთი უსულგულობა რომ არ ჩავიდინოთ და დედაქალაქის ისედაც მწირ მწვანე ნარგაობას გავუფრთხილდეთ, პრეზიდენტის ან მერის მითითებაა საჭირო? განა ასე ულმერთოდ ვექცევით საკუთარ ქონებას?**

სირცხვილია, ხალხო, გონს მოვეგოთ!

## ცოფიანი ძაღლები!

**დღე არ გავა, ტელევიზიამ და პრესამ ახალ-ახალი უბედურება არ გვამცნონ – პანტაპუნტით ილუპებიან ავადამყოფები. ექიმები კრიტიკას არ იზიარებენ, აქაოდა, ვილაცას ჩვენი ჯავრი სჭირსო.**



არავისაც არა სჭირს თქვენი ჯავრი, ჩვენო ძვირფასებო! საქმე ის არის, რომ ძველ ხელფასებს მიჩვეულები ახალ გარემოებებს ვერ ეგუებით და სანამ ავადმყოფის პატრონი გვარიან თანხას არ გადაგიხდით, სულთმობრძავსაც კი ზედ არ შეხედავთ! ვინც პასუხისმგებლობას გრძნობდა და, მიუხედავად ყველაფრისა, თავის მოვალეობას არ ღალატობდა, ან შინ ზის, ან უცხოეთშია, ჩვენ კი, სწორედ რომ, უვიცთა ხელში აღმოვჩნდით! ცხადია, ეს იარლიყი ყველას არ ეკუთვნის, მაგრამ ჩვენი გულისდამწველები ისე ცოტანი დარჩნენ, რომ მათი ვაინაჩრობა სათვალავში მისაღებიც არ არის!

ამ დროს ჯანმრთელობის მინისტრი გვარწმუნებს, რეფორმა წარმატებით მიდისო. თუ ეს წარმატებაა, მარცხი რაღაა? აგერ ახალი სტატისტიკა: მარტო შარშან ცოფით 42 700 კაცი დაინფიცირდა, მათგან ექვსმა კი თქვენი ჭირი წაიღო! საუბედუროდ, ალბათ არც წლევანდელი შედეგი იქნება უკეთესი...

განსჯისთვის განა ეს არ კმარა?

## დამშვიდობება წარსულთან

**ცოტაც და თბილისში აღარც ტრამვაი იქნება, აღარც ტროლეიბუსი! კარგია ეს თუ ცუდი? ვინც ტექნიკურ პროგრესს ბრმად ემორჩილება, მიაჩნია,**



**რომ ეს ძალიან კარგია. სამწუხაროდ, სწორედ ისინი წყვეტენ ასეთ საკითხებს, ხალხს კი არაფერს ეკითხებიან!**

არ ვიცი, იქნებ კონკის მოყვარულებიც ეწინააღმდეგებოდნენ ქალაქის ტრანსპორტიდან მის გამოდევნას, მაგრამ, ცხადია, დღეს იგი ყველა ჩვენგანისთვის მიუღებელი იქნებოდა. მაგრამ, როცა ქალაქის მესვეურები დღევანდელი ელექტროტრანსპორტის გაუქმების გადაწყვეტილებას იღებენ, ჰკითხეს რაიმე ავჭალის, ნავთლუღის მოსახლეობას? როგორც ამბობენ, ევროპის ბევრი ქვეყნის უმთავრეს ქალაქებში ტროლეიბუსი და ტრამვაი ისევ „მოდაშია", ოღონდ იქ ასეთი დაფხავებული, მოძველებული ვაგონები კი არა, ახალი, მოდერნიზებული, თანამედროვე პირობებისთვის შესაფერისი დიზაინის შემადგენლობები დადის. ამით ევროპელები ეკოლოგიასაც უფრთხილდებიან და საკუთარ ჯიბესაც. ბოლოს და ბოლოს, ვართ ევროპელები თუ ისევ „აზიის ტყეში" ვრჩებით?

გაცემულია ბრძანება ტროლეიბუსებისა და ტრამვაის ფარეხების სასწრაფო გაყიდვის თაობაზე. სანამ ასეთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას მივიღებთ, ხომ არ გვეკითხა რამე კომისიისთვის, რომელიც აუცილებლად უნდა შეიქმნას ინტელექტუალური ადამიანებისგან, ვინც ქალაქის მოთხოვნილებასაც კარგად იცნობს და ეკოლოგიურ გარემოსაც?

## შევცვალოთ მარშრუტი!

**ვარკეთილიდან ქალაქის ცენტრისკენ 39-ე და 71-ე მარშრუტის ავტობუსები დადის.**



**მგზავრები კმაყოფილები არიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გზები მოასფალტდა. მაგრამ მათ პრეტენზიაც აქვთ: კარგი იქნება, თუ რომელიმე მათგანი ნავთლუღის ბაზრის გავლით იმოძრავებსო. ამით მგზავრიც მოუმრავლდებათ და მადლიერი ადამიანიც.**

ვფიქრობთ, ქალაქის მერიის სატრანსპორტო განყოფილებას ამ საკითხის მოგვარება არ გაუჭირდება.

**გური ჯანელია**

# სპორტი

● ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლები მეორე სართულზე თამაშის დიდოსტატებად რჩებიან

● საინტერესოა, სად იქნებოდა ყირგიზული ფეხბურთი, „დიდი წვლილი“ მისი განვითარებისთვის ფიფას პრეზიდენტს რომ არ გაელო?!.



◉ რეიტინგი



## რჩეულთა შორის

**პოპულარულმა რუსულმა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“ პოსტსაბჭოური სივრცის საუკეთესო ფეხბურთელთა ნოემბრის გამოკითხვაში იგორ აკინფეევისა („ცსკა“, 55 ქულა) და ანდრეი არშავინის („ზენიტი“, 50 ქულა), შემდეგ მესამე ადგილი ლევან კობიაშვილს („შალკე“, 48 ქულა) მიანიჭა, შოთა არველაძემ („ალკმაარი“, 22 ქულა) კი მეხუთე შედეგი აჩვენა.**

მთელი წლის საერთო ჩათვლაში „ჯვაროსანთა“ ყველა დროის მთავარმეგოლე მხოლოდ ალექსანდრე გლებს („არსენალი“, 331 ქულა) და ანდრეი შევჩენკოს („ჩელსი“, 289 ქულა) ჩამორჩება და 205 ქულით მესამე პოზიციაზეა. რაც შეეხება „კობის“, მისი კომპლექსური მონაგარი — 71 ქულა ჯერჯერობით მეცამეტეა, კახი კალაძე („მილანი“) კი 61 ქულით მეთხუთმეტეა.

◉ ჩემპიონთა ლიგა

## რქვანში „თავო ჩემოთი“



**შარშან „მანჩესტერი“ ჩემპიონთა ლიგას „ბენფიკამ“ ჩამოაშორა. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს ვენდეტის შანსი გუშინწინ მიეცა და მანაც ბოძებული შესაძლებლობა ჩინებულად გამოიყენა, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ საწადელს იოლად მიაღწია — მასპინძლებმა ანგარიში მხოლოდ შესვენების წინ გაათანაბრეს, ხოლო მეტოქე საბოლოოდ მეორე ტაიმში გატეხეს.** აღსანიშნავია, რომ ბრიტანელებმა სამივე გოლი თავით გაიტანეს. მართლაც ვერაფერს იტყვი — ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლები მეორე სართულზე თამაშის დიდოსტატებად რჩებიან.



**ოთხშაბათის რაუნდის შედეგები**

**„ე“ ჯგუფი.** კიევის „დინამო“-„რეალი“ 2:2 (შაცკიხი — 2; რონალდო — 2). „ლიონი“-„სტიაუა“ 1:1 (დიარა; დიკა).

„ლიონი“ — 14, „რეალი“ — 11, „სტიაუა“ — 5, კიევის „დინამო“ — 2 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“-„ბენფიკა“ 3:1 (ვიდიჩი, გიგზი, საჰა; ნელსონი). „კოპენჰაგენი“-„სელტიკი“ 3:1 (ჰატრჩინსონი, გრონკიაერი, ოლბაკი; იაროშიკი).

„მანჩესტერი“ — 12, „სელტიკი“ — 9, „ბენფიკა“, „კოპენჰაგენი“ — 7-7 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „პორტუ“-„არსენალი“ 0:0, „ჰამბურგი“-„ცსკა“ 3:2 (ბერიშა, ვან დერ ვაარტი, სანოგო; ოლიჩი, ჟირკოვი).

„არსენალი“, „პორტუ“ — 11-11, „ცსკა“ — 8, „ჰამბურგი“ — 3 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „მილანი“-„ლილი“ 0:2 (ოდემვინგი, კეიტა); „ანდერლეხტი“-„აეკი“ 2:2 (ვან დენ ბორე, ფრუტასი; ლაკისი, ჩირილო).

მერვედფინალისტთა კენჭისყრა 15 დეკემბერს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში მოეწყობა — შეგახსენებთ, რომ ბრძოლას ჯგუფების 2-2 საუკეთესო კლუბი განაგრძობს.

**განთესილები:** „ჩელსი“, „ბაიერნი“, „ლივერპული“, „ვალენსია“, „ლიონი“, „მანჩესტერი“, „არსენალი“, „მილანი“ (I ადგილი).

**გაუთესავები:** „ბარსელონა“, „ინტერი“, „ეინდჰოვენი“, „რომა“, „რეალი“, „სელტიკი“, „პორტუ“, „ლილი“ (II ადგილი).

**რაც შეეხება მესამეადგილოსნებს, უეფას თასზე გადაინაცვლებენ:** „ვერდერი“, „სპარტაკი“, „ბორდო“, „შახტარი“, „სტიაუა“, „ბენფიკა“, ცსკა და აეკი.

◉ ორბიტაზე

### ყირგიზეთის ორდენი — ბლატერს

**ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) პრეზიდენტი ზეპ ბლატერი დააჯილდოვეს ყირგიზეთის ორდენით „დანაკერი“ („მშვიდობისმყოფელი“) ყირგიზული ფეხბურთის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისთვის. დაჯილდოვების ბრძანებულებას ხელს აწერს ყირგიზეთის პრეზიდენტი ყურბანბეკ ბაკიევი.**



ყირგიზეთის ნაკრები ამჟამად მხოლოდ 142-ე ადგილზეა მსოფლიო საფეხბურთო რეიტინგში მოლდოვას, ბაჰამისა და გრენადასთან მეზობლობაში. საინტერესოა, სად იქნებოდა ყირგიზული ფეხბურთი, „დიდი წვლილი“ მისი განვითარებისთვის ფიფას პრეზიდენტს რომ არ გაელო?!.

### მერე რა, რომ ქმარს არ უნდოდა?!

**პოპულარული ანსამბლის „ვიაგრას“ ყოფილი სოლისტი, ახლა კი კიევის „დინამოს“ ფეხბურთელ ვალენტინ ბელკევიჩის ცოლის ანა სედოკოვასთვის ფოტოობიექტივის წინ გაშიშვლება ახალი ხილი როდია — ვისაც ეს ანსამბლი უნახავს, ალბათ დამეთანხმება, რომ მისი წევრები ძალზე მოშილიფებულად გამოიყურებოდნენ სცენაზე უამრავი მაყურებლის წინ.**

გახსოვთ ქართული ანდაზა „მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ მოაკლებო“. ალბათ, მაყურებლის აღტაცება მოაკლდა ანას და სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა ქმრის ნებადაურთველად „პლეიბოის“ რუსული გამოცემისთვის ერთობ პიკანტური ფოტოსერიის მოწყობა. მას „მრავალ განზომილებაში“ ჟურნალის დეკემბრის ნომერსა და სულ მალე მომღერლის ძალზე სკანდალურ წიგნში იხილავთ.



◉ „ვარსკვლავთამაშები“

## გოლფი კოსმოსში

**ამას წინათ საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ბორტ-ინჟინერმა მიხეილ ტიურინმა ყვანჯის დარტყმით უჰაერო სივრცეში გაუშვა გოლფის ბურთი. ამისთვის კოსმონავტი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდება, ხოლო ამ პროექტის ავტორი — რუსეთის ფედერალური კოსმოსური სააგენტო (როსკოსმოსი) დიდძალ თანხას მიიღებს კანადური სააგენტოსაგან Element 21 Golf (E21). ის ხომ გოლფის მოწყობილობებს ამზადებს. მართალია, კონტრაქტის ზუსტი თანხა გასაიდუმლოებულია, მაგრამ ცნობილია, რომ E-21-მა ივალდებულა 75 მილიონი დოლარის გადახდა, თუკი ბურთი შეეჯახება და დააზიანებს რომელიმე კოსმოსურ თანამგზავრს ან თავად საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს.**

ეს სახუმარო პრობლემა როდია. შეხვედრა ბურთთან, თუნდაც ის სამ გრამს იწონიდეს (15-ჯერ ნაკლებს, ვიდრე გოლფის რეალური ბურთი) და საათში 8-9 კილომეტრის სიჩქარით რომ მიფრინავდეს, კოსმოსში ნიშნავს საათში 100 კმ სიჩქარით მოძრავ სატვირთო ავტომანქანასთან შეჯახებას.



ამერიკული კოსმოსური სააგენტოს მოთხოვნით, ასეთი სარეკლამო აქცია რამდენიმეჯერ გადაიდო. საჭირო იყო ბურთის ფრენის ზუსტი ტრაექტორიის გამოთვლა და მხოლოდ ახლა გაამგზავრეს ის კოსმოსში. აქცია ეძღვნება კოსმოსში გოლფის პირველი თამაშის 35 წლისთავს. 1971 წელს ამერიკელმა ასტრონავტმა ორჯერ დაარტყა ყვანჯი ბურთს მთვარეზე. მაშინ თითოეული ასეთი ბურთულა მცირე სიმძიმის ძალის გამო მხოლოდ რამდენიმე კილომეტრს გაიფრენდა.

ახლა კი მიხეილ ტიურინის მიერ დარტყმულ ბურთთან დამოკიდებულებაში უკვე ლაპარაკია რამდენიმე მილიონ კილომეტრზე.

— ჩვენი ბურთულა არაფერს შეეჯახება, — დარწმუნებულია სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია „ენერგიის“ მრჩეველი, მფრინავი-კოსმონავტი ალექსანდრე ალექსანდროვი, — ჩვენ ჩავატარეთ ბალისტიკური ექსპერიმენტი და მტკიცედ დავრწმუნდით, რომ ფრენა ნორმალურად ჩაივლის. ბურთი არ გადაიქცევა „კოსმოსურ ნაგავად“ იმიტომ, რომ დაახლოებით ერთ კვირაში დაიწვება ატმოსფეროს მკვრივ ფენებში.

◉ ელიტა

## სიმბოლური ნაკრები

**სპორტულ გამოცემათა ევროპის ასოციაცია (ESM) აგრძელებს ეროვნული ჩემპიონატების შედეგების ყოველთვიური შეჯამების მიხედვით კონტინენტის სიმბოლური ნაკრების შედგენას.**

ნოემბრის შედეგების მიხედვით, ნაკრებმა ასეთი სახე მიიღო: **კუპე** („ლიონი“ — 3 ხმა), **დანიელ ალვესი** („სევილია“ — 4), **მერტესაკერი** („ვერდერი“ — 7), **ვიდიჩი** („მანჩესტერ იუნაიტედი“ — 3), **პანუჩი** („რომა“ — 3), **ინიესტა** („ბარსელონა“ — 6), **რონალდინიუ** („ბარსელონა“ — 6), **მალუდა** („ლიონი“ — 4), **რუნი** („მანჩესტერ იუნაიტედი“ — 3), **ტოტი** („რომა“ — 6), **კანუტე** („სევილია“ — 3).

◉ რაგბი

## საფრანგეთისკენ — „ერთა თასის“ გავლით

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, როგორც გულშემატკივრებმა იციან, პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან ორრაუნდიან პაექრობაში მიღწეული წარმატების შედეგად მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.**



გუშინ კაფე „სპორტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს რაგბის კავშირის თავკაცი, სახელმწიფო მინისტრი მერაბ ანთაძე და ამ უწყების ვიცე-პრეზიდენტი კოკა ლაზიშვილი მასმედიის წარმომადგენელთა წინაშე წარსდგნენ.

— კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო მთელ საქართველოს მორაგბეთა მსოფლიო თასის ფინალში გასვლა, — ბრძანა ბატონმა მერაბმა. — ეს მთელი ერის გამარჯვებაა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თანადგომისთვის მადლობა გადავუხადო ყველას — როგორც სპორტსმენებსა და მათს მწვრთნელებს, ასევე გულშემატკივრებს, ჩვენს პარტნიორებსა თუ მასმედიას, სახელმწიფო სტრუქტურებსა და პირადად ქვეყნის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს. სწორედ ამგვარმა ერთიანობამ გამოსჭედა ეს დიდი გამარჯვება.

ბატონმა მერაბ ანთაძემ იმ გზებზეც გაამახვილა ყურადღება, რომლებმაც მომავალში ახალ წარმატებებამდე უნდა მიგვიყვანოს.

რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ეროვნული ნაკრების წევრთა პრემირებაზეც ილაპარაკა. მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, ბიჭებს გამარჯვებისთვის შეპირებულ თანხას აუცილებლად მივცემთო, ბრძანა.

კოკა ლაზიშვილმა ერთი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა: „განმეორებითი მატჩის წინა დღეს ლისაბონში სასტუმროსკენ მიმავალს ქართული ლაპარაკი მომესმა. ერთი ყმაწვილი მობილურით ესაუბრებოდა ვიღაცას. ქართულად რომ შევეხმიანე, გაოცებისგან კინაღამ ტელეფონი გაუვარდა ხელიდან. გაცნობის შემდეგ ვუთხარი, ხვალ გადამწყვეტი ორთაბრძოლა გვაქვს პორტუგალიელებთან და ქართველებს თუ შეკრებ საქომაგოდ-მეთქი. მეორე დღეს სტადიონთან ორმოცამდე ჩვენებურებმა მოიყარა თავი. მათ სათავეში ჩვენი თბილისელი გულშემატკივარი ირაკლი ტვილდიანი ჩაუდგა და ბორჯღალოსნებს ისე ამხნევებდნენ, რომ მასპინძელთა ხმები გადაფარეს. წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო...“

ქართული რაგბის ხელმძღვანელებმა სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკეს, კერძოდ, პრესის წარმომადგენლებს ნაკრების 2007 წლის თამაშების კალენდარი გააცნეს, რომელსაც დღეს ჩვენს მკითხველებსაც ვთავაზობთ.

**ერთა თასი. 3 თებერვალი.** რუმინეთი-საქართველო, **18 მარტი.** ესპანეთი-საქართველო, **24 მარტი.** საქართველო-რუსეთი, **7 აპრილი.** საქართველო-ჩეხეთი, **23 ივნისი.** საქართველო-პორტუგალია.

**მსოფლიო თასი. D ჯგუფი. 11 სექტემბერი.** არგენტინა-საქართველო (ლიონი), **15 სექტემბერი.** ირლანდია-საქართველო (ბორდო), **26 სექტემბერი.** ნამიბია-საქართველო (ლანსი), **30 სექტემბერი.** საქართველო-საფრანგეთი (მარსელი).

**ლექსო ცინცაძე**

- ამის უპირველესი საწინდარია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ის მდიდარი პანორამა, რომელიც გადაშლილია ნ. გურაბანიძის წიგნის ფურცლებზე
- ძველ ხელოსნებს შეეძლოთ ისეთი ლამპარების გაკეთება, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე იწვოდნენ... საწვავის დამატებისა და ფითილის გამოცვლის გარეშე (!!ძ.





**წიგნი**

# დროის პანორამა

## ნოდარ გურაბანიძის — „ჩემი ცხოვრების თეატრის" წაკითხვის შემდეგ

**სულმოუთქმელად, დიდი გატაცებით, როგორც უმაღლესი კლასის მხატვრული ბესტსელერი გადავიკითხე ნოდარ გურაბანიძის მოგონებების წიგნი „ჩემი ცხოვრების თეატრი" (თბილისი, 2006ძ.** დამთავრებისთანავე, ხელმეორედ შევუდექი წიგნის, ამჯერად უკვე დინჯ, ჩაღრმავებულ კითხვას, რათა ბოლომდე, მთელი სისრულით გამეცნობიერებინა მისი უმდიდრესი, მრავალფეროვანი შინაარსი, ჩავწვდომოდი მასში მოთხრობილ ძალზე საინტერესო, ზოგჯერ, ფრიად დრამატული ამბების ყველა ნიუანსს. შედეგად — კიდევ უფრო თვალნათლივ დავრწმუნდი წიგნის არა მარტო მხატვრულ-ლიტერატურულ ღირსებებში, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მის საზოგადოებრივ აქტუალობასა და შემეცნებით ღირებულებაში.

ნ. გურაბანიძის წიგნს, მჯერა, დიდი ინტერესით წაიკითხავენ (უკვე კითხულობენ!ძ ჩვენი თანამედროვენი, რომელთა თვალწინ ვითარდებოდა აქ წარმოდგენილი და გაცოცხლებული ამბების უმრავლესობა და ასევე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ძვირფას მასალას მისცემს მომავლის ისტორიკოსებს, როდესაც ისინი შეუდგებიან მე-20 საუკუნის ქართული სულიერი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, გაცნობიერებასა და შეფასებას.

ამის უპირველესი საწინდარია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ის მდიდარი პანორამა, რომელიც გადაშლილია ნ. გურაბანიძის წიგნის ფურცლებზე.

როგორც წერია წიგნის ყდაზე, „თავისი ცხოვრების მანძილზე ავტორი მრავალ სახელოვან ადამიანს შეხვედრია, ბევრი რამ უნახავს და განუცდია. იგი იყო რუსთაველის სახელობის თეატრის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენის მოწმე და მემატიანე. ამის გარდა, გასტროლებზე ახლდა ანსამბლ „რუსთავს" (ესპანეთიძ, მარჯანიშვილის სახელობის (იტალია, ესპანეთიძ, ოპერისა და ბალეტის (გერმანიაძ, მეტეხის (სტამბოლი, ზაარბრიუკენი, პარიზიძ თეატრებს, „ერთი მსახიობის თეატრს" (ისრაელიძ.

შთაბეჭდილებათა მართლაც რომ შესანატრი სიმრავლეა!

ბუნებრივია, რომ ყველაზე ვრცლად და ფართოდ არის წარმოდგენილი მე-20 საუკუნის თბილისის მდიდარი თეატრალური



ცხოვრება, მთელი მისი სირთულით, ჩახლართულობით, დრამატული ზიგზაგებით, რომლებიც ზოგჯერ აბსურდის თეატრის პარადოქსულ კალეიდოსკოპს უფრო წააგავს.

ძალზე შთამბეჭდავია წიგნის ის ფურცლები, სადაც ბატონი ნოდარი იგონებს თავის დაუვიწყარ ახლო მეგობრებს — განუმეორებელ, ფეიერვერკულ კოტე მახარაძეს, უნიჭიერეს შემოქმედსა და მომხიბლავ ადამიანს — ელგუჯა ამაშუკელს, გამოჩენილ მუსიკისმცოდნეს — ძვირფას ანტონ წულუკიძეს, ყველა ჩვენგანისათვის საყვარელ ეროსი მანჯგალაძეს, დიდ ქართველ მსახიობებს და რეჟისორებს — აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძეს, სერგო ზაქარიაძეს, მიხეილ თუმანიშვილს, ბევრ სხვას; ჩვენ თანამედროვეებს, ქართული თეატრის სახელოვან წარმომადგენლებს — გიგა ლორთქიფანიძეს, რობერტ სტურუას, უბრწყინვალეს რამაზ ჩხიკვაძეს, გამოჩენილ მუსიკოსებს — ანზორ ერქომაიშვილს, ჰამლეტ გონაშვილს, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია...

ბუნებრივია, რომ ჩემთვის, ოთარ თაქთაქიშვილის მეგობრისა და მის შესახებ წიგნის ავტორისთვის, განსაკუთრებით საინტერესო იყო ნ. გურაბანიძის წიგნის ის ფურცლები, რომლებიც მიძღვნილია ამ ბუმბერაზი პიროვნების — გამოჩენილი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწისადმი. წარმოიდგინეთ, აქ ბევრი რამ ახალი და უცნობიც ამოვიკითხე, განსაკუთრებით, ქართულ თეატრალურ ხელოვნებასთან მისი მიმართების კონტექსტში. ჩვენი ავტორის უცილობელ „პრეროგატივას" ხომ ის წარმოადგენს, რომ მთელი ცხრა წლის მანძილზე იგი ო. თაქთაქიშვილის უახლოესი თანამშრომელი (პირველი მოადგილეძ და ბევრი რამ ისეთის მომსწრე იყო, რასაც სხვისი თვალი ვერ მისწვდებოდა. უდიდესი პატივისცემის გრძნობით გვიხატავს იგი ამ ენციკლოპედიურად განათლებული დიდი შემოქმედის პორტრეტს, მთელი მისი პიროვნული ღირსებებითა და ცალკეული სისუსტეებითაც. ამით მისი თხრობა უფრო მეტ დამაჯერებლობასა და უტყუარობას იძენს!

ასეთი არის ნ. გურაბანიძის „ჩემი ცხოვრების თეატრში" წარმოდგენილი ვრცელი, მრავალსახოვანი პანორამა, რომლისთვის უფრო ფართო, განმაზოგადებელი სათაურიც შეიძლებოდა მიგვეცა: „ქართული ცხოვრების თეატრი" — მთელი თავისი „შექსპირული" კონტრასტებით: სიყვარულითა და სიძულვილით, მშვენიერებითა და სიმახინჯით, გონიერებითა და უმეცრებით...

დასასრულ, დავძენ, რომ ყველა ჰუმანისტური პარადიგმის მსგავსად, ნოდარ გურაბანიძის წიგნიც გამსჭვალულია სიკეთისა და მაღალი სულიერების უძლეველობის რწმენით და სწორედ ესაა მისი ზნეობრივი არსი და ეთიკური იმპერატივი.

**გულბათ ტორაძე**

**ამოუცნობი**

# საოცარ ლამპართა საიდუმლო

**ეგვიპტის, საბერძნეთისა და რომის ძველთაძველი აკლდამები არაერთგზის გაუძარცვავთ. სამარხების შესახებ უამრავი ჭორი დადიოდა — გარდა იმისა, რომ იქ ნაპოვნი ოქრო-ვერცხლის, ძვირფასი სამკაულებისა და ფუფუნების საგნების შესახებ ლეგენდებს თხზავდნენ, ასევე ყვებოდნენ იქ მიგნებული გასაოცარი ლამპარების შესახებ, რომლებიც აკლდამებში დაკრძალვიდან მოყოლებული იმ დრომდე ენთო, ვიდრე შიგნით ვინმე შევიდოდა? მაშინ კი, როცა აკლდამაში მძარცველები აღწევდნენ, ლამპარები ან თავისით ნადგურდებოდა, ან, უბრალოდ, ქრებოდა.**



საოცარი ლამპარების შესახებ უამრავმა ცნობამ მოაღწია ჩვენამდე. კაიროს მუზეუმის მეცნიერებმა ანტიკური და შუა საუკუნეების ხანის მოაზროვნეთა მტკიცებულებათა სიმართლის დამადასტურებელ საბუთებს მიაგნეს, რომელთა მიხედვით, ძველ ხელოსნებს შეეძლოთ ისეთი ლამპარების გაკეთება, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე იწვოდნენ... საწვავის დამატებისა და ფითილის გამოცვლის გარეშე (!!ძ. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ასეთი ლამპარები არ ხრჩოლავდნენ, მხოლოდ მათი გატეხვისას ან ჩაქრობისას წარმოიშვებოდა მცირეოდენი ბოლი.

მიგნებულ მტკიცებულებებს თავი მოუყარეს და გააანალიზეს. კერძოდ, **მსგავსი ლამპარი რომის პაპის პავლე მესამეს მმართველობის დროს საქვეყნოდ ცნობილი აპიის გზის მახლობლად ციცერონის ქალიშვილის ტულიას აკლდამაში იპოვეს. გასაოცარი ის იყო, რომ იგი იმ ოთახში ენთო, სადაც ჟანგბადი... 1600 წლის მანძილზე ვერ აღწევდა! როცა აკლდამაში მკვლევარები შევიდნენ, გარედან შემობერილმა ქარმა ლამპარი ჩააქრო და შემდგომ მისი კვლავ ანთება ველარავინ შეძლო.**

„მარადიულად მანათობელ ლამპარებს" მსოფლიოს მრავალ ადგილას მიაგნეს, სადაც კი უწინ მაღალი განვითარების უძველესი ცივილიზაციები არსებობდა. ერთი ასეთი ლამპარი აღწერილი აქვს პლუტარქეს. მისი მტკიცებით, **ეს ლამპარი იუპიტერ-ამონის საყდრის შესასვლელის თავზე ეკიდა. ამასვე ამბობს წმინდა ავგუსტინე, რომელიც თავის თხზულებაში ახსენებს ძველეგვიპტურ „ეშმას" — ლამპარს, რომელსაც ვერც წყალი, ვერც ქარი ვერ აქრობდა.**

**1401 წელს, რომის მახლობლად, ვინმე ევანდრის ძის პოლანტის სარკოფაგში სასთუმალთან ნახეს მარადიულად მანათობელი ლამპარი, რომელიც... ორი ათასი წლის მანძილზე ენთო. ხოლო ასი წლის შემდეგ კი მსგავსი ლამპარი აღმოაჩინეს ნეაპოლის ყურეში კუნძულ ნისიდაზე უსახელო აკლდამაში. კიდევ ერთი მარადიულად მანათობელი ლამპარი ნახეს მეექვსე საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობის დროს ანტიოქიაში. ლამპარი ქალაქის კარის თავზე ნიშაში იყო მოთავსებული და, იქვე ამოკვეთილი წარწერის თანახმად, აღმოჩენამდე 500 წლით ადრე იყო ანთებული, ვიდრე ის ჯარისკაცებმა არ დაამსხვრიეს.**

**რამდენიმე ასეთი მარადიული ლამპარი ინგლისშიც ნახეს. ერთ-ერთი როზენკრეიცერების ორდენის უცნობი ადეპტის აკლდამაში ენთო. სამწუხაროდ, ეშმაკური მოწყობილობის — გრძელშუშიანი მექანიკური რაინდის — მიზეზით, რომელმაც ლამპარი დაამსხვრია, მკვლევარებმა მისი ხელში ჩაგდება ვერ შეძლეს.**

**მარადიულად მანათობელი ლამპარები უნახავთ ინდოეთისა და ჩინეთის, ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის საყდრებში. მეტად დასანანია, რომ ვერც ერთი მათგანი მკვლევარ-მეცნიერთა ხელში ვერ მოხვდა. ხოლო ის, რამაც ჩვენამდე მოაღწია, სულაც არ ჰგავს ლამპარების ნამსხვრევებს, როგორც ჩვენ ეს წარმოგვიდგენია.**

**ინფორმაცია თემაში**

**გასაოცარ ლამპარებთან დაკავშირებით ყველაზე მარტივი ჰიპოთეზა სწავლულმა იეზუიტმა ათანასე კირხერმა წამოაყენა. მისი აზრით, ეგვიპტელმა ქურუმებმა ისწავლეს ლამპარებისთვის ნავთობის მიწოდება აზბესტის ფითილით, რომელიც ამ ქვეყანაში მრავლად მოიპოვება.**

**ისეთი საწვავის არსებობა, რომელიც დაწვისთანავე ლამპარს მიეწოდებოდა, შუა საუკუნეებში მეცნიერთა დავის საგანი გახლდათ. თუმცა ყველა იზიარებდა იმ აზრს, რომ ფითილი ცეცხლგამძლე აზბესტისა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ალქიმიკოსები „სალამანდრის ტყავს" უწოდებდნენ.**

**მოკლედ, მეცნიერებმა მეტ-ნაკლებად მხოლოდ ერთი რამ დაადგინეს: ლამპარების შუქს არანაირი კავშირი არ აქვს არც ცეცხლთან, არც ელექტრობასთან.**

**ინფორმაცია**

# დირექტორობის კანდიდატობის მსურველთა რეგისტრაციის ვადა იწურება

**თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის ნათია ჩხენკელის განცხადებით, ამ დროისთვის თბილისის სკოლების დირექტორობის 700-მდე კანდიდატია რეგისტრირებული.**

— რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე ერთი დღე რჩება და ჩვენ კანდიდატთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას ველოდებით, თუმცა ვერ გეტყვით, რომ აქტივობა დაბალია, — აღნიშნა ჩხენკელმა.

თბილისში 200-მდე საჯარო სკოლაა. თითოეულ სკოლას ტესტირებისა და გასაუბრების გავლის შემდეგ, სამინისტრომ მინიმუმ სამი დირექტორობის კანდიდატი უნდა წარუდგინოს. სამეურვეო საბჭო კი ერთ-ერთ მათგანს დაამტკიცებს.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენმა კანდიდატმა გაიარა რეგისტრაცია საქართველოს რეგიონულ რესურს-ცენტრებში. ამის შესახებ განათლების სამინისტროში საგანგებო ბრიფინგი დღეს გაიმართება.

რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, განათლების სამინისტრო კანდიდატობის მსურველთა ერთიან სიას შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნის, სადაც გადამოწმდება ინფორმაცია მათი ნასამართლობის შესახებ.

# „წითელი ხიდის" თანამშრომელი დააკავეს

**ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველომ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების ფაქტზე „წითელი ხიდის" საბაჟო-გამშვები პუნქტის მებაჟე ზურაბ მამფორია დააკავა.**

როგორც კონფერენციაზე ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ზურაბ არსოშვილმა განაცხადა, მამფორიამ 5 არალიცენზირებულ გადამზიდველს ტვირთის გადმოტანის უფლება მისცა.

ამავდროულად, ტრანზიტულ ტვირთად გაფორმებული საქონელი სინამდვილეში საქართველოდან არ გასულა. სხვადასხვა დასახელების დიდი რაოდენობის საქონელი საქართველოში გაიყიდა. ამით, გადამზიდველებმა სახელმწიფოს იმპორტის გადასახადი დაუმალეს.

**ინტერპრესნიუსი**

● სამედიცინო პოლისით სარგებლობენ მხოლოდ ის ინვალიდები, რომლებიც მოხვდნენ სიღარიბის დაძლევის პროგრამაში



## ◉ გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ შრომის II ჯგუფის ინვალიდი. პენსიას ვიღებ თვეში 38 ლარის ოდენობით. მაქვს 42 წლის შრომის სტაჟი. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ვცხოვრობ, 1 სექტემბრიდან პენსიაზე დანამატი არ დამირიცხეს. ჩემს მეზობელს, რომელსაც 25 წლის შრომის სტაჟი აქვს, დაურიცხეს 10 ლარი და ყოველთვიურად 48 ლარი აქვს დანიშნული.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, სწორია თუ არა ასეთი გადაწყვეტილება და თუ სწორია, რაში დასჭირდათ ასეთი „უკანონო კანონის“ მიღება?**

**ვიტალი ზაპრუდნაია**

**პასუხი:** ბატონო ვიტალი, კარგად გვესმის თქვენი გულისტკივილი და ლოგიკურად სავსებით გეთანხმებით, მაგრამ, მოგეხსენებათ, კანონი ხშირად ლოგიკურ მსჯელობას არ ექვემდებარება.



დანამატი სტაჟის ხანგრძლივობის გამო დედაქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, 2006 წლის 1 სექტემბრიდან, დაერიცხა თბილისში მცხოვრებ მხოლოდ იმ პენსიონერებს, რომელთაც 38 ლარი პენსია ასაკის გამო აქვთ დანიშნული (და არა, მაგალითად, ინვალიდობით ან მარჩენალის დაკარგვის გამოძ.

ამდენად, თქვენს მიმართ სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეა.

* * *

**კითხვა: ვარ 81 წლის, მაქვს 46 წლის შრომის სტაჟი. სიღატაკის დაძლევის პროგრამის თანახმად, შევიტანე განცხადება ყოველთვიურად დახმარების დანიშვნაზე. ყველა პირობა აღმომაჩნდა დახმარების დასანიშნად, მაგრამ ხელი შემიშალა იმან, რომ მაქვს ძველებური ავეჯი, ტელევიზორი, მაცივარი და სარეცხი მანქანა. ვინც ჩემი საყოფაცხოვრებო პირობები შეამოწმა, მაცივარიც დამითვალიერა და აუცილებელი კვების პროდუქტები რომ იხილა, ირონიულად გადმოხედა და მითხრა: მდიდარი ყოფილხართ, დახმარება არ გეკუთვნით, ქულები არ გეყოფათო.**

**მართლაც ასე მოხდა...**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივმართო დახმარებისთვის?**

**ლალი ხუჯაძე**

**პასუხი:** ჩვენთვის გასაგებია თქვენი გულისტკივილი. შეკითხვაში არ აღნიშნავთ ზუსტ მისამართს, რომ დაგვედგინა, რომელი შემმოწმებელი მოგექცათ პატივსაცემ მოხუცს ასე გამომწვევად და არასწორად, შეიძლება დახმარება მართლაც არ დაენიშნათ, მაგრამ ერთპიროვნულად ასეთი გადაწყვეტილების მიღება და მით უმეტეს ასეთი პასუხის მოცემის უფლება მას არ ჰქონდა.

გირჩევთ, უფრო კონკრეტული განცხადებით მიმართოთ სოციალური დასაქმების და დახმარების სააგენტოს (თბილისი, წერეთლის გამზირი №144ძ.

* * *

**კითხვა: ვარ 26 წლის, ამ რამდენიმე წლის წინათ ავტოავარიაში მოვყევი და მძიმედ დავშავდი. ამჟამად ლოგინსმიჯაჭვული I ჯგუფის ინვალიდი ვარ.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა უფასო მკურნალობის პოლისი და სახელმწიფო დახმარება აუცილებელი ოპერაციისთვის საჭირო თანხის ასანაზღაურებლად?**

**გია ვეკუა**

**პასუხი:** სამედიცინო პოლისით სარგებლობენ მხოლოდ ის ინვალიდები, რომლებიც მოხვდნენ სიღარიბის დაძლევის პროგრამაში. რაც შეეხება ოპერაციაზე სახელმწიფო დახმარებას, საჭირო თანხის 75 პროცენტს სახელმწიფო იხდის, სამწუხაროდ, არა ყველა შემთხვევაში, არამედ მხოლოდ გადაუდებელი სასწრაფო ოპერაციების დროს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## ◉ ტექნიკის სიახლენი

# ბატონები, თქვენ მხეცები ხართ

**ბევრ ჩვენგანს უკვე აქვს აუცილებელი ტექნიკა – მობილურებიდან კომპიუტერებამდე. სწორედ რომ დროა ოთხფეხა მეგობრებისათვის ამ ტექნიკის მორგებისა.**



**უთვალთვალე.** სპეციალური GPS-კომპლექტი Roameo Location System დაეხმარება ოთხფეხათა პატრონებს, რომ საყვარელი არსებანი მუდამ თვალთახედვის არეში ჰყავდეთ. ეს ნაკრები შედგება თხევადკრისტალური დისპლეით აღჭურვილი მიმღებისა (რომელიც პატრონთან რჩებაძ და გადამწოდიანი საყელურისაგან, დისპლეიზე აისახება ცხოველის კოორდინატები, ინფორმაცია იმისი მოძრაობის მიმართულებისა და სიჩქარის შესახებ. ცხოველი თუ გარკვეულ ზონას დატოვებს, მიმღები განგაშის სიგნალს გამოსცემს. Roameo-ს მთავარი „პლუსი“ ისაა, რომ ერთდროულად სამი „აღზრდილის“ თვალყურის დევნების საშუალებას იძლევა. ეგეც კია, რომ ყოველ საყელურში **149 დოლარის** გადახდა მოგიწევთ, თვით მოწყობილობა **459 დოლარი** ღირს.

**ითამაშე.** სინგაპურელმა მკვლევარებმა ინტერაქტიური კომპლექტი **„თაგვების ასპარეზი“** შექმნეს, რომელიც ზაზუნების პატრონებს „შეგირდებთან“ თამაშის საშუალებას აძლევს. ის შედგება ინფრაწითელგადამწოდებიანი რეზერვუარისგან, სადაც ზაზუნასა და მოძრავ სათყუარას ათავსებენ, აგრეთვე სპეციალურ კომპიუტერს.



მისი დახმარებით კაცი სათყუარას მართავს, გადამწოდები კი კომპიუტერზე გადასცემენ ინფორმაციას ზაზუნას მოძრაობების თაობაზე... სიახლე ინტერნეტით ცხოველებთან თამაშს შეგაძლებინებთ და პირველ რიგში იმ საქმიანი ადამიანებისთვისაა გათვალისწინებული, ვინც საყვარელი „აღზრდილისაგან“ შორს იმყოფება. ფასი „თაგვების ასპარეზზე“ ჯერ არაა განსაზღვრული, დამმუშავებლები წარმოებაში კომპლექტის ჩაშვებას 2006 წლის ბოლოს – 2007 წლის დასაწყისში გვპირდებიან.

**ილაპარაკე.** მობილური ტელეფონის მეშვეობით (Petcell-b rjvgfybbcfufy Petsmobilityძ ძაღლების მფლობელები საყვარელ არსებებთან ურთიერთობის მანძილზე შეძლებენ. ამასთან შეგირდთან დარეკვა მუდამ მოხერხდება, კავშირი ხომ ავტომატურად მყარდება. ტელეფონში ჩადგმული GPS-გადამწოდი კი გიკარნახებთ, თუ სად იმყოფება ცხოველი.



Petcell-ი აღჭურვილია აგრეთვე სპეციალური გადამწოდებით, რომლებიც ცხოველის ტემპერატურას გაზომავენ. სიახლე წლის ბოლოს გამოვა გასაყიდად, დაახლოებით **400 დოლარად.**

**დაგეგმე.** შინაური ცხოველის დღის დაგეგმვაში მოგეხმარებათ სპეციალური ჯიბის კომპიუტერი Petmaster-ი. იმის მეხსიერებაში მრავლად არის პატრონისათვის სასარგებლო ინფორმაცია, მაგალითად, მხეცების სასტუმროების მისამართები და რჩევები მოვლაში.



კომპიუტერი აღჭურვილია მაღვიძარათი და თუ მფლობელს კატის ტუალეტისათვის რამე დაავიწყდება, ხელად შეახსენებს, მოწყობილობის სახურავზე არის სპეციალური ჩარჩო ცხოველის ფოტოგრაფიისათვის, ასე რომ პატრონი შვებულებაშიც არ მოიწყენს საყვარელი რასების გამო. მოწყობილობა უკვე გამოტანილია გასაყიდად, **ფასი 23,5 დოლარი**.

## ◉ ინფორმაცია

# სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ოფისი კასპში

**საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ და პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლის რეგიონში მიხეილ ქარელმა კასპში იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ოფისი გახსნეს.**

კასპის ტერიტორიული ოფისის გარემონტებასა და აღჭურვაში იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქართველოში ეუთოს მისია, ამერიკის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობა, აშშ-ის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთისა და საბერძნეთის მთავრობები დაეხმარნენ.

გია ქავთარაძის ინფორმაციით, სამი თვის წინათ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ახალგარემონტებული ოფისი გაიხსნა გორში, ხოლო უახლოეს მომავალში შიდა ქართლის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ახალი ოფისი ქარელის რაიონს ექნება.

მინისტრის თქმით, სამოქალაქო რეესტრის სისტემაში საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა, რომლის შედეგად დოკუმენტების გაცემის პროცედურა მნიშვნელოვნად გამარტივდა: პასპორტის გაცემისას მოიხსნა ტერიტორიული შეზღუდვა, მოქალაქეს მიეცა პირადობის მოწმობისა და პასპორტის დაჩქარებული წესით მიღების შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეს აქვს უფლება, ქონდეს რამდენიმე პასპორტი.

ამასთან, დაინერგა მომსახურების ახალი სისტემა - რაიონების მოსახლეობას პასპორტის მიღება რეგიონული ცენტრის ნაცვლად, საკუთარ რაიონში, კურიერის მეშვეობით შეუძლია.

2007 წლის იანვრიდან კი, 32-გვერდიან პასპორტთან ერთად, ძალაში შევა 48-გვერდიანი პასპორტი.

**ინტერპრესნიუსი**

## ხსოვნა

# ბერგერ მიქაშავიძე



გარდაიცვალა ჰიდრომეტეოროლოგიის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ბერგერ მიქაშავიძე**. დაიბადა 1935 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ფარცხმაში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1958 წელს შუახევის რაიონის სოფ. ღვანის სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. 1959 წლიდან მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიის სისტემაში, ეწეოდა მრავალმხრივ, პრაქტიკულ დასამეცნიერო-კვლევით საქმიანობას რეგიონალური მეტეოროლოგიისა და ამინდის რიცხვითი პროგნოზირების დარგში, იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში რეალიზაცია გაუკეთა ამინდის პროგნოზის შედგენას გამოთვლითი მანქანების გამოყენებით. ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობის პერიოდში დაცული აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები და ავტორია 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა.

გამოირჩეოდა კოლეგებისამდი განსაკუთრებული გულისხმიერებითა და ყურადღებით, სხვისთვის დახმარების აღმოჩენა მისი ცხოვრების წესი იყო.

პრაქტიკოსი და მეცნიერი, კეთილშობილი და პატიოსანი პიროვნება, ასეთი დარჩება ბერგერ მიქაშავიძე კოლეგებისა და მეგობრების მეხსიერებაში.

**მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრი,**
**ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი,**
**ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი,**
**კოლეგები.**



ქ. თბილისის ვაჟთა II სკოლის 1957 წლის კურსდამთავრებულები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი

ნაუმ თოიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

---

ნუნუ ავალიანის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება უსაყვარელსი, ჭეშმარიტად ქართველი „უსათნოესი პიროვნების

ნაუმ თოიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მზია საყვარელიძის ოჯახს.

---

აზა ანთელავა, ნუგზარ წერეთელი ოჯახით, გულიკო, თამარ რატიანები, მზია, დათო ბექაურები, ნუგზარ, მანანა ფოფხაძეები, ლელა, ზეზვა ლოლაძეები ზურაბ, ციური ლომიძეები, თემურ თელია ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეზობელი და მეგობარი

ზინაიდა ანტონის ასული თავართქილაძე-წერეთელი

და გულწრფელად თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32; 899 328576

● საინტერესოა, თუ როგორი დანადგარებით აჰქონდათ ამ სიმაღლეზე ეს ლოდები



◉ სენსაცია

# რისგან შენდებოდა პირამიდები

**ეგვიპტის პირამიდების საიდუმლოება ამოხსნილია. დედამიწის ზურგზე ეს უდიდესი ნაგებობები თავიანთი სიდიადითა და სიმტკიცით დღესაც აკვირვებენ მნახველებს. რისგან შენდებოდა პირამიდები? ნუთუ მართლა მილიონობით მონას მრავალტონიანი ქვის ბლოკები ასობით კილომეტრიდან მოჰქონდა? საინტერესოა, თუ როგორი დანადგარებით აჰქონდათ ამ სიმაღლეზე ეს ლოდები. ზოგიერთი მკვლევარის ჰიპოთეზა კი ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება – პირამიდებს უცხოპლანეტელები აგებდნენ, მაგრამ რა დანიშნულება ჰქონდათ მათ გარდა იმისა, რომ ფარაონთა უკანასკნელი განსასვენებელი იყო?**

ყოველივე ამ საიდუმლოებას ფარდა საფრანგეთის აეროკოსმოსური კვლევის ცენტრისა და აშშ-ს ფილადელფიის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ახადეს მრავალწლიანი კვლევისა და ექსპერიმენტების შემდეგ. მათ გამოიკვლიეს ხეოფსის, ხეფრენისა და მიკერინის პირამიდები. მათი ფუძე და სიმაღლე განსაზღვრულ დონემდე მართლაც უზარმაზარი თლილი ლოდებისგანაა აგებული, დანარჩენი ნაწილი კი უძველესი ეგვიპტელების მიერ დამზადებული ბეტონით. მეცნიერებმა შეძლეს ბეტონის შემადგენლობის დადგენაც. „ეგვიპტური ბეტონი" შედგებოდა პალმის ნაცრის, ქვიშისა და ნილოსის წყლისგან დამზადებული სპეციალური ნაზავისგან. მეცნიერთა აზრით, ბეტონს იქვე ამზადებდნენ და სპეციალურად ხისგან შეფიცრულ ყალიბში ასხავდნენ.



ბელგიის ქალაქ ნამიურის უნივერსიტეტში ჩაატარეს ექსპერიმენტი, რათა შეექმნათ „ძველეგვიპტური ბეტონის" რეცეპტით ლოდები. ექსპერიმენტი წარმატებით დაგვირგვინდა. მიღებული ბეტონი სიმტკიცით ქვის ლოდებზე გამძლე აღმოჩნდა. მის გაქვავებას ათი დღე სჭირდება.

ამ ახალ აღმოჩენას ეწინააღმდეგებიან ეგვიპტელი მეცნიერები. უძველესი ეგვიპტის ისტორიის შემსწავლელი ცენტრის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ზახი ხავასი ამ იდეას აბსურდულს უწოდებს. „მე ფრანგების ამ ვერსიის შესახებ 20 წლის წინათ შევიტყვე, მაგრამ მაშინაც უარვყავი ეს წინადადება, რამდენჯერმე ჩავატარეთ ცდები, მაგრამ არავითარი შედეგი არ გამოილო. ამერიკელი და ფრანგი მეცნიერები უგულებელყოფენ ძველ ეგვიპტელთა ამ დამსახურებას და სურთ, მათი ტიტანური შრომა „წყალში გადაყარონ". ამას ასობით ქიმიკოსი იკვლევდა, ყველა ჩემს აზრზე დგას. – აცხადებს ზახი ხავასი.

◉ ანეკდოტები

– ქალიშვილო, თქვენ ისეთი ლამაზი ხართ, ისეთი მომხიბვლელი, ისე ძალიან მინდა თქვენი გაცნობა!

– ნურას უკაცრავად, პირველსავე შემხვედრს ლოგინში არ ვუწვები!

* * *

„ერთიანი რუსეთის" მეშვიდე ყრილობამ დაადგინა, რომ დღევანდელი თაობა დემოკრატიის პირობებში იცხოვრებს.

* * *

მიდის დათვი ტყეში. უცებ ბრაზიანი ლომი შეხვდება:

– ვინ ხარ?

– დათვი...

– ჩავწეროთ – დათვი, ხვალ მოხვალ და შეგჭამ. კითხვები გაქვს?



ატირებული დათვი მიდის. ბილიკზე მგელი გამოჩნდა.

– მაშ ასე, ვინა ხარ?

– მგელი...

– ჩავწეროთ – მგელი, ზეგ მოხვალ და შეგჭამ. კითხვები გაქვს?

მგელი მკვდარივით მილასლასებს... ბილიკზე ზღარბი გამოჩნდება.

– ვინა ხარ? – ეკითხება ბრაზიანი ლომი.

– ზღარბი...

– ჩავწეროთ – ზღარბი. ორი დღის მერე მოხვალ და შეგჭამ. კითხვები გაქვს?

– მაქვს. შემიძლია, რომ არ მოვიდე?

– შეგიძლია. ამოვშალოთ...

* * *

ლონდონის „უემბლის" სტადიონზე ერთმანეთს ხვდებიან ინგლისის და მსოფლიოს ნაკრებები. ბილეთებზე ფანტასტიკური ფასების მიუხედავად, სტადიონი გადაჭედილია. ყველაზე ძვირიან ლოჟაში ქალი ზის. მის გვერდით კი ადგილი თავისუფალია. გულშემატკივართა უამრავი თხოვნის მიუხედავად, იგი ადგილს არავის უთმობს – ეს ჩემი განსვენებული მეუღლის ადგილიაო...

– მაგრამ თუ თქვენი ქმარი უკვე გარდაცვლილია, მის ნათესავთაგან ვინმე მაინც მოგეწვიათ...

– სამწუხაროდ, ყველა ნათესავი ახლა მის დაკრძალვაზეა.

* * *

მხოლოდ ცოტანი იმათგან, ვისაც ხველა აწუხებს, მიდიან ექიმთან.

უმეტესობა თეატრში მიდის...

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

◉ ინფორმაცია

## შეღავათები თბილისელ პედაგოგებს



**პირველი დეკემბრიდან თბილისელი პედაგოგებისთვის სპეციალურად გახსნილ ანგარიშებზე ბუნებრივი გაზის საფასურის დასაფარად გათვალისწინებული 100-100 ლარის ჩარიცხვა დაიწყო.**

ამ დროისთვის თბილისის ბიუჯეტიდან საქართველოს ბანკში გახსნილ ანგარიშებზე გადარიცხულია 300 000 ლარი, დედაქალაქის 26 საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისთვის.

როგორც თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა პაპუნა პეტრიაშვილმა საინფორმაციო სააგენტოს აცნობა, სულ თბილისში 41 ათასი პედაგოგისთვის 4 მილიონ 100 000 ლარი უნდა გადაირიცხოს.

მისივე ინფორმაციით, ეს თანხა, დაახლოებით ერთ კვირაში დაიფარება. მანამდე კი „ყაზტრანსგაზი-თბილისი" აღნიშნული შეღავათების მქონე არც ერთ აბონენტს, დავალიანების გამო, არ გათიშავს.

## მეტროში მგზავრობის საფასური არ გაიზრდება



**თბილისის მეტროპოლიტენის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას მეტროპოლიტენით მგზავრობის საფასურის 20 თეთრიდან 40 თეთრამდე გაზრდის თაობაზე.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ნუცუბიძეზე კორპუსი ინგრევა

**თბილისში, ნუცუბიძის მეოთხე მიკრორაიონში, ერთ-ერთი მაღალსართულიანი კორპუსის საყრდენი ბოძების გადახრის გამო, მაცხოვრებლები დახმარებას ითხოვენ.**

კორპუსის გამაგრება მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა უკვე დაიწყო, თუმცა გამაგრებამდე 16-სართულიან კორპუსში მცხოვრები 75-მდე ოჯახი დროებით გასახლებას მოითხოვს.

როგორც კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა სუხელიანმა განაცხადა, ავარიული კორპუსის გამაგრება ჯერ კიდევ მაისში დაიწყეს, თუმცა კორპუსის მაცხოვრებლების პრეტენზიების გამო, გამაგრება შეჩერდა. მობინადრეებმა გამაგრების პროექტი დაიწუნეს და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ გაგზავნილი მუშები სამუშაოდ არ მიუშვეს.

ინტერპრესნიუსი

◉ ლარის კურსი

**8 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,4173 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7300 ლარი |
| ევრო | 1 | 2,3033 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0661 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9833 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4716 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4236 ლარი. |

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში". მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აიწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.